“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№3 (280)
მარტი
2022 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეოთხე წელი "LITERATURULI MESKHETI"

## ლადო ასათიანი



### დედისადმი

გეძახდი, მინდა გაგესაუბრო
შუა აზიის ურწყულ მხარეში...
რა გენატრება – ქმარი თუ უფრო
დავაჟკაცებულ შვილის ალერსი.

მთვარეულივით დავდივარ ხმელეთს
აგერ ეს ოცდასამი წელია,
მაგრამ ძვირფასო, მშობელო შენზე
ერთი სიტყვაც არ დამიწერია.

ეს იმიტომ, რომ მიყვარხარ ძლიერ,
დამქონდი, როგორც საუნჯე გულით
და სიყვარულის სიმღერის მიერ
ვიყავი დღემდე დამუნჯებული.

ახლა კი მეტი არ ძალმიძს, არა,
ტირილი მინდა და შეცხადება,
შავმა სიზმრებმა შავ ნიაღვარად
წარმომიდგინეს შენი ხატება.

ჩვენი სახლ-კარი ააწიოკეს
დაუბანელმა გლეხის კაცებმა,
ნეტავ შენსავით ბნელში ვტიროდე,
არ ვუყურებდე ქვეყნის დაქცევას.

ინგრევა შენი ნაამაგარი
და არ გახსენო, არ შემიძლია,
აღარ გაჰკივის რთველში მაყარი,
ვენახში თოფებს აღარ ისვრიან.

თონეში ცეცხლი აღარ ტკრციალებს,
მამამ ზელელი ვალში გაყიდა
და ძველებურად არ მიფრიალებს
შუკაში თეთრი ბაშილაყითა.

ჩვენი მარანი და საწნახელი
უფრო ძლიერმა დაიგირავა,
მამა ბუხართან ზის თავდახრილი,
ცეცხლში აფურთხებს და იგინება.

რკინის ჭიშკრიდან ყვითელ გვალვაში
არ შემოვდივართ მე და ურემი
და გაზაფხულის ხმაზე თავლაში
არ ჭიხვინებენ ბედაურები.

დაიქცა ყველა დიდი ჯალაბი,
ნაგაზს ჯაჭვს არვინ არ აღრღნევინებს,
წინათ თუ ღვინოს დაგაძალებდნენ,
დღეს წყალსაც არვინ დაგალევინებს!

ამქვეყნად როცა ავიდგი ენა,
პირველი სიტყვა იყავი დედა,
დედა სიზმრებმა არ მომასვენა
შენს ბნელ საკანში გადმომახედა.

## გენრი დოლიძე

### ერთი ხელით

ერთი ხელით ცოტნე ვზარდეთ,
მეორეთი ბალვაში.
ერთ ხელს ომში ვიყენებდით,
თოხნასა და ბარვაში,

მეორეთი ძმას ვახრჩობდით,
თითს ვუქნევდით ნათესავს,
ხან ვანგრევდით წინაპართა
ნალაციცარ-ნაკვესარს.

იყო დრო და ვიკაენეთ,
ხანაც ვიიაფეტეთ,
ხან მტერს თავი დავუხარეთ,
ხან ძმას მუშტი ვაფეთეთ...

ერთი ხელით სადედოფლოდ
გამოვზარდეთ ლომქალი,
მეორეთი წიწამურთან
საქართველო მოვკალით...





ხან ვუცქერდით მზიან ღამეს,
ხან უმზეო აისებს,
ხანაც ვიცხრააპრილეთ და
ხანაც ვიექვსმაისეთ,
თავს რომ ვიქებთ –
გაგვიზრდია აკაკი თუ ილია...

გავიხსენოთ,
საფარბეგიც ჩვენი გამოზრდილია..

ცალი ხელით ზარებს ვრეკდით,
იალბუზი დავძარით,
მეორეთი დავანგრიეთ
სამრეკლოც და ტაძარიც...

მეორდება ისტორია
თავიდან და ბოლოდან,
ალბათ ჯობდა,
თავიდანვე ცალი ხელი გვქონოდა!



„ვაი ერს, რომელსაც მოსავს სამოსი, თვითონ რომ არ მოუქსოვია, ჭამს ჯურს თვითონ რომ არ მოუწევია, – სვამს ღვინოს, თვითონ საწნახელში რომ არ დაუწურავს.
ვაი ერს, რომელიც გმირად მიიჩნევს ტრაბახა ხეჯრეს და ბაქია დამპყრობელი დიდსულოვანი ქველი ჰგონია...
ვაი ერს, რომელიც ხმას აღიმაღლებს მხოლოდ მიცვალებულის დატირებისას...
ვაი ერს, რომელიც ბუკითა და ნაღარით ეგებება ახალ მბრძანებელს და მერე ყიჟინით აძევებს მას მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა სხვას შეეგებოს.“

*ხალილ ჯიბრანი, ლიბანელი მწერალი*

# მაია ბათიაშვილი

გვიანი შემოდგომა იდგა. ზამთრის სუსხი ნისლთან ერთად ეპარებოდა ჩაძინებულ სოფელს. უეცრად ღამის სიჩუმე ჭიშკრის ლაწანმა გაარღვია.

— ნინო, ნინო.

ახალგაზრდა კაცი ჩუმად ჩასჩურჩულებდა მის მკერდზე ტკბილად მთვლემარე მეუღლეს. აღელვებული ჩანდა.

— ნინო.

— რა მოხდა ლევან. ბავშვმა გაიღვიძა?

— არა, რაღაც ხმაურია. მანქანების ხმაა.

ნინომ ყური მიუგდო. ფანჯრების მიღმა მართლაც მანქანების ძრავის ხმა ისმოდა.

— რა უნდა იყოს, ნეტავი, ამ შუაღამისას?

— სატვირთო მანქანების ხმაა.

ცოტა ხანში ძრავის ხმაური შეწყდა და შორიდან ხმამაღალი კამათისა და მოთქმის ხმა შემოესმათ.

ახალგაზრდა კაცი ლოგინიდან წამოდგა, იქვე პატარა მაგიდაზე მდგარ ლამფას შუქი აუწია და ფანჯარას მიუახლოვდა. გარეთ, მეზობლის ეზოდან, ყრუდ მოისმოდა ქალის კივილი: „დამიბრუნეთ! ბავშვი დამიბრუნეთ, თქვე მხეცებო!“ "ერთად გვამყოფეთ..."

„ჩქარა! დროზე! ეს რა არის?! ეს არ დაგჭირდებათ! ესენი აქეთ!“ — უცნობი მამაკაცის ღრიალი ყველა დანარჩენის ხმას ფარავდა.

„თქვე ოხერძაღლებო! რას შვრებით! რას სჩადით?!“ — ეს დავითის ხმა იყო. მართალია, მეზობლის სახლ-კარი მოშორებით იდგა, მაგრამ სამოცდათოთხმეტი წლის მოხუცის ლანძღვა ლევანის სახლამდე აღწევდა.

„თქვე უწმინდურებო, ქალებმა და ბავშვებმა რა დაგიშავათ?! თქვე სისხლისმსმსმელებო! მტარვალებო! ხელი გამიშვით!..“

ლევანს გული ძალუმად უცემდა.

— ლევან, რა ხდება? ვინ ყვირის? დავითის ხმაა, მე მგონი, ლევან!

ნინომ ლოგინიდან წამოდგომა დააპირა. დაძაბული უსმენდა შორიდან მოსულ ხმაურს. უეცრად, ბავშვების ტირილის ხმა და კესოს წყევლა შემოესმა. თვალებგაფართოებულმა ფანჯრისკენ გაიხედა. — ლევან, რა ხდება ჩვენს თავს? რატომ მაშინებ, ხმას რატომ არ მცემ? — ფანჯრისკენ დააპირა წასვლა.

— არა, ფანჯარას ნუ მიუახლოვდები.

ლევანმა ფანჯარას ზურგი შეაქცია და საყვარელ მეუღლეს შეხედა. ცდილობდა ნერვიულობა არ დასტყობოდა, მაგრამ ლამფის შუქიც კი ვერ მალავდა მის შეშლილ და ქაღალდის ფურცელივით გაფითრებულ სახეს.

— ლევან, — ნინოს ხმა აუკანკალდა — დავიღუპეთ?

— მაპატიე, ნინო — ჩუმად, ძლივს გასაგონათ, წარმოთქვა. ახალგაზრდა კაცი სრულიად განადგურებული იყო. აკი ეუბნებოდნენ, ეხვეწებოდნენ: „ლევან, უნდა წამოხვიდეთ. აქ დიდი საფრთხე გელოდებათ. შენ ვერც კი წარმოიდგენ, ესენი ვინ არიან. ხომ გაიგე, რა მოხდა იქ...“ „ოჯახს ნუ გაიმეტებ. ესენი არავის დაინდობენ, როგორ არ გესმის?!“ თვალწინ დაუდგა თავისი ბიძაშვილი. „მე არაფერი დამიშავებია, რატომ უნდა მერჩოდნენ? მე ჩემ მიწა-წყალს ვერ დავტოვებ. სად წავიდე? უცხო მიწაზე რა მინდა?! სანდრო, შენი გამკვირვებია, ასე როგორ შეგიძლია მოიქცე? არ მესმის.“ „არა, წარმოუდგენელია, შეუძლებელია, რამე დაგვიშაონ. ბარბაროსები ხომ არ არიან, შე კაცო, ქართველები არიან...“ „როგორ არ დაგიჯერე, ჩემო სანდრო, ჩემო ერთგულო მეგობარო“. თვალებზე ხელი აიფარა. რამდენი ხანია მისგან წერილიც კი არ მიუღია. „ეჰ, ჩემო მეგობარო, რომ შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება...“ — გაიფიქრა და ნინო გულში ჩაიკრა.

— მაპატიე, ჩემო სიცოცხლევ, ეს რა დღეში ჩაგაგდეთ. ეს რა გავაკეთე. — ჩურჩულით ბოდიშს უხდიდა მეუღლეს.

— ნუ, ჩემო სანუკვარო, თავს ნუ იდანაშაულებ — ნინოს გრძელი შავი წამწამები ცრემლებით დაენამა.

ლევანმა მეუღლე ლოგინზე დასვა, ძველ მოჩუქურთმებულ კარადასთან მდგარ სკივრთან მივიდა და საგულდაგულოდ გადამალული წერილი ამოიღო.

— ეჰ, ჩემო სანდრო, რომ შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება... — წერილი გადაიკითხა, ლანგარზე დადო და ცეცხლი წაუკიდა.

ვაიმე, სად, სად მიგვერეკებით?! ჩემ შვილებთან დამტოვეთ!..“ — განწირული ყვირილი ისევ შემოესმათ. ნინო ერთიანად კანკალებდა, სულ უფრო ეკვროდა ლევანს.

— ღმერთო, რა იქნება ახლა? ვაიმე, შვილებო. — ნინო ცრემლებს ვერ იკავებდა და ჩუმად ქვითინებდა.

ამის გაფიქრებაზე ორივეს სუნთქვა შეეკრა. ერთმანეთს გაქვავებულები შეჰყურებდნენ.

— ღმერთო! — არაადამიანური ხმით ძლივს ამოთქვა ლევანმა და ხელები თავზე შემოირტყა. — ჩემი შვილები. ჩემი ელისაბედი, ჩემი გიორგი, ჩემი პატარები.

ლევანი ბავშვების ოთახისკენ გაემართა. დაბნეული ნინო ქვითინით მიჰყვებოდა უკან. ლამაზ პირსახეზე მძიმე, მბზინავი თმა ჩამოშლოდა.

ლევანმა ოთახის კარები ფრთხილად შეაღო. საწოლში გოგონას უდრტვინველად ეძინა.

— ბატონო ლევან, — სამოცდარვა წლის ქალბატონმა გაოცებულმა წამოიწია გვერდით მდგარი საწოლიდან. ლევანს ღამით არასოდეს შეუღია ბავშვების საწოლი ოთახის კარები და თან, დაუკითხავად. მაგრამ ლევანისა და მის უკან მდგარი ნინოს შეშლილი სახე რომ დაინახა, გული გადაუქანდა: — ხომ მშვიდობაა, ბატონო? — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა.

— თინა, ჩაიცვით — სთხოვა შემცბარმა თავადმა. ისეთი აღელვებული იყო, სულ გადაავიწყდა, რომ ბავშვებთან ძიძას ეძინა და თავისი უსაქციელობისა შერცხვა. — მომიტევეთ. — დასძინა დაბნეულმა და ოთახიდან გავიდა.

— ნინო, რა მოხდა, სახეზე ფერი არ გაქვთ. — ძიძა ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა. წლინახევრის ბიჭუნას საბანი შეუსწორა, კაბა ნაჩქარევად გადაიცვა და ნინოს მიუახლოვდა.

ერთ ადგილას გაშეშებული ახალგაზრდა ქალი თვალცრემლიანი დაჰყურებდა თავის შვილებს. ხელებს იწვდიდა მათკენ და პირზე იფარებდა, ძლივს იკავებდა თავს. თითქოს არც ესმოდა ძიძის ხმა.

— ნინო, ნინო, რა მოგდით? — თინა თავის ქალბატონთან ახლოს მივიდა და ხელი მორიდებით შეახო. — ნინიკო, რა მოხდა? მითხარით, რა დაგემართათ.

ერთგული თინა დიდი ხანია რაც მათ ოჯახში იმყოფებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, თავადს ოჯახში რომ მიუყვანეს. მთელი თავისი ყმაწვილქალობა იქ გაატარა, ძალიან უყვარდა თავადის ოჯახი. ლევანიც და მისი უფროსი ძმა გიორგიც, ნათელში ამყოფოს მისი სული, მისი გაზრდილი იყო. გიორგის ტრაგედიამ დაღი დაასვა მთელ ოჯახს. ჯერ დიდი ქალბატონი გარდაიცვალა, ორ წელიწადში კი ბატონი. თინა თავს ვალდებულად თვლიდა, ბოლომდე დედობა გაეწია ლევანისთვის და მისი ოჯახისთვის. მათ გარდა არც არავინ ჰყავდა.

— ნინო, ჩემო კარგო, შემომხედე, ნინო...

ნინომ არეული მზერა მიაპყრო შეშინებულ ქალს და აცახცახებული ტუჩებით ძლივს წარმოთქვა:




— მოვიდნენ თინა, მოვიდნენ. გესმის?! ვაიმე, შვილებო!

თინამ უკან დაიხია, ფერწასულმა მძინარე ბავშვეს გადახედა, შემდეგ ნინოს შეხედა და პირზე ხელი აიფარა.

სიჩუმე ისევ მანქანის ძრავის ხმამ დაარღვია. მომართული მანქანების ხმა მათ კარმიდამოს უახლოვდებოდა.

ძიძა გონს მოვიდა. სახეზე ეტყობოდა, რა სისწრაფით ეცვლებოდა ფიქრები.

— ნინო, გონს მოდი. რაღაც უნდა ვიღონოთ.

ახალგაზდა ქალი ძიძის მოწოდებამ გამოაფხიზლა. ადგილიდან მოწყდა და ქალიშვილის ლოგინთან მიიჭრა. მძინარე ბავშვი გულში ჩაიხუტა და ნაზი ხმით შეეცადა გამოეფხიზლებინა.

— ელისაბედ, ჩემო ტკბილო, ჩემო პატარავ... ლიზი, გაიღვიძე, დედიკო. — სახეზე ეფერებოდა და ყოველ ნაკვთს უკოცნიდა.

გოგონამ თვალები გაახილა და გემრიელად გაიზმორა.

— დედიკო, უკვე გათენდა? — სახეზე ხელით მოეფერა და თვალების სისველე იგრძნო. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, უცბად გამოფხიზლდა. — დედა, რატომ ტირი? — თვალებში შიში ჩაუდგა.

— არაფერია, დედა შემოგევლოს. ჩაიცვი საყვარელო, ნურაფერს მკითხავ, — ძიძის მიწოდებულ ტანსაცმელს სწრაფად აცმევდა.

— დედიკო, — ფანჯრისკენ გაიხედა — ჯერ ხომ ღამეა? — ბავშვის თვალები ნინოს სასოწარკვეთილ მზერას შეეფეთა. გოგონას ხმა აღარ ამოუღია. მორჩილად იცვამდა. გული დამფრთხალი ჩიტივით უფრთხიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ოჯახში სიამტკბილობა სუფევდა და ყველას ერთმანეთი საოცარი სინაზით უყვარდა, მთელი ბავშვობა გაურკვეველ დაძაბულობას გრძნობდა. თითქოს მათ სახლში შიში ჩასახლებულიყო და კუნჭულებში შემალული ყურადღებით უთვალთვალებდა, ყველგან თან სდევდა. პატარა გოგონა ისე მიეჩვია ამას, რომ ველარც კი ამჩნევდა. ზოგჯერ უსიამოვნო გრძნობა თუ დაეუფლებოდა ხოლმე. — დედიკო, უნდა წავიდეთ?

ბავშვის მიერ აბსოლუტური სიზუსტით ნათქვამი სიტყვა განაჩენივით გაისმა საძინებელ ოთახში.

ნინოს დიდი ძალისხმევა დაჭირდა, რომ გოდება არ ამოსვლოდა პირიდან. ეს, მართლაც, გმირობის ტოლფასი იყო.

პატარა ლიზიმ დაინახა, როგორ უკანკალებდა განაწამები სახე დედას და მიხვდა, რომ ყოველი მისი სიტყვა ხანჯალივით ესობოდა მას.

— ერთი კვირის წინ სოფელში მისულან სატვირთოებით. მთელი სოფელი აუსხიათ და გაუყვანიათ. იოსებს მოუსწრია გაქცევა. გაღმა სოფლისთვის შეუფარებია თავი და იქიდან გორში გადასულა. თურმე სად არ ეძება თავისიანები და ვერსად უპოვია. ვიღაცებს უთქვამთ, გაუსახლებიათო იქ — თინამ ბოლო სიტყვები ჩუმად წარმოთქვა, თითქოს ეშინოდა, ვინმეს არ გაეგო. — საწყალი იოსები. ამათ ვინ დაემალება.

ნინო კარადიდან ბავშვის ტანსაცმელს და საცვლებს ჩანთაში ალაგებდა. მექანიკურად მოძრაობდა.

— ქალებმა და ბავშვებმა რა დაუშავათ. წლინახევრის ბავშვმა რა უნდა დაუშავოს. ეს რა ხდება ამ ქვეყანაში?!

— საერთოდ, უნდა აყარონ ყველა და ეს ადგილი ჩაკეტონ. მოღალატეთა ბუდეაო, აქ.

— ვინ არის მოღალატე? ღმერთო ჩემო. ესენი არიან მოღალატეები?! თორმეტი წლის ელისაბედი და წლინახევრის გიორგი? თინა, ესენი არიან მოღალატეები?! არა, სულ გაგიჟდნენ. შეჩენილი ყავთ. უფლის არ ეშინიათ?! ღმერთო, გვაკმარე განსაცდელი. შენ დაგვიფარე, წმინდაო გიორგი!

— შეჩენილი კი არა, უწმინდურები არიან ეგენი. უსულგულოები. ბაბუცამ იოსების ამბავი რომ მითხრა, ისიც თქვა, რომ იქამდე ბევრი ვერც აღწევს, გზაში იღუპებიან. პატარა ბავშვებს უფრო უჭირთო ძალიან. — თინამ ენა მოიკვნიტა, მიხვდა, რომ ბოლო სიტყვები არ უნდა ეთქვა.

გიორგის საწოლთან მდგარი ნინო თინასკენ შემოტრიალდა. ანთებული თვალებით შეჰყურებდა ძიძას. მოცელილივით დაეშვა ლოგინზე და მძინარე ბავშვი გულში ჩაიკრა. ასე იჯდა ჩუმად და არწევდა თავის პირმშოს. მოხუცი ძიძის დამჭკნარ ღაწვებზე ცრემლების ნაკადი უწყვეტად მოედინებოდა. სინამდვილე და მწარე მომავალი ორივე მანდილოსანს მთელი სიცხადით თვალწინ დაუდგა.

— თინა, — ნინოს უღონო ხმა ვედრებასავით გაისმა ღამის სიჩუმეში. ახალგაზრდა ქალის სათნო და ლამაზ სახეზე ქარტეხილები ბობოქრობდა. — გიორგი ვერ გაუძლებს ამხელა გზას და ასეთ პირობებს. შენ უნდა უპატრონო. შენ ხელს არ გახლებენ. — თინას თვალებში უყურებდა. მიღებული გადაწყვეტილება სახის ყოველ ნაკვთში უძრავად ჩაბეჭდილიყო. — მიმიხედე ჩვენს გიორგის. მოწყალე ღმერთს გაფიცებ, თინა, უარი არ მითხრა. გევედ... — ნინომ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო. უეცრად, ღამის სიმყუდროვე საშინელი დარტყმის ხმამ გადაფარა. ეზოს ბოლოს მდგარი კარიბჭე გრუხუნით, მძიმედ დაენარცხა მიწაზე და ეზოში მანქანების ხმაური გაისმა.

ნინო გველნაკბენივით წამოხტა საწოლიდან. მძინარე ბავშვი ისევ ხელში ეჭირა, ისარივით გასწორდა. თვალებით ოთახის ყოველ კუნჭულს ათვალიერებდა.

— თინა, მომყევი. — და, კარებისკენ გაიჭრა. თავზარდაცემული მოხუცი მორჩილად გაჰყვა. ნინომ ისე ჩაუქროლა ოთახებს, რომ ოთახიდან გამოსული ლევანი ვერც კი შენიშნა, კიბის ქვეშ დატანებულ კედელს მიუახლოვდა. კიდეს მეორე მხრიდან პატარა კარი ჰქონდა, ოთახის მხარეს კი სწორი კედელი იყო ამოშენებული. ვერც კი იფიქრებდით, რომ აქ შეიძლებოდა საკუჭნაო ყოფილიყო. თუ არ იცოდი ან ძალიან არ მიუახლოვდებოდი, ვერც კი შენიშნავდი, რომ კიბის მეორე მხარეს ნიშასავით სიცარიელე იყო. სწორედ, ამ მხარეს ჰქონდა კარი კიბისქვეშა პატარა ოთახს, სადაც ლევანის ოჯახი საჭირო ნივთებს, შოთის პურებს, ჩურჩხელებს, თხილს, ნიგოზს, წნილს და მურაბით სავსე ქილებს ინახავდა, იმ შემთხვევისთვის, თუ სახელდახელოდ დასჭირდებოდათ, სწრაფად გამოეღოთ მურაბა იქნებოდა ეს თუ წნილი ან კიდევ სხვა რამ და ამისთვის სარდაფში არ ჩასულიყვნენ. ერთ-ერთ გრძელ, საკმაოდ ფართო თაროზე ცარიელი ქილები ელაგა. ნინომ სწრაფად გადმოალაგა ისინი და პლედში გახვეული პატარა გიორგი თაროზე ფრთხილად დააწვინა, თავქვეშ პატარა ბალიში ამოუდო და შუბლზე ეამბორა. შემდეგ პირჯვარი გადაწერა, უფალს მიანდო თავისი თვალისჩინი, ფქვილით სავსე ტომრები თინასთან ერთად ძლივს გადმოწია და გვერდით დაულაგა ისე, რომ ბავშვი არ გამოჩენილიყო.

— თინა!

ქალი გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა თავის ქალბატონს.

— ნინიკო, შვილო...

— არ დაგავიწყდეს, რაც გთხოვე — სიტყვა გააწყვეტინა და გადაეხვია.

სახლის კარების მტვრევის ხმამ იქაურობა გააყრუა. ნინომ საკუჭნაოს კარი მიხურა. სასწრაფოდ მოწყდა იმ ადგილს და სახეწაშლილი ლევანს და ელისაბედს მიუახლოვდა. ისინი გაუნძრევლად უყურებდნენ ნინოს ქცევას და თითქოს ერთ ადგილზე მიაჭედესო, ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ბედავდნენ.

— ლევან, ის ძალიან პატარაა, ვერ გაუძლებს, ვერა! ვაიმე, დედა! — ნინიკომ თვალები ზევით აღაპყრო, მუშტებად შეკრულ ხელებს გულზე იჭერდა — გევედრები, დედაღვთისმშობელო, შენც ხომ დედა ხარ და იცი, რა სიმწარეა შვილის დაკარგვის შიში, დაიფარე ჩემი გიორგი, გემუდარები. — ახალგაზრდა ქალის ჩურჩული გულიდან ამოხეთქილი კივილის ტოლფასი იყო. შეშინებული ელისაბედი გულში ჩაკვროდა მამას, თვალს არ აშორებდა კიბის ქვეშ დამალულ საკუჭნაოს, უხმოდ ყლაპავდა გაფითრებულ ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლებს, გული მობუზული ბეღურასავით უფართხალებდა. მძიმე ფეხაცმელების ხმა სწრაფად უახლოვდებოდა ოთახს. დერეფნის ბოლოს ავტომატებიანი მცირე რაზმი გამოჩნდა. წინ შავი ტყავის ქურთუკში და ტყავის ქუდში გამოწყობილი მამაკაცი მოუძღოდა.

ლევანმა ნაბიჯი გადადგა და რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მამაკაცმა პირში მიახალა:

— აბა, ახლა ყვირილი და კივილი არ დაიწყოთ. სწრაფად გაახვიეთ რაც აუცილებელია და წამომყევით!

ნინომ კუთხეში თინას მიერ საჩქაროდ გამონასკული ბოხჩა დაინახა. მწარე ღიმილი ბაგეების კუთხეში ჩამალა. „ჩემო კეთილო, ამაზეც გიზრუნია“. — გაიფიქრა. ცოლ-ქმარი პატარა ლიზისთან ერთად უხმოდ გაჰყვა უკან გაავებულ მამაკაცს. სასოწარკვეთილი ლევანი მძიმედ მიაბიჯებდა, ისე ძალუმად მოეკუმა მუშტები, რომ ხელისგულებში სისხლი აღარ უმოძრავებდა. მთელი თავისი არსებით ითმენდა, თავს იკავებდა, რომ პირში არ მიეხალა, არ მივარდნილიყო, მაგრამ ეშინოდა, ცოლ-შვილისთვის უარესი უბედურება არ დაეტეხა თავზე. გასასვლელ კარებთან იყვნენ მისული, რომ უეცრად ქვითინის ხმა შემოესმათ. დერეფნის ბოლოდან მოდიოდა. ლევანს ფეხები მოეკვეთა.

— სდექ! — გაისმა მამაკაცის ხრინწიანი ხმა. ყველა გაჩერდა. მამაკაცმა გამომცდელი თვალით შეხედა ლევანს და გვერდზე მდგომ ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდას მიმართა:

— აბა, ერთი ნახე, რა არის მანდ!

ლევანი წინ გადაეღობა. წამში სახეზე იარაღის კონდახი იგრძნო. სისხლი წასკდა.

— არ გაინძრე! — დაუყვირა სახეშეშლილ ნინოს ფორმიანმა. — ჰა, ეშმაკობაც გცოდნიათ? არ გეკადრებათ, ბატონო ლევან! — მიუბრუნდა ლევანს. „ბატონო ლევან,“ - ისეთი ცინიზმით და ამრეზით წარმოთქვა, რომ სიტყვებთან ერთად მთელი ზიზღი ამოანთხია. — აბა, ვნახოთ. სოროში ვირთხები გყოლიათ? — სიამოვნებისგან სახე ულაპლაპებდა. ნიშა გულდასმით დაათვალიერა. საკეტი შენიშნა და კარები გააღო. საკუჭნაოდან გამეხებული ქალი გამოვარდა.

— დეიდა თინა, თქვენ? — ახალგაზრდა კაცი შეცბა. პატარა რომ იყო, რამდენჯერ დაუპურებია დეიდა თინას, რამდენჯერ გამოქომაგებია. დედაქალაქში წასვლის წინ, სრულიად ახალგაზრდა ბიჭს, დეიდა თინამ თავისი დანაზოგი ხელში სულ ძალით ჩაუდო, „შენგან კარგი კაცი დადგება, შვილო, სწორედ მოიხმარეო.“ — ასე უთხრა. თითქოს მდუღარე წყალი გადაასხესო, გაშეშებული იდგა. არ იცოდა, რა ექნა.

— ჰა, რა მოხდა, რას გაშეშებულხარ! არ გესმის?! წამოიყვანე! — დაუღრიალა შავტყაოსანმა.

თინა სასწრაფოდ გაეცალა საკუჭნაოს. ერთ რამეზე ფიქრობდა მხოლოდ, საკუჭნაო არ გაეჩხრიკათ და ფქვილით სავსე ტომრებთან დამალული მძინარე გიორგი არ ეპოვათ. საკუთარი ხელებით საკუთარი გულის ამოგლეჯვა უნდოდა იმისთვის, რომ ვერ შეაჩერა ნიაღვრად ქცეული ცრემლები. საწყალი, ნინოსკენ გახედვას ვერ ბედავდა. გამწარებული მის წინ მდგარ კაცს თვალებით ბურღავდა. ახალგაზრდა კაცი ისე დააბნია თინას გამგმირავმა მზერამ, რომ საკუჭნაოში არც კი შეუხედია, ისე წაილაპარაკა:

— ეს არის სულ! — შემდეგ თინას მიუბრუნდა — მობრძანდით, დეიდა თინა.

დერეფანში ახალგაზრდა ქალის სიმღერის ხმა გაისმა. ნინო თავის საყვარელ სიმღერას მღეროდა, იმას, ბავშვებს რომ უმღეროდა ძილის წინ. სპეცფორმებში თავმომწონეთ გაჯგიმული შავრაზმელები გაოცებულები შეჰყურებდნენ ნინოს. მარტო ლევანმა და დეიდა თინამ იცოდნენ, ხმამაღლა რატომ მღეროდა ნინო. ის თავის გულის ნაწილს, თავის პატარას უმღეროდა უტკბესი ხმით, ხმამაღლა მღეროდა, სიმღერით უნდოდა გადაეფარა ხმაური. ახალგაზრდა ქალს რწმენით სავსე ნათელი გადაფარებოდა სახეზე. ფრესკას მოგაგონებდათ, ტაძრის კედელზე ამღერებულ ფრესკას.

— „მობრძანდით“! ჰმ. რა ბრინჯივით დაიბენი ბიჭო. მადლიერების გრძნობა ცუდი მრჩეველია, დაიმახსოვრე! — დამცინავად გადახედა დანარჩენებს შავტყაოსანმა და კბილებს შორის გამოსცრა — „მობრძანდით“ კი არა, ფეხი გამოადგით! ჩქარა! — ისეთი ძალით ჰკრა ფეხი დერეფნიდან გამავალ კარებს, რომ კარები ხმაურით მიეხეთქა კედელს და შუშების მტვრევის ხმა ნინოს ძლიერ და საოცრად რბილი ხმის ტემბრში ჩაიკარგა.

— ფუი, შენი... — შეიკურთხა კაცმა და ენერგიულად ჩაირბინა მაღალ „ბელეტაჟზე“ საუკუნეებით მდგარი სახლის კიბეები.

ნახევრად ღია საკუჭნაოში კი პატარა გიორგის პაწია ფუმფულა ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და ნინოს იავნანით დამშვიდებულს ძილში ტკბილად და უდრტვინველად ეღიმებოდა.

# გენრი დოლიძე



## სიჩუმე შტორმის წინ

დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში,
რადგან ჩაყოლას ვამჯობინე ისევ ჩათრევა,
რადგანაც ყელში გავეჩხირე სიკვდილის შიმშილს,
ვით წვიმის წყვეთი მიტოვებულ ქუჩის
შადრევანს.
დუმს არსებობის ჩავარდნილი ბოლო კლავიში...
და ახლა გულში ჩემს რეკვიემს მუნჯურად
ვგალობ,
რადგან იღბალი ჩამაფრინდა ისევ მკლავებში,
მრჩება ნახევრადგალეწილი ცხოვრების კალო.
მუნჯდება ტალღა მზეჩაგდებით,
კენჭებჩაგდებით,
თითქოს კომეტას ხედავდეს და სურვილს
უთქვამდეს,
ზოგჯერ გგონია გაიყინა, ისე ჩაკვდება
ზღვა, ნერვიული ჩასუნთქვიდან
ამოსუნთქვამდე.
თითქოს სასცენოდ ემზადება სკოლის ზეიმზე
წამოაწითლა პულსაციის გაზრდილმა მარჟამ...
ვდგავარ ნაპირთან ნანგრევივით კოლიზეუმის
და თვალს ვაყოლებ დროისა და დუმილის
მარშებს.
დუმს დამიზნებით მოშვერილი ათასი თოფი,
რადგანაც ყელში გავეჩხირე სიკვდილის
შიმშილს,
რადგან სამყაროს ვერ ვუყურებ თვალებში
ნდობით,
დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში.

## არც

არ მოწყვეტია ამ საღამოს ყურზე ვარსკვლავი,
არც ჩავიფიქრეთ ერთად ყოფნის ტკბილი
სურვილი,
არც წვიმის წვეთებს ზეცის ყელზე მძივად
ნასკვავენ,
არც ჩავარდნილა მზე ტალღებში,
ოქროცურვილი.
არც მიგვაცილა წყვილმა ჩრდილმა საყდრის
კარამდი,
არც მიგემია შენი კოცნის კოკა წყაროსთან,
არც მითქვამს შენთვის, რომ დღეს ნაბდით
მოგიპარავდი,
არც მიმიღია სამიჯნურო შენი ბარათი.
არც მთვრალს კოცონთან რომ მიყვარდი,
ის არ წამომცდა.
არც გვიცეკვია წვიმის ტანგო პალმების ქოლგით,
არც ღამემ ჩემი ბაგეები შენში ჩახრახნა,
არც აგვიკლია პოეზიით პროსპექტი გორკის,
გორგილაძედ რომ გადაკეთდა აგერ, ახლახან.
არც გაგვიშვია გალიიდან ჩიტი კანარის,
არც ძველ კაფეში შეგამჩნიე, სარკმლის მიღმა ხარ,
არც გამიცვლია შენს მანდილში ვერცხლის ქამარი,
არც აივანთან დამინთია „მე შენ მიყვარხარ“,
უყველაფრობით და სიჩუმის მკრთალი ლირიკით
ჩვენ უარვყავით ყველა პოზა, ყველა ნიღაბი,
მხოლოდ მე და შენ ვარსებობდით ანდაც,
პირიქით,
ეს ყველაფერი იყო მაგრამ ჩვენ არ ვიყავით...

***

მშვიდობით, თავო ჩემო, შენ ჩემო ერთადერთო
მტერო და მეგობარო.
დამლალე, გადავწყვიტე,
შევახტე მატარებელს, ბაქანზე მიგატოვო,
ან სადმე, მარტოსულთა პოეტთა პანსიონატს
მიგაბარო,
მშვიდობით, თავო ჩემო, შენ ჩემო ერთადერთო
მტერო და მეგობარო.

ან ახალ ჩაძინებულს, რიჟრაჟზე ფეხაკრეფით
სახლიდან გაგეპარო,
ან სადმე, ქალაქგარეთ, ლეკვივით მდინარესთან
ჩამოგსვა მანქანიდან,
ან გემით გაგამგზავრო და შენი სამყოფელი
ვაცნობო მეკობრეებს,
მშვიდობით, თავო ჩემო, შენ ჩემო ერთადერთო
მტერო და მეგობარო.

მტერო და მეგობარო, შენ ჩემო ერთადერთო,
მშვიდობით, თავო ჩემო,
მივდივარ, დაიტოვე, რაც გინდა შენი იყოს
ლექსიან-ტაშიანად,
გადაწყდა, შენც ხომ იცი, მე უკან არ დავიხევ,
თუ რამე ავიჩემე...
მტერო და მეგობარო, შენ ჩემო ერთადერთო,
მშვიდობით, თავო ჩემო,
მღლის ღამის შეღავათი,
მზე ზღვაში აიდღვიბა
დამდნარი კარაქივით...
ო, უნდა მაპატიო, და თუმცა, პატიება
ყოველთვის დასჯადია,
დამწყები არ გეგონო, შიგ გულში გავიტარე
ამ ცეცხლის ჰარაკირი.
მათ რიცხვში არ გამრიო, ლექსებს რომ დაწვავენ და
ვერ გრძნობენ, რას სჩადიან...

მადლობა, თავო ჩემო,
შენ ჩემო უღალატო მტერო და მეგობარო,
ტკივილებს მარტოობის
ენაზე მითარგმნი და ცხოვრებას მიმარტივებ,
არ გინდა, ნუ იფიქრებ, სასჯელზე, საზღაურზე,
მე ისიც მეყოფა, რომ
ამაშიც დამასწარი, ამაშიც მაჯობე და...
პირველმა მიმატოვე.

***

ფანჯარა, ჩემი კედლის გაზეთი
მესამე დღეა მაკითხებს ზამთარს.
და რაც დრო გადის როგორც ასეთი,
ვერ გიყოფ ისევ საკუთარ თავთან,
მცივა, ფიფქებით ისე მევსები,
რომ ვახარისხებ ტკივილებს ძნებად,
და შენს თვალებში ჩემი ლექსები
მარტის თოვლივით ნაკლებად დნება,
და რაც დრო გადის, კოცნების წყურვილს
უფრო ნაკლები ცეცხლი ედება,
და აღარ სკდება ლექსების ჭურვი,
შენი გულწრფელი ცრემლის წვეთებად,
ალაგებ ჩემი სულის განჯინას,
და ლექსის ნაცვლად ცარიელ გვერდებს
კეცავ და აწყობ როგორც განაჩენს,
უსათაურო დღეების გვერდით,
გარეთ კი თოვა ველარ აჯაზებს,
არ ესინჯება ამინდსაც პულსი,
და ლექსი მიდევს თოვლის მაჯაზე,
და თოვლი მადევს დარდივით გულზე,
და მაინც ვკემსავ ღამის მაქმანით,
რიგითი ზამთრის რიგით კვირის დღეს,
რომ გისახსოვრო თოვლის თარგმანი –
ამ წლის პირველი კოცნის გვირისტი.
თათუსია,
გუშინ მზე სხივებით თავზე დამხაროდა,
დღეს კი გაპარული სტუმრის სტატუსი აქვს.
სადღაც დაიმალა მთელი სამყარო და
ხელი არ გამიშვა, ჩემო თათუსია!
შიშით მდუმარებამ ტუჩი ჩაიკვნიტა,
გარეთ სიჩუმე აქვს ხმაურს ატეხილი,
ღამე ჩამოასხა ზეცამ ჩაიდნიდან –
მთვარე მიილია შაქრის ნატეხივით...
რისი დედამიწა?! – რისი მამამიწა?!
უხმოდ ყველაფერი წყვდიადს ატუზვია...
ბედმა გარდაცვლილი ღამე დამაფიცა –
ხელი არ გამიშვა, ჩემო თათუსია!
მოდი, არეული ჩემში დალაგდი და
მერე ჯანდაბამდე მივცეთ გზა უკუნეთს...
გელი ხელგაწვდილი, როგორც სტალაქტიდა,
როგორც სიყვარულის ბოლო საუკუნე...
გუშინ, მზე სხივებით თავზე დამხაროდა,
დღეს კი გაპარული სტუმრის სტატუსი აქვს.
ხელი არ გამიშვა, ხელი არ გამიშვა,
ხელი არ გამიშვა, ჩემო თათუსია!

## ზოგჯერ...

ხელში უჭირავს ამინდს კარტებად,
ლექსები – ჩემი ცხოვრების საჭე,
ზოგჯერ სათქმელი მაშინ მთავრდება,
როცა, უბრალოდ, სათაურს დაწერ.

გაზაფხულდება,
წვიმის ციცრები გადაუფრენენ მაისის ბაღებს,
ზოგჯერ სიზმარი მაშინ იწყება,
როცა იღვიძებ და თვალებს ახელ...

უჯრაში ნაპოვნ ლექსის არტეფაქტს,
უსინჯავ ასაკს გულსა და სიცხეს...
ზოგჯერ მთავარი მაშინ მთავრდება
როცა საერთოდ დაწყებას იწყებ.

გამშრალი ცრემლის მირონს იცხებენ,
დღეები ლექსის შეხსნილი თასმით...
ზოგჯერ მთავარი მაშინ იწყება,
როცა გგონია წერტილი დასვი.

## შავლეგო

თოვდა.
ღრუბელი სევდიანი ზღაპრების გუდა
რა ნაადრევად დაბერებულს აჰკიდეს ქალაქს?!
თოვდა...
მთაწმინდა დაეხურა რუსთაველს ქუდად
ანძა კი ქუდზე მიმაგრებულს მოჰგავდა კალამს...
თოვდა...
და ზამთარს უწეწავდა ნიავი ფაფარს,
ეცვა მოედანს ორი ზომით ვიწრო მიტინგი.
თოვდა...
ქართველთა ერთადდგომის ბოლო მითი კი
ტყის ბილიკივით დაეფარა ფიფქების საფარს.
თოვდა...
ამინდის მუნჯურ კინოს მივაყურადე
და ხსოვნის კადრზე აღიბეჭდა ერთი სურათი:
ორი სამი თვის ლეკვი თოკით მოჰყავდა პატრონს...
ლეკვი ქუჩაში არაერთხელ მენახა სხვა დროს...
მენახა თოკით, პირსაკრავით, სკვერში თუ ბაღთან,
მაგრამ მგლის ლეკვი?! – არასოდეს მენახა ნაღდად!...
არაძაღლური მზერა ჰქონდა, სულის ამღლეტი
და მის თვალებში ბობოქრობდა მთელი სამგლეთი...
ჰო, მის თვალებში (ბოდიშს ვიხდი სხვა
მგლის ლეკვებთან)
ყმუოდა მგელზე დაწერილი ყველა ლეგენდა...
ელავდა ვახტანგ გორგასალის ბოლო ომი და
გრგვინავდა ექო წამოსული ძველი რომიდან...
რადგან ჩათვალა, ირღვეოდა ბუნების დოგმა,
მგლის შვილს ქალაქში რა უნდაო? – იკითხა
ზოგმა.
პატრონმა გვითხრა, რომ პატარა ხევსურ
მაუგლის
ორი კვირის წინ ტყეში თვალწინ დედა მაუკლეს.
მოვეფერე და ვით ქართველთა მონამ თათრისა
თათი ამიკრა, მოფერება იუკადრისა...
თითქოს შემღრინა: – შენ მე ძაღლში ხომ არ
გეშლები?
და იხმალშიშვლა მოკაშკაშე მთვარის ეშვები...
ალალი იყო მასზე... ალბათ, გრძნობდა თავადაც
გმირის სახელი და გმირულად ეჭირა თავი...
წასვლამდე ერთიც აგდებულად შემხედა ცერად,
ავტოგრაფივით დამიტოვა უტეხი მზერა...
გაჰყვა რუსთაველს უდარდელი სევდით შავლეგო
და თეთრ ქუჩაზე კარგა ხანი ჩანდა შავ ლაქად...
გადასდო ამინდს ხასიათი სევდისმაგვარი
და გაურითმა გრძელ ქუჩაზე ნაკვალს ნაკვალი.
თითქოს ბუნების ყველა ცოდვა თეთრმა წაშალა
თითქოს უფალთან მიდიოდა ყველა გზა-შარა.
თოვდა...
ამინდის მყუდროება ჰგავდა კელიას.
თოვდა...
ჭადარი იდგა, როგორც წირვის რეგენტი...
ვიდექი თოვლში და ვფიქრობდი: მგელი მგელია...
მგელი-მგელია ზღაპრისაა, ტყის თუ ლეგენდის!..

## აყრება

მიედგა ქალაქს ზღვით სავსე კათხა
ნაპირთან ქაფით დასვროდა ტუჩი.
მახსოვს, გავრბოდით სახლიდან სადღაც –
მთვარე ძაღლივით მოგვდევდა კუდში.

ნაპირს მომდგარი ქაღალდის ნავი
ელოდებოდა ზღვას კვლავ ებიძგა...
ზეცა დავცალეთ თუთის ხესავით
ნახევრადმწიფე ვარსკვლავებისგან.

აწიე ცივი ხელისგულები
და თქვი, რომ ცალკე სავალი გზა გაქვს...
მერე ზურგსუკან, ხურდა ფულივით
ისროლე ჩვენი ბავშვური საგა...

(მას შემდეგ, ჩვენდა ჭირად თუ ბედად
ზღვაში დათესილ ტკივილებს ვიმკით),
მერე დეკემბერს – სუროგატ დედას
წასკდა იანვრის პირველი ფიფქი...

ღეჭავდა ტალღა – მშიერი ლოქო,
სიბნელეს – ქვრივი ამინდის კალთას...
და იდგა ზამთრის სიცივე, როგორც
უსიყვარულოდ დაწოლა ქალთან.

## ლოცვა თამარისათვის

მინდა მოვაბრუნო თანაც,
მინდა დავანახო მთავარი,
ღმერთო, გადმოხედე თამარს!
ღმერთო, დაიფარე თამარი!

ღამის ლოცვასავით თბილი
ასეთს გადაიტანს აწ რამდენს?
შენსკენ გამოუდგა ბილიკს,
ღმერთო, მიაცილე ტაძრამდე...

შენც ხომ გაგიჭირდა ღმერთ-კაცს
ჯვარის გოლგოთამდე ტარება?!
შენც ხომ გვერდით ვიღაც გედგა,
ღმერთო, არ მიხურო კარები!

მასაც, ძლიერ უჭირს ზიდვა
(იცი, არ გჭირდება ჩემი თქმა).
ღმერთო, მე ამკიდე, მზად ვარ,
მხარზე მისი ჯვარიც შევიდგა!

შენს წინ სნეულივით ვდგავარ,
შენ ხარ კურნებაც და წამალიც,
ღმერთო, შეეწიე თამარს!
ღმერთო, დაიფარე თამარი!

## ათას ცხრაას ოთხმოცდა...

*(ეძღვნება პურის რიგში ბავშვობადაკარგულ 80-იანების და 90-იანების თაობას)*

დაბადების თარიღი - ათას ხცრაას ოთხმოც და...
დაბადების ადგილი – დასანგრევი ქვეყანა.
ყველას თავის ანგარიშს ისტორია მოთხოვს და
გული არ გამიძლებდა ცოტა რომ დაგვეხანა.
ვთამაშობდით ქვიშაში და ბავშვობა წაგვგლიჯეს,
(ეგებ, ვინმე თუ არა, ქარი მაინც მომიტანს)...
ვიჯექით და ვუთვლიდით საქართველოს ნაბიჯებს.
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს – გაქცეულს
აფხაზეთის ომიდან.
ისტორია თავისას თავისთავად აგვარებს,
ბავშვი – ყველა ბავშვია – ქართველიც
და აფხაზიც...
რადგან მეც ხომ სხვასავით საქართველოს
მაგვარად
ქვეშმიწერით გამყვეს და განაყოფთან გამხაზეს.
ყველა, ვინც კი გულმკერდის ძმათა სასაფლაოზე
ვაგნებთ გულის საფლავს და არ მივიჩნევთ
თავს ობლად -
ვდგავართ პურის რიგში და ვიცით თითო
დაოსილს
გვიწევს თითო პური და ასი გრამი ბავშვობა...
ო, რა გემრიელი და ცრემლიერი ძღვენია,
ცრემლში ცურავს ტივი და იმედია მეტივე...
დახეული ოცნებით დავდივარ და მრცხვენია,
რადგან ჩემს სამშობლოზე სამშობლოთი მეტი ვარ!

## მეხსიერების რადიო

*(ვუძღვნი სოფლად აქა-იქ შემორჩენილ უკანასკნელ მოჰიკანებს. )*

აქ რომ კუნძი დგას - ხე იდგა,
აქ რომ კედელი - ფერმა...
ამ სასაფლაოს ადგილზე - საპაემანო ბორცვი.
შენი ჩამოსვლით, ნენილო, თავი აწია ჭერმა,
შენახარ ჩემი სიბერის ღვთის შესმენილი ლოცვა...

თუ ჩემი ბებიელე ხარ დარჩი პაწახან ჩემსას,
ჩემო კერიის ღადარო, ჩემო ჭერო და ერდო...
რძეში ჭადს ჩამიფუნჩხავდა, პურს
გატეხავდა ხემსად,
ფუხართან ერთად წასვლამდე მისი
თვალებიც ენთო...

მოგვაცილებდა ათასი „შინ დალოცვილი ჩადიო“
ამანათები, ნობათი, კაეშანი და ბრაზი...
მე დღემდე ვუსმენ იმ დროის მეხსიერების
რადიოს,
ბავშვობის ფირზე აღბეჭდილ სოფლის ხმებსა
და ფრაზებს:

„მაროჟნის“ მატოციკლეტით გაგიფრინდება
ბავშვობა...“
„ებიჯო ნუ პრაფესორობ, გაი ჭიშკართან
დახვდი,“
„რა უბედური ყბაი აქვს, ერთს იტყვის მარა
დაგშოკავს,“
„დემოგრაფიის მტერია შენი ნამგზითვი ტახტი!..“

„რომ ჩახვალ ამომიტანე რამე ახალი გაზეთი,“
„რავა შარშანდელ„პრავდაში“ ვერ გაახოვდი
თუთუნს?“
„სა ნახე კობა ბიძია მა ოღრაშული კასეტა?“
„ადნაჟდი ამერიკაში“ უზდელობაა? ნუთუ?!“...

„რაის ფულს მკადრებ ბაბუა?
ბაბუაშენის ბაბუა...
ბებიაჩემის ბაბუის... მოკლედ ერთი ვართ
ყველა...“
„სოფლის მაწონში თუ მოვზელ, აღარ ვუმატებ
საფუარს,
და ფირმის დიდი სეკრეტი! - ჩემი კასანდრეს
ყველი“

აქ იდგა უნივერმაღი, აქ გვიჩრდილავდა
კაკლის რტო,
აქ ავტობუსი შეკრებდა ათასი კომლის ნაგრამს...
აქ იდგა ხე და ბებია მანდილს უქნევდა
აგვისტოს...
ბოლოფოთლიან ტოტს ჰგავდა,
სიმებდაწყვეტილ საკრავს.
სიბერესავით მძიმე და ბავშვობასავით მსუბუქი
ხელისგულივით ნაცნობი გზები ამბებად ყოფენ...

სამი„მობრძანდის“ იმედად ,
ორი მოსწავლის იმედად,
თავისი თავის იმედად,
მარტოდ დარჩენილ სოფელს.

***

რა დამაძინებს, როდესაც ფირით
შენს ფანჯარაზე ვამჟღავნებ თბილისს?...
რა დამაძინებს?

რა დამაძინებს როცა გაფრენილ წლებს
აჩქარების ფორმულით ვიყვან...
რა დამაძინებს...

რა დამაძინებს, როდესაც ამ შენს,
ამ ჩემს ოთახში წვიმის ხმას ლვიძავს?...
რა დამაძინებს...

რა დამაძინებს, როდესაც ფიქრი,
ძუკნა ძაღლივით ეძებს საკბილოს,
დარბის ნაწვიმარ ქუჩაბანდებში,
მგელივით მშიერ ღამეს აცილებს...
რა დამაძინებს?

რა დამაძინებს, როდესაც ვიცი, რომ დაკარგული
ძველი ლექსი დამესიზმრება,
როგორც აბორტით მოკლული შვილი - უცნობ
დედას, სიცხიან სიზმრად მესტუმრება და
თვალს ამარიდებს...
რა დამაძინებს?

რა დამაძინებს, როდესაც ვიცი,
რომ შემიძლია შენი ხმა მეცვას,
რომ შემიძლია შევცურო შენი
თვალის და ჩემი არყოფნის ფერში...
რა დამაძინებს?!

რა დამაძინებს, როდესაც ვიცი,
სიზმარში მოვა დარეჯან ბებო,
მისაყვედურებს გუშინ ჭამის წინ
დაუბანელი ხელების გამო...
მე დარცხვენილი დავმუნჯდდები
და
დღესაც ვერ ვეტყვი, რომ ცოლ-შვილი მყავს...
და ვერ გავაცნობ სიკვდილის წინ ნანატრ
შვილთაშვილს...

# მირიან ბაჰლაუნდის შთამომავლების გენეალოგიის შესახებ

## (IX–XI საუკუნეებში სამცხეში მოღვაწე ზოგიერთი საგვარეულოს ისტორიიდან)

**კახაბერ ჯაყელი**

**მირიან ბაჰლაუჰდის** სამმა ძემ: **სულამ, ბეშქენმა** და **ლაკლაკმა,** საფუძველი ჩაუყარეს IX–XI საუკუნეებში სამცხეში მოღვაწე შემდეგ საგვარეულოებს: **ჩორჩანელების, ჯაყელების, ლაკლაკთა** (ლაკლაკისძეების), **ციხისჯვარელებისა** და **ხურსიძეების.** ამ ფეოდალური სახლების შესახებ აღსანიშნავია **ნ.შოშიაშვილის** მოსაზრებები.

მეცნიერის თვალსაზრისი მოკლედ შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ: გიორგი ჩორჩანელის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი სამფლობელო და ქონება მისი დის ლატავრას შვილებს გადაეცა. მისი უფროსი ვაჟი სულა გახდა ჩორჩანელთა ახალი საგვარეულოს ფუძემდებელი. შუათანა ვაჟმა ბეშქენმა სათავე დაუდო ჯაყელთა საგვარეულოს, ხოლო უმცროსმა ლაკლაკმა – ბაჰლაუნდების ლაკლაკთა ახალი განშტოება წარმოქმნა. ახალი ჩორჩანელების (ხოლო შემგომ მათი განშტოება ხურსიძეების) საგვარეულო მონასტერი იყო ზარზმა. X საუკუნეში ზარზმის ევგტერი ააგო ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის მონაწილე ივანე სულას ძემ (ალბათ, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" ნახსენები სულა მირიანის ძის ვაჟმა). ივანე სულას ძის შვილიშვილები უნდა ყოფილიყვნენ XI საუკუნის სერაპიონ ზარზმელის VI-VII საუკუნეებში მოღვაწეობის შესახებ, მაშინ მართლაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსენ კათოლიკოსის მამა – მირიანი, მირიან ბაჰლაუნდის შთამომავალი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერთმანეთის თანამედროვეები გამოდიან. პირადად ჩვენ **მ.ჩხარტიშვილის** მოსაზრებას ვიზიარებთ, რომ **„სერაპიონი VI ს-ის დამლევის, უფრო კი VII ს-ის I ნახევრის მოღვაწეა."** (სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის პერიოდის განსაზღვრა ქართველ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჩვენ ამჟამად არ ვაპირებთ ამ საკითხის დაწვრილებით განხილვას, დაინტერესებულ მკითხველს კი შეუძლია ამის შესახებ დაწვრილებით გაეცნოს მ. ჩხარტიშვილისა და ნ.ვაჩნაძის ნაშრომებში. აქ მხოლოდ ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ, თუ კი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მოხსენიებული მიქაელ პარეხელი ერთი და იგივე პირია, რამდენად რეალურია, რომ გიორგი მერჩულე არ მოიხსენიებს სერაპიონ ზარზმელს. იგი ხომ თითქმის ყოველთვის აღნიშნავს თუ რომელმა მამამ რა დააარსა და რა გააკეთა. უფრო მეტიც, გიორგი მერჩულე ნეტარ მამათა მოსწავლეების მიერ დაარსებულ მონასტრებსაც ასახელებს. თუნდაც ერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიტანოთ – ***„წინამძღვარი მიძნაძორისაჲ დიდი მამაჲ სანატრელი დავით,*** ნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერითა ძე თვისი დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთა .... რომელ ჟამსა მას ხელმწიფე იყო მამფალი გვარამ დიდი, მირიანისათვის გულძვირად იყო. და



*თორნიკე ერისთავის ფრესკა ივერონის მონასტრიდან.*

და საქმე ესე სამ წელ. ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღდელთმოძღვარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისაჲ, რამეთუ არა ჯერ იყო ცხედარსა ქვეშე დაფარვაჲ სანთლისაჲ. და ხელთ იდვა რაი განგებაი სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი... და ვითარცა გარდახდა წელიწადი შვიდად აღთვალული, დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უწესობანი წმიდისა ამის მღდელთმოძღვრისა გიორგის მიერ."** როგორც ვხედავთ, ლაკლაკის მიერ საკუთარი დის ძის მკვლელობამ, სამცხეში საკმაოდ ხანგრძლივი არეულობა გამოიწვია. ბასილი ზარზმელის მიხედვით ვითარების სრულ დაწყნარებას შვიდი წელი დასჭირდა.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში არსებულ ცნობებზე დაყრდნობით შეგვიძლია შემდეგი სახის გენეალოგიური სქემა შევქმნათ:

*იოანე*

*ბეშქენ ბაჰლაუნდი*

*მირიანი + ლატავრი (თეკლა) გიორგი ჩორჩანელი*

*სულა ბეშქენი ლაკლაკი ასული (სახელი უცნობია)*

ჩვენი აზრით, მირიან ბაჰლაუნდის შვილები VII საუკუნის II ნახევრის მოღვაწეებად უნდა მივიჩნიოთ.

შუა ხანების მოღვაწე ძმები გიორგი ჩორჩანელი და ფარსმან თმოგველი სულას ძეები. ეს გიორგი უკანასკნელია წყაროებში მოხსენიებულ ახალ ჩორჩანელთა შორის. შემდეგ მათ მამულს მათივე განშტოება – ხურსიძენი დაეპატრონნენ.

ჯაყელებთან დაკავშირებით, **ნ.შოშიაშვილი** წერდა – **„საგვარეულოს დამფუძნებელი ჩანს ახალი ჩორჩანელების წარმომადგენელი ბეშქენი (მირიან ბაჰლაუნდის შუათანა ძე). მისმა შთამომავლობამ მეფისაგან მიიღო ჯაყისწყლის, ფოცხოვისა და ურავლის ხეობები."** წყაროებში პირველ ჯაყელად თუხარისის ერისთავი ბეშქენი იხსენიება, ხოლო შემდეგ, ყველის ერისთავი მურვანი (ალბათ ბეშქენის ძე). ბეშქენის ძის მურვანის ვაჟი იყო 1118 წელს ჯავახეთში თურქების მიერ მოკლული ბეშქენ II. 1178 წელს მემნა ჯაყელმა გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებულ ორბელებს დაუჭირა მხარი. თამარის დროს, ბოცო ჯაყელი გიორგი რუსს მიემხრო. მეფემ მათ ჩამოართვა თანამდებობები და ციხისჯვარელებს გადასცა. ისინი გახდნენ ახალი ჯაყელები. ძველი ჯაყელები კი ბოცოსძეებად იწოდებოდნენ. ნ.შოშიაშვილის აზრით, ხურსიძეთა გვარის ფუძემდებელი ჩანს XI საუკუნეში მოღვაწე ხურსი, რომელიც დაიღუპა შირიმნის ბრძოლაში. ახალ ჩორჩანელთა სამფლობელოს ნაწილი გადაეცა ციხისჯვარელებს, ნაწილი ჯაყელებს, ლაკლაკთა და ხურსიძეებს. შესაძლოა იმერეთში მოხსენიებული გიორგი და ხურსი ხურსიძეთა წარმომადგენლები იყვნენ და, მაშასადამე, ხურსიძეები მიწას იმერეთშიც ფლობდნენ. ნ.შოშიაშვილი ციხისჯვარელებსაც ახალ ჩორჩანელთა განშტოებად თვლიდა, რომლის ფუძემდებელიც სულა კალმახელი იყო, რომელსაც ბაგრატ IV-მ თორში მდებარე ციხისჯვარის ციხე უბოძა. სულას საგვარეულოს მეორე შტომ კალმახის საერისთავო დაიმკვიდრა და კალმახელად იწოდა. გიორგი რუსის აჯანყების დროს გამოჩენილი ერთგულების გამო თამარმა ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს უბოძა სამცხის ერისთავთერისთავობა და სპასალარობა და უწყალობა ჯაყის ციხე, რომელიც ახალ ჩორჩანელთა მეორე განშტოების წარმომადგენელ ბოცოს ჰქონდა. ამ ყვარყვარეს შვილიშვილი სარგის I სამცხის მთავარი ხდება.

მირიან ბაჰლაუნდისა და მისი შვილების შესახებ ცნობა დაცულია ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში." ამდენად, მნიშვნელოვანია თუ როდის დაიწერა ეს ნაწარმოები და რა პერიოდის ვითარებაა მასში ასახული. **პ.ინგოროყვას** აზრით, **„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" დაწერილია VII საუკუნეში და ასახავდა VI საუკუნის ვითარებას."**

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის, რომ მეცნიერი არსენ კათოლიკოსის მამას, მირიანს მირიან ბაჰლაუნდის შთამომავლად მიიჩნევდა. **ნ.ვაჩნაძის** აზრით, რომელიც სერაპიონ ზარზმელს IX საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევდა, მირიან ბაჰლაუნდი არ არის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენიებული მირიანი, მაგრამ **„ცხადია, ორივე მირიანი ბაჰლაუნდების საგვარეულოდანაა".** თუ გავიზიარებთ მოსაზრებას



*ზარზმა. ლაკლაკიძეების ჭედური ხატი*

***მაშენებელი მონასტერთაჲ და მოწაფენი მისნი, ნეტარნი – ილარიონ, მამაჲ და მაშენებელი წყაროსთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას და მამაჲ ზაქარია, მაშენებელი ბარეთელთისაჲ".*** ასეთ შემთხვევაში, ჩვენთვის გაუგებარია სერაპიონ ზარზმელისა და მისი თანამოაზრეების მოუხსენიებლობა. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ სერაპიონო მიქაელ პარეხელისა მოწაფე იყო. უფრო მეტიც, მიქაელ პარეხელი იყო ზარზმის მონასტრის დაარსების ინიციატორი. ბასილი ზარზმელის მიხედვით, ნეტარმა მამამ სერაპიონმა გიორგი ჩორჩანელის ქვეშევრდომ მთავრებს უთხრა – **„მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქმულისა მიქაელ პარეხელისანი და ბრძანებითა საღმრთოითა მის მიერ წარმოვლენილნი, რაჲთა ადგილსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართაჲ პირმეტყველთაი",** ხოლო იმავე გიორგი მერჩულეს მიხედვით კი, თავად მიქაელ პარეხელი იყო **„მეგობარი ნეტარისა მამისა გრიგოლისი").**

ამდენად, ჩვენც ვიზიარებთ პ.ინგოროყვას მოსაზრებას, რომ არსენ კათოლიკოსის მამა – მირიანი, მირიან ბაჰლაუნდის შთამომავალი იყო. არსენ კათოლიკოსის მამის შესახებ ცნობები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია" დაცული – **„და ვითარ მოიწივნეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისაჲთა ძეჲ დიდისა მირიან აზნაურისაჲ დაიმოწაფეს, სახელით არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენიც, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გვირგვინი დაუჭნობელი".** მირიანი რომ დიდი ფეოდალი ანუ მთავარი იყო და შესაბამისი გავლენაც ქონდა, ეს ნათლად ჩანს მისი ვაჟის, არსენის, კათოლიკოსად არჩევასთან დაკავშირებული მოვლენების დროს – **„დიდი არსენიც კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტეის კვართისა სამკვიდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა... არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირიან, არსენის მამისათვის, ფრიად გულწყებულ იყვ-** **მსწრაფლ ბრძანა შეკრებაჲ ეპისკოპოსთაჲ და უდაბნოისა მამათაჲ. და ყოველი შემოკრბეს ჯავახეთს".** ცხადია, ძლიერი მთავრის გარდა ვერავინ შეძლებდა გუარამ მამფალთან დაპირისპირებას (ჩვენი აზრით, გუარამსა და მირიანს შორის დაპირისპირება არსენის კათოლიკოსად არჩევამდეც არსებობდა. მიზეზი უცნობია, მაგრამ, ალბათ, იგი უკავშირდება გუარამის სურვილს – თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა სამცხეზეც. ძნელი სავარაუდოა, რომ მირიანს ქონდა სურვილი დაუფლებოდა გუარამის სამფლობელოს რაღაც ნაწილს). ჩვენი აზრით, მირიანი ლაკლაკთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ლაკლაკის შთამომავალთა შორის სახელი მირიანი საკმაოდ გავრცელებული იყო.

თუ სერაპიონ ზარზმელი VII საუკუნის I ნახევრის მოღვაწე იყო, ამავე პერიოდის მოღვაწეები გამოდიან გიორგი ჩორჩანელი და მისი სიძე მირიან ბაჰლაუნდი. ბასილი ზარზმელის მიხედვით: **„იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქვეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატებდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომლისა სივრცე საზღვართა ვრცელ და მრავალ იყო... ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარი იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისა".** გიორგის სიძლიერესა და გავლენაზე მიუთითებს, მის მიერვე სერაპიონ ზარზმელისადმი ნათქვამი სიტყვები – **„არავინ წინააღმდგომ ჩვენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად".**

ჩვენ არაფერი ვიცით გიორგი ჩორჩანელის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" დაცულია ცნობები მისი მემკვიდრეების შესახებ – **„დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაჲ ძისა იოანესი. ხოლო გიორგი შვილთაგან ოხერ და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილნი სისოებასავე შინა წარსულ იყვნეს და შემდგომად მათისა დედაჲცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, მიიცვალა და სხვა მეუღლისა შეერთება არღაოდეს თავს იდვა... ყოველივე რაიცა აქვნდა და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვისა, რომელთა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი".**

ტერიტორიულად სად მდებარეობდა მირიან ბაჰლაუნდის სამფლობელო, სამცხეში თუ რომელიმე სხვა პროვინციაში, უცნობია. მაგრამ ჩვენი აზრით, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ის სამცხეში იყო.

გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ, **„პირებითა ეშმაკისაჲთა იქმნა უწესოჲ ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თვისი, რამეთუ მძლავრობით ეტყოდა, ვითარმედ: ნაწილ უც მამულსა თანა თქვენსა დასა ამას თქვენსა, ვინაითგან თქვენცა დედისა მიერ გაქვთ. რომლისათვისაც განმრავლდეს სიტყვისგებანი ურთიერთას და ესრეთ მოკლა დისიძე თვისი. და ესე რაჲ ესრეთ იქმნა, განგრძელ-**

პირველ რიგში შევეხოთ უფროსი ვაჟის, სულას შთამომავლების საკითხს. ჩვენ არ ვიზიარებთ ნ.შოშიაშვილის მოსაზრებას, რომ სულა გახდა ახალი ჩორჩანელების საგვარეულოს დამაარსებელი. სულა მირიან ბაჰლაუნდის უფროსი ძე იყო და ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მას უნდა გაეგრძელებინა ბაჰლაუნდების საგვარეულო და მამისეული სამფლობელოს უმეტესი ნაწილიც მასვე უნდა დარჩენოდა. რა თქმა უნდა შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ სულა გახდა ახალი ჩორჩანელების საგვარეულოს დამფუძნებელი, ანუ გიორგი ჩორჩანელის მამულის დიდი ნაწილის მემკვიდრე. მაგრამ მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ, რომ სულას მიერ ბიძისაგან მემკვიდრეობით მიღებული სამფლობელო მეტი უნდა ყოფილიყო ვიდრე მამისაგან მიღებულ სამფლობელოზე. თანაც სავარაუდოა, რომ გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო სამივე ძმას შორის გაიყო (ეგებ ამიტომ მოსთხოვა ლაკლაკს დისშვილმა სამფლობელოს ნაწილი. გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო მარტო ლაკლაკს რომ რგებოდა, დისშვილი ვერ გაბედავდა წილის მოთხოვნას, რადგან ასეთ შემთხვევაში არა თუ დას, უფროს ძმებსაც კი არაფერი რჩებოდათ ბიძისაგან და, ცხადია, ქალისთვის მემკვიდრეობის, თუნდაც ნაწილის მოთხოვნა უაზრობა იქნებოდა).

რა საგვარეულო სახელით მოიხსენიებოდნენ სულას შთამომავლები მომდევნო საუკუნეებში, უცნობია. მაგალითად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სულა ბაჰლაუნდის შვილიშვილი იყო X საუკუნის ზარზმის წარწერაში მოხსენიებული სულა – **„სახელითა ღმრთისაითა და წმიდისა ღმრთის მშობლისა მეოხებით, მე ივანე, ძემან სულაჲსმან აღვაშენე წმიდაჲ ეგუტერი. მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუავლინნა. სკლიაროსი გავაქციეთ, მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესუენა ტახტი".** ნ.ვაჩნაძის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ივანე სულას ძე იყოს სერაპონ ზარზმელის ცხოვრებაში ნახსენები სულას ძე. ჩვენ ეს მოსაზრება მცდარად მიგვაჩნია.

ალბათ, ამ ივანე სულას ძის შვილი (ყოველ შემთხვევაში შთამომავალი მაინც) იყო XI საუკუნეში მოღვაწე, ბაგრატ IV-ის თანამედროვე, სულა კალმახის ერისთავი. ერთადერთი არგუმენტი სახელების იდენტურობაა (თუმცა ამ ლოგიკიდან გამომდინარე, სულა კალმახის ერისთავი ასევე თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში მოხსენიებული სულას მემკვიდრედაც). ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ნ.შოშიაშვილს, რომ სულა კალმახის ერისთავის შთამომავალთა ერთი ნაწილი ციხისჯვარელად იწოდა, ხოლო მეორე – კალმახელად. ამგვარად, ჩვენი აზრით, სულა მირიან ბაჰლაუნდის ძის შთამომავლობა შეიძლება შემდეგი სახით წარმო-

→

ვიდგინოთ:

*მირიან ბაჰლაუნდი*
*სულა (VII ს-ის II ნახევარი)*
*სულა (X ს-ის I ნახევარი)*
*ივანე (X ს-ის II ნახევარი)*
*სულა კალმახის ერისთავი (XI ს-ის შუა ხანები)*
*კალმახელები ციხისჯვარელები*

XI-XII საუკუნეებში სახელი ბეშქენი, ჯაყელთა საგვარეულოშია გავრცელებული და შესაძლოა გაზიარებული იყოს ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისი – ჯაყელთა საგვარეულოს ფუძემდებლად ბეშქენ ბაჰლაუნდის მიჩნევის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ერთადერთი არგუმენტია სახელი ბე-შქენი (საინტერესოა, მირიანის ვაჟები ბაჰლაუნდებად იწოდებოდნენ თუ არა). „მატიანე ქართლისაჲს" თანახმად – **"...ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისასა, თვინიერ ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელისა თუხარისისა ერისთავისა"**. მემატიანის ეს ცნობა 1045-1047 წლების ამბებს ეხება. XII საუკუნეში ჩვენთვის ცნობილია კიდევ ერთი ბეშქენ ჯაყელი, დავით აღმაშენებლის თანამედროვე. 1118 წელს დავით აღმაშენებელს **„მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკვლისა"**. რა თქმა უნდა, სავსებით მისაღებია ნ.შოშიაშვილის მოსაზრება, რომ XII საუკუნეში მოღვაწე ბეშქენი (II), XI საუკუნეში მოღვაწე ბეშქენის(I) შვილიშვილად მივიჩნიოთ. რაც შეეხება კიდევ ერთ ჯაყელს, XI საუკუნის 60-იანი წლების ამბების თხრობისას „მატიანე ქართლისაჲ" მართლაც მოიხსენიებს ყველის ერისთავს მურვან ჯაყელს – **„გამოგზავნა** *(ბაგრატ IV-მ. მ. ბ.)* **ხილვად ივანე ძე ლიპარიტისი და ნიანია ძე ქუაბულისა და მურვან ჯაყელი ერისთავი ყუელისა"**. ბეშქენ I და მურვანი მამა-შვილი კი არ იყვნენ, არამედ ძმები. ჩვენი აზრით, ამაზე მიუთითებს აგარის მონასტრის წარწერაში მათი მოხსენიების კონტექსტი – **„ერისთავთერისთავთა ბეშქენ და მურვანის მლოცველმან, მე, ეფრემ ხელვყავ შენებად ტრაპეზისა ამისა"** (ვ. სილოგავას აზრით აგარის წარწერაში ნახსენები პირები შეიძლება გავაიგივოთ კორიდეთის სახარების მინაწერ საბუთებში მოხსენიებულ პირებთან). გარდა ამისა, ჩვენ ძნელად წარმოგვიდგენია ვითარება, როდესაც მამა ერთი საერისთავოს მმართველია და, იმავე დროს, შვილი მეორის. ასეთი შემთხვევა, ჩვენთვის ცნობილ წყაროებში დაფიქსირებული არ არის. ისიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბეშქენის გარდაცვალების შემდეგ მის ძეს აღარ მისცეს თუხარისის ერისთავობა და სამართავად გადასცეს ახალი საერისთავო – ყველის. თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ იყო, მამის გარდაცვალების შემდეგ საერისთავოს გამგებელი მისი ძე ხდებოდა, ხოლო თუ ერისთავობის ჩამორთმევა ხდებოდა, სანაცვლოდ ახალ საერისთავოს აღარ აძლევდნენ. XI საუკუნის შუა ხანებში ჩვენთვის ცნობილია კიდევ ჯაყელთა საგვარეულოს კიდევ ერთი წარმომადგენელი – ბოცო, რომელიც მარზპანი იყო. დ. კლდიაშვილის აზრით, ბოცო მარზპანი ყველის ერისთავობას ფლობდა. საერთოდ, **დ.კლდიაშვილი** ჯაყელთა საგვარეულოს დაწინაურებას XI საუკუნის 30-იან წლებში ვარაუდობს და საქართველოდან ბიზანტიაში ჩანჩახი ფალელის წასვლას უკავშირებს. მკვლევარის აზრით, ჯაყელები ჩანჩახი ფალელის ადგილს იკავებენ. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. XI საუკუნის შუა ხანებში, ბაგრატ IV-ის დროს, ჯაყელები საკმაოდ დაწინაურებული არიან: თუხარისის ერისთავი ბეშქენი და ყველის ერისთავი მურვანი ერისთავთერისთავის საპატიო ტიტულით მოიხსენიებიან, ბოცო კი მარზპანია (მარზპანობა XII საუკუნეში მონაპირეობამ შეცვალა). ჩვენი აზრით ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯაყელთა დაწინაურება გაცილებით ადრე დაიწყო ვიდრე ამას დ.კლდიაშვილი ვარაუდობს. რაც შეეხება ბოცო ჯაყელს, ის აშკარად ბეშქენისა და მურვანის თანამედროვეა. ალბათ მათი ძმა არ უნდა იყოს (არ მოიხსენიება აგარის წარწერაში), მაგრამ უახლოესი ნათესავია. პირობითად შეიძლება ბიძაშვილად ჩავთვალოთ.

მირიან ბაჰლაუნდის სამი ვაჟიდან, წყაროებში ყველაზე მეტი ინფორმაცია ლაკლაკის სავარაუდო შთამომავლების ირგვლივ არსებობს.

ზარზმის ეკლესიის სამწერლობელზე შემდეგი სახის წარწერაა: *„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მე ფარსმან ერისთავმან, ძემან კურთხეულისა ცოდვილისა ივანე ლაკლაკისამან, შევქმენი ესე სამწერლობელი სამლოცველად ჩემ და შვილთა ჩემთათვის, ყოველთა სახლისა ჩუენისათა და მოსახსენებლად სულკურთხეულთა მშობელთა და ძმათა ჩემთათვის და ყოველთა სახლისა ჩუენისა გარდაცვალებულთათვის და დავახსენ საყდარსა ზარზმას, მამულს ჩემსა, წინაშე ხატისა ფერისცვალებისასა. აწ წმინდანო მღვდელნო და დიაკონნო რომელნი იმსახურებდეთ ხორცსა და სისხლსა უფლისასა ჩუენისა იესო ქრისტესა, მოგვიხსენიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა"*. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: *„ლაკლაკს, რომელსაც გიორგი ჩორჩანელისაგან მემკვიდრეობით, სხვათა შორის, ზარზმაც ერგო მამულად... შვილი... „ცოდვილს" ეძახის, რასაკვირველია იმიტომ, რომ მან თავისი დისწულის სისხლი დაანთხია მამულის გამო."*. ცხადია, რომ ივ.ჯავახიშვილს ივანე ლაკლაკი ერთი ადამიანის სახელებად მიაჩნდა, თუმცა ჩვენი აზრით მართალია ნ.ვაჩნაძე, რომ ამ შემთხვევაში ლაკლაკი გვარია და არა სახელი. ამ მხრივ საინტერესოა, რომ **გ.ჩუბინაშვილი** „ცოდვილისასა" ნაცვლად კითხულობს *„უფლისა" – „მე ფარსმან ერისთავმან, ძემან კურთხეულისა უფლისა ივანე ლაკლაკისამან"*. წარწერა მართლაც იძლევა იმის საშუალებას, რომ წავიკითხოთ ცოდვილიც და უფალიც.

ალბათ, ეს ფარსმან ერისთავი უნდა გავაიგივოთ ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის წარწერაში მოხსენიებულ ფარსმანთან. მართებულად შენიშნავდა ნ.ვაჩნაძე, რომ თუ სამწერლობელისა და ხატის წარწერაში მოხსენიებული ფარსმანი ერთი და იგივე პირია, მაშინ ფერისცვალების ხატის წარწერა უფრო ადრინდელია. გ.ჩუბინაშვილი წარწერას შემდეგნაირად კითხულობდა – *„სახელითა ღმრთისაითა შეიმოსა ხატი ესე მწედ მამისა გიორგისა უფალთა: ფარსმან ერისთავისა, ივანესა, პატრიკისა... მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათსა. ქრისტეს მიერ მამასახლისობასა პავლესა ქორონიკონ რვ"*. ექ.თაყაიშვილის მიხედვით წარწერა შემდეგი სახით იკითხება: *„სახელითა ღმრთისაითა შეიმოსა ხატი ესე მწედ მაწყუერელისა გიორგისა, უფალთა: ფარსმან ერისთავისა, ივანესა, პატრიკისა, მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათისა. ქრისტეს მიერ მამასახლისობასა პავლესა ქორონიკონ რვ"*. წარწერაში პირველად დასახელებულია ფარსმანი და ის ერთადერთი მოიხსენიება ერისთავის ტიტულით. აქედან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ, რომ საგვარეულოს მეთაური ფარსმანია. თუ რა ნათესაური კავშირი აქვს ფარსმან ერისთავს წარწერაში მოხსენიებულ სხვა პირებთან, უცნობია. ჩვენი აზრით, ივანე, პატრიკი, მირიანი, ფერი და სულა ფარსმანის ბიძაშვილები არიან (ლაკლაკის ვაჟ ივანეს ძმიშვილები). ლაკლაკთა საგვარეულოს წარმომადგენლები მოიხსენიებიან კიდევ ერთი ხატის წარწერაში – *„წმიდაო დედოფალო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა ყოველთა ლაკლაკთა: ერისთავთერისთავსა მირიანს და ხურციკის, ძეთა ხურციკისათა: მირიანს, სასანს (ანუ სვიმონს), ქურდიას (?), ხჭ-ს (?). მე გლახაკმან ეპრაქსია, დედამან ხურციკისა და მირიანისმან შევკაზმე ხატი ესე სალოცველად ყოველთა ლაკლაკთა, სახსენებლად სულისა ჩემისა"*. ექ.თაყაიშვილი ხატს XI საუკუნის 20-იანი წლებით ათარიღებდა და შემდგომში მას გ.ჩუბინაშვილიც დაეთანხმა. ექ.თაყაიშვილი მირიან ბაჰლაუნდის ძის, ლაკლაკის შთამომავლების შემდეგი სახის გენეალოგიურ სიას გვთავაზობს:

*მირიანი + ლატავრი (თეკლა)*
*სულა ბეშქენი ლაკლაკი + ეპრაქსია ასული*
*(სახელი უცნობია)*
*მირიანი ხურციკი*
*მირიანი სასანი (ანუ სვიმონი) ქურდია ხჭ*

მეცნიერი აღნიშნავს, რომ ზემოთ დასახელებულ პირთა გარდა ცნობილია ივანე ლაკლაკი, რომლის ძეს ფარსმანსაც გაუკეთებია სამწერლობელი.

შესაძლოა გვევარაუდა, რომ ხატის წარწერაში მოხსენიებული ხურციკი არის ხურციკის ძეთა, იგივე ხურციძეთა საგვარეულოს დამაარსებელი (ასეთად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ 1021 წელს შირიმნის ბრძოლაში დაღუპული ხურსი, როგორც ამას ნ.შოშიაშვილი თვლიდა. **ვ.სილოგავა** მართებულად აიგივებს 1021 წელს შირიმნის ბრძოლაში დაღუპულ ხურსის ქორეთის 1000 წლისა და სავანის 1046 წლის წარწერებში მოხსენიებულ ხურსისთან. რაც შეეხება ნ.შოშიაშვილის მოსაზრებას, ხურსიძეების მიერ იმერეთში მიწების ფლობის შესახებ, ჩვენ ეს ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია. შირიმნის ბრძოლაში მოკლული ხურსი არგვეთის ერისთავი უნდა ყოფილიყო).

საინტერესო ცნობებს შეიცავს ხურციძეთა შესახებ ზარზმაში არსებული 1045 წლის წარწერა – **„აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე მახარებლისა ნებითა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა ყოველსა ქვეყანასა სახელ განთქმულსა, აგარიანთა პირისა დამყოფელისა, ხურციძისა პატრონისა ფარსმანისათვის, სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან, მღვდელთმთავართ მთავრობასა ხურციძისა პატრონის მაწყვერელისა სერაპიონისა, ქორონიკონს სე"**. ექ. თაყაიშვილის აზრით, სწორედ ეს ფარსმანი მოიხსენიება ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში, თავის ძმასთან – გიორგი ჩორჩანელთან ერთად. მათი მამა იყო სულა. რომელსაც საერთო არაფერი აქვს ბარდა სკლიაროსის წინაარმდეგ მებრძოლი ივანეს მამა სულასთან.

ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში წერია, რომ 19 სექტემბერს **„აღაპი არს მამისა არსენისი, ფარსმან ყოფილისა„;** 13 თებერვალს **„აღაპი არს გიორგი ჩორჩანელისაჲ, ფარსმანის ძმისაჲ„;** 22 იანვარს **„აღაპი არს სულაისა, ფარსმანის და ჩორჩანელის მამისაჲ"**. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" მიხედვით კი ირკვევა, რომ ფარსმანსა და გიორგის ყავდათ ერთი დაც. ათონშივე იყო დაწესებული 24 ნოემბერს „აღაპი მიქელ ლაკლაკისაჲ".

1045 წლის წარწერის მიხედვით, ფარსმანი გარდაცვლილია. ამაზე მიუთითებს სიტყვები: **„სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან"**. ათონის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული ფარსმანი, როგორც ირკვევა, ბერად აღიკვეცა არსენის სახელით. თუ ორივე წყაროში მოიხსენიება ერთი და იგივე ფარსმანი, როგორც ექ. თაყაიშვილი თვლიდა, მაშინ 1045 წლის წარწერაშიც უნდა ასახულიყო ფარსმანის ბერად აღკვეცა – სახელი არსენის დაფიქსირებით. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ფარსმანთან.



ზარზმა. ფრესკა

ზარზმის ფერისცვალების ხატის, ღვთისმშობლის ხატის, 1045 წლის ეპიგრაფიკულ წარწერასა და ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებული პირებს შორის ნათესაური კავშირის დადგენა მეტად რთულია. შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა, ისიც არაპირდაპირ ცნობებზე დაყრდნობით. ფერისცვალების ხატის წარწერაში მოხსენიებული ფარსმან ერისთავი, ჩვენი აზრით, ივანე ლაკლაკის ძის შვილია. წარწერაში მოხსენიებული სხვა პირები კი მისი ძმები ან ბიძაშვილები არიან. ამდენად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლაკლაკის შთამომავლებში გავრცელებული იყო სახელი – ფარსმანი.

იმის გათვალისწინებით, რომ 1045 წლის წარწერაშიც და ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებული არიან ფარსმანის სახელ მქონე პირები, ჩვენ ისინიც ლაკლაკის შთამომავლები გვგონია. ამრიგად, ლაკლაკის შთამომავლები გამოდიან: ფარსმან-ყოფილი არსენი, მისი ძმა გიორგი ჩორჩანელი, მათი მამა სულა, ფარსმან ხურციძე და მაწყვერელი ეპისკოპოსი სერაპიონ ხურციძე. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად ლაკლაკთა განშტოება გამოდიან ახალი ჩორჩანელები და ხურციძეები. სავარაუდოა, რომ ბიძის სამფლობელოს გაყოფის შემდეგ, ზარზმა და ჩორჩანი ლაკლაკს ერგო.

ცხადია, რომ ლაკლაკის შთამომავლები არიან ძმები მირიანი და ხურციკი. საინტერესოა, რომ წარწერაში არ მოიხსენიება მათი მამის ანუ ეპრაქსიას მეუღლის სახელი.

როგორც ჩვენს მიერ მოტანილი წყაროებიდან ჩანს, ლაკლაკის შთამომავალთა შორის ხშირად გვხვდება სახელი მირიანი. სწორედ ამიტომ ჩვენც, პ.ინგოროყვას მსგავსად, არსენ კათოლიკოსის მამას – მირიანს (I) ბაჰლაუნდთა შთამომავლად მივიჩნევთ.

ამრიგად, ლაკლაკის შთამომავლობის გენეალოგიური სქემა შესაძლოა შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ (პირობითად ვყოფთ ხუთ კატეგორიად):

*ა) მირიან ბაჰლაუნდი*
*ლაკლაკი (VII ს-ის II ნახევარი)*
*მირიანი (I) (IX ს-ის ბოლო X ს-ის დასაწყისი)*
*არსენ კათალიკოსი*
*ივანე (I) (X ს-ის შუა ხანები)*
*ფარსმან (I) ერისთავი; ივანე (II); პატრიკი; მირიანი (II); ფერი; სულა (I);*
*ბ) სახელი უცნობია + ეპრაქსია*
*მირიანი (III) ხურციკი (XI ს-ის I ნახევარი)*
*მირიანი (IV) სასანი (ანუ სვიმონი)ქურდია ხჭ*
*გ) სულა (II) (X ს-ის ბოლო XI ს-ის დასაწყისი)*
*არსენი (ფარსმან II) გიორგი ჩორჩანელი*
*დ) ფარსმან (III) ხურციძე და სერაპიონ ხურციძე (XI ს-ის I ნახევარი)*
*ე) მიქელ ლაკლაკი (XI ს.)*

ლაკლაკის შთამომავლობიდან სამი პიროვნება ერისთავი იყო: ფარსმანი, მირიან II (ის ერისთავთერისთავის საპატიო ტიტულსაც კი ფლობდა) და გიორგი ჩორჩანელი (ერისთავის ტიტულით მოიხსენიება ზარზმის ფრესკულ წარწერაში). სავარაუდოა, რომ სამივე სამცხის ერისთავია.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ზემოთ, ხუთ კატეგორიად გაყოფილი პიროვნებების ერთმანეთთან დაკავშირება და ერთიანი გენეალოგიური სქემის შედგენა (მაგალითად: მირიან III დავუკავშიროთ მირიან II-ს. ჩავთვალოთ მის ძედ, შვილიშვილად, ძმისშვილად ან, საერთოდ, გავაიგივოთ; ეპრაქსია მივიჩნიოთ ფასმან I-ის მეუღლედ, იმ არგუმენტით, რომ მირიან III ერისთავია და მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო ეს თანამდებობა; სულა II დავუკავშიროთ სულა I-ს. ჩავთვალოთ მის ძედ, შვილიშვილად, ძმისშვილად ან, საერთოდ, გავაიგივოთ). თუმცა ყოველივე ეს ძალიან პირობითი იქნება და შესაძლოა უკვე მხოლოდ ფანტაზიად ჩაითვალოს. ამიტომ ჩვენ თავს ვიკავებთ ლაკლაკის შთამომავალთა ერთიანი სქემის წარმოდგენისაგან.

**ე.მეტრეველის** აზრით, **„ლაკლაკთა გვარის სახლი ჩირდვანელთა დიდი ოჯახის განშტოებას წარმოადგენდა"**. მეცნიერი ჩორდვანელთა საგვარეულოს მიაკუთვნებდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს – თორნიკე ერისთავს. ჩვენი აზრით, ჩორდვანელთა საგვარეულოს არანაირი კავშირი არ ჰქონდა არა მარტო ლაკლაკთა ფეოდალურ სახლთან, არამედ მირიან ბაჰლაუნდის ძეთა შთამომავალ არც ერთ საგვარეულოსთან. ჩორდვანელთა საკითხის კვლევა ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროს სცილდება, მაგრამ გვინდა თორნიკე ერისთავის საკითხს შევეხოთ. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ თორნიკე ჩორჩანელთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ამ მხრივ საინტერესოა თავად თორნიკეს მიერ შესრულებული ერთი მინაწერი – **„მე იოვანე თორნიკე ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისა, მოვიგეთ წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ „სამოთხე"... სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და ღვთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა დავითისათვის... და მერე იოანე ვარაზვაჩესათვის და მეუღლისა მისასა და შვილთა მისთა მიქაელისა და ჩორდვანელზორვარისა, ჩოროლოჰლისათვის და თორნიკესათვის და ძმისწულთა ჩემთა ჩორდვანელ პატრიკისათვის და ბაგრატ პატრიკისათვის და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორვანელისათვის და მარიამისათვის და ძმათა ჩემთა ბაგრატისათვის, არშუშაისთვის და აბუჰარბისათვის და მამისა ძმისა აბულჰარბისათვის და არშუშაისთვის და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათვის"**. სრულიად მისაღებია ნ.ვაჩნაძის მოსაზრება, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ჩორდვანელი არის მამაკაცის საკუთრი სახელი". მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია ჩორდვანელის გაიგივება ჩორჩანელთან. თუ კიდევ დასაშვებია, რომ ბიზანტიურ და სომხურ წყაროებში დაფიქსირებული ფორმა ჩორდვანელი მივიჩნიოთ დამახინჯებულ ჩორჩანელად (რაც ჩვენი აზრით სწორი არ არის), სრულიად წარმოუდგენელია, რომ თორნიკე ერისთავს შეშლოდა თავის მამისა სახელი და ჩორჩანელის ნაცვლად დაეწერა ჩორდვანელი. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი – მართლაც დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც გვარი იქცევა სახელად (მაგალითად: გამრეკელი, სურამელი, თორელი, ახალციხელი. 1457-1460 წლების სიგელი **„შვილთა ჩუენთა ლაპა, ბარათა, სურამელმან და ქავთარ"** 1487 წლის სიგელ **„დაგიწერეთ ქავთარის ძესა საღვინის მოლარესა ახალციხელსა და თქვენთა ძმათა თორელსა, ეშიმასა"**: ოღონდ ასეთ შემთხვევაში აუცილებელ პირობად ჩანს ის, რომ გვარად ქცეული სახელი პარალელურად აღარ გამოიყენება გვარის აღმნიშვნელად. XI საუკუნის პირველ ნახევარში კი ჩორჩანელი ჯერ კიდევ გვარს აღნიშნავს. ამდენად, თორნიკეს მამას ჩორჩანელიც ვერ ერქმეოდა.

ჯაყელებს, ციხისჯვარელებს, ლაკლაკთა, ხურციძეებსა და ჩორჩანელებს შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრა (ვინ ვისი წინაპარი, მემკვიდრე თუ განშტოებაა) შესაძლებელია მხოლოდ პიროვნებების სახელებზე დაყრდნობით და ისიც იმის გათვალისწინებით, რომ საგვარეულოებში ხშირად ერთი და იგივე სახელები ტრიალებდა (თუმცა ეს ყველაფერი გარკვეულწილად პირობითია). აქვე გვინდა აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ თვალსაზრისს ბაჰლაუნდებიდან ფალავანდიშვილების წარმომავლობის შესახებ. გაუგებარია, თუ მირიან ბაჰლაუნდის რომელი შვილის შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ ფალავანდიშვილები.

მირიან ბაჰლაუნდის ძეების შთამომავლობასთან დაკავშირებით, ჩვენი მოსაზრებები მხოლოდ ვარაუდებია, რომელთაც არსებობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც სხვებს.

# ზურაბ კობიაშვილის უცნობი კოლექცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში


ზურაბ კობიაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი მსხვილი სამუზეუმო გაერთიანებაა. მასში შემავალ მუზეუმთაგან სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი უძველესია, რომლის ისტორია 1852 წლიდან იწყება [ჩხაიძე, 2003: 25]. მუზეუმის არსებობის განმავლობაში მისი ფონდსაცავები მდიდრდებოდა შემოწირული, შესყიდული, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული სამუშაოების შედეგად მოპოვებული ნივთებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის საგანძურის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა კერძო კოლექციებიც და მასში დაცული ისტორიულ-მხატვრული თვალსაზრისით მეტად ღირებული, ზოგჯერ კი უნიკალური მასალა. მუზეუმის საარქივო მონაცემებისა და საინვენტარო დავთრების მიხედვით, საქართველოში მოღვაწე რამდენიმე კერძო კოლექციონერია ცნობილი: ალ. როინაშვილი, დ. ერმაკოვი, ალ. კაზნაკოვი, გ. კაფაროვი, ვ. მირზოევი, მეჯიდ ილ სალტანე, ზ. კობიაშვილი და სხვ. მათი ცხოვრება და საქმიანობა, ერთეული გამონაკლისის გარდა (ალ. როინაშვილი, დ. ერმაკოვი), სამეცნიერო წრისა და საზოგადოებისთვის უცნობია. შეუსწავლელია ცალკეული კერძო კოლექცია ან იქ დაცული გარკვეული ექსპონატები. რთულია არაერთი საკოლექციო ნივთის მოძიება-დადგენა და კლასიფიკაციაც, რადგან კოლექციონერის პირადი სურვილისა და დაინტერესების გამო მისი კუთვნილი ესა თუ ის ნივთი სხვადასხვა მუზეუმის ფონდსაცავში ხვდებოდა. ამასთან, არ არსებობს კერძო კოლექციებში შემავალი ნივთების სამუზეუმო სტანდარტის შესაბამისად შედგენილი დოკუმენტაცია, რაც ასევე აძნელებს მასალის იდენტიფიცირებასა და შემდგომ მისი ისტორიულ-მხატვრული და სამეცნიერო ღირებულების განსაზღვრას. აქედან გამომდინარე, მინდა წარმოვაჩინო იმ კოლექციონერთა ღვაწლი, რომელთა კოლექციებმა, მათი სურვილისამებრ, შესყიდვა-ჩუქების გზით, გადაინაცვლეს მუზეუმებში და ამით მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ეროვნული საგანძური. ამჯერად, შემოგთავაზებთ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოლოგიური კოლექციების – იარაღის, ძვირფასი ლითონებისა და აღმოსავლურ ნაკეთობათა ფონდებში დაცულ კერძო კოლექციას, რომელიც ეკუთვნოდა სამხედრო პირს, ზურაბ სიმონის ძე კობიაშვილს.

1926 წლის 22 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ზურაბ კობიაშვილისა და მისი მეუღლისგან საბრძოლო იარაღები და ე.წ. ბუდისტური კოლექცია შეიძინა. მათთან დადებულ ხელშეკრულებაში ნათქვამია: „საქართველოს მუზეუმი ვალდებულია ამ, მის მიერ ნაყიდ კოლექციაში გადაუხადოს მოქ. კობიაშვილებს თხუთმეტი ათასი მან. /15 000 მან./ ოქროთი, შემდეგი წესით: ამა 1926 წლის მაისის თვიდან შვიდი წლის განმავლობაში, ე.ი. 1933 წლის მაისის პირველამდე, ყოველ თვის დამლევს მოქ. კობიაშვილებს მიეცემა თვეში ას ოცდა ხუთი მან. /125 მან./ რაც შეადგენს საერთოდ ათი ათას ხუთას მანეთს /10 500 მან./, ხოლო დანარჩენი ოთხი ათას ხუთასი მან. /4 500 მან./ საქართველოს მუზეუმმა უნდა გადაუხადოს მოქ. კობიაშვილებს მერვე წლის განმავლობაში, ე.ი. 1933 წლის მაისიდან 1934 წლის მაისამდე [ს.ჯ.სახ. მუზეუმის არქივი]“.

იარაღის, ძვირფასი ლითონებისა და აღმოსავლურ ნაკეთობათა ფონდებში განვახორციელე ზურაბ კობიაშვილის კოლექციაში დაცული ნივთების სრული იდენტიფიკაცია და პასპორტიზაცია, რის შედეგადაც ნათლად გამოიკვეთა ამ მასალის წარმომავლობის ფართო გეოგრაფიული არეალი. კოლექცია დალაგდა წარმომავლობისა და სახეობების მიხედვით. სამომავლოდ ეს ხელს შეუწყობს მასალის მეცნიერულ შესწავლას, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

ზურაბ კობიაშვილის კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილია ე.წ. ბუდისტური კოლექცია (207 ერთეული). აქ წარმოდგენილია ინდოეთისა და შორეული აღმოსავლეთის (ჩინეთი, იაპონია, მონღოლეთი) ხალხთა ეთნოკულტურის ნიმუშები, კერძოდ, ინდუისტურ და ბუდისტურ ღვთაებათა ბრინჯაოს, კერამიკისა და ხის გამოსახულებები, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები. როგორც ჩანს, ზურაბ კობიაშვილი კარგად იცნობდა აღმოსავლურ რელიგიურ-ფილოსოფიურ სწავლებას და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მასთან დაკავშირებული ნივთებისადმი. ამაზე მეტყველებს მის კოლექციაში მრავალფეროვნად და თითქმის სრულყოფილად წარმოდგენილი აღმოსავლურ ღვთაებათა გამოსახულებანი. სამწუხაროდ, ეს ექსპონატები, იარაღის კოლექციისგან განსხვავებით, არაა გატარებული მუზეუმის საინვენტარო დავთარში და, შესაბამისად, არაა დოკუმენტირებული. შემორჩენილია ამ ნივთების მხოლოდ ზ. კობიაშვილისეული სია. ამდენად, ის სრულიად უცნობი და შეუსწავლელია. არადა, აღმოსავლურ ნაკეთობათა ფონდში დაცული ეს კოლექცია ძალზე ღირებულია ისტორიულ-მხატვრული თვალსაზრისით. ამასთან, ქართველ მკვლევართათვის მნიშვნელოვანი წყაროცაა აღნიშნული ქვეყნების კულტურის, ხელოვნებისა და რელიგიის კვლევისთვის. ამ ბუდისტური კოლექციის შესწავლის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში „აბრეშუმის გზის“ საშუალებით ჰქონდა ურთიერთობა შორეული აღმოსავლეთის ამ ქვეყნებთან.


ქართველი თავადი. ტილო, ზეთი. თბილისი, XIX ს.

კოლექციის ძალზე საყურადღებო ნაწილია საბრძოლო იარაღები (საინვ. N10-1927/1-183). იარაღის კოლექცია მოიცავს როგორც ქართულ, ასევე კავკასიურ, რუსულ, ევროპულ, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების 199 იარაღს, როგორც შემტევს, ასევე თავდასაცავს. კოლექცია კომპლექსურად არასდროს ყოფილა შესწავლილი. ზ. კობიაშვილის იარაღის კოლექციაში შემავალი ექსპონატები როგორც ჰორიზონტალურად – ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით (ჩინური, იაპონური, ტიბეტური, ინდური, სპარსული, თურქული, მონღოლური, ევროპული, რუსული, კავკასიური), ასევე ვერტიკალურად – იარაღის სახეობათა განვითარების ეტაპების მიხედვით, მნიშვნელოვანი შენაძენია საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდსაცავისთვის. აქ წარმოდგენილი მასალის ქრონოლოგიური ჩარჩო XVI-XIX საუკუნეებით განისაზღვრება. უნდა აღინიშნოს რომ კოლექციის ზოგიერთი ნიმუში უნიკალურია საქართველოს სამუზეუმო კოლექციებისათვის.

ზურაბ კობიაშვილის საბრძოლო იარაღის კოლექცია, როგორც აღვნიშნეთ, 199 ნივთისაგან შედგება: თოფი – 31; დამბაჩა – 22; ხმალი – 67; სატევარი – 27; მშვილდი – 2; საბრძოლო ცული – 4; შუბი – 8; ჯაჭვის პერანგი – 2; ჯაჭვის შარვალი – 1; ჩაჩქანი – 3; მუზარადი – 2; ჯავშანი – 1; სამკლავე – 3; ფარი – 3; მათრახი – 2; რახტის ნაწილები – 2; ქამარი – 1; ფეხსაცმელი – 1; სამურაის აღკაზმულობა – 17.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს მემორიალური ნივთები. საუკუნის წინ შექმნილმა კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა მათი მნიშვნელობა ეროვნული საგანძურის გამდიდრებისთვის.

ეს მემორიალური ნივთებია: 1. ე.წ. გიორგი სააკაძის (საქართველოს ეროვნული გმირი. 1570-1629 წწ.) თოფი; 2. ჰაჯი მურატის (დაღესტნისა და ჩეჩნეთის მთიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლების მონაწილე, ავარიის სახანოს მმართველი. 1816-1852 წწ.) თოფი; 3. გენერალ ნიკოლოზ პეტრეს ძე ლინევიჩის (რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალების მთავარსარდალი იაპონიის ომში. 1838-1908 წწ.) თოფი; 4. კოლექციონერ ზურაბ კობიაშვილის ხმალი; ის მას დაღესტანში სამხედრო სამსახურის დროს დარგოელებმა უსახსოვრეს 1904 წლის 29 მარტს; 5. სამ კობიაშვილის (XVIII ს -ის II ნახევარში მთიულეთის მოურავი) ხმალი; 6. ანდრია ფერარას (1530-1583 წწ.) დამღიანი ხმალი; ანდრია და ჯანდონატო ფერარები იტალიელი მეიარაღე ოსტატები იყვნენ. მათ მიერ დამზადებული ხმლის პირები დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. ქართული ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით, ასეთ დამღიან ხმლებს „დავითფერულს“ უწოდებდნენ, რაც საკმაოდ ძვირად – 25 ძროხად ფასობდა; 7. ემინ გირეის (ყირიმის ხან საჰიბ I გირეის (1532-1551 წწ.) უფროსი ვაჟი, ყირიმის კალგა (1537-1551 წწ.)) მუზარადი; 8. ალექსანდრე ბატონიშვილის (მეფე ერეკლე II-ის ძე. 1770-1844 წწ.) ცხენის რახტის ნაწილები.

როგორც ითქვა, ზურაბ კობიაშვილს სამხედრო სამსახურის გამო ხშირად უწევდა ყოფნა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. მას, როგორც სამხედრო პირს, ძლიერ აინტერესებდა იარაღი, მისი კარგი მცოდნე და შემფასებელიც იყო. ამასთან, საკმარისი მატერიალური რესურსიც გააჩნდა მათ შესაძენად. ამის დასტურია მის მიერ შეგროვებული იარაღის მდიდარი კოლექცია, რომელიც ძალზე მცირე


ბორჩალოელი ქალი. ტილო, ზეთი. თბილისი, XIX ს

ფასად დაუთმო მუზეუმს. ამით კი საგრძნობლად გაამდიდრა ეროვნული მუზეუმის საგანძური. სამწუხაროდ, მეფის რუსეთის მაღალი სამხედრო ჩინის ამ ოფიცრის, როგორც კოლექციონერის ღვაწლის წარმოჩინებას აქამდე არ დათმობია სათანადო ყურადღება. მისი ცხოვრება და საქმიანობა სრულიად შეუსწავლელია ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციაში.

შესაბამისად, ჩემი მიზანი იყო ამ ხარვეზის შევსება – ზურაბ კობიაშვილის ცხოვრება-საქმიანობის შესწავლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ჩემ მიერ იარაღის მისეული კოლექციის სამეცნიერო კვლევას. მის შესახებ ბიოგრაფიული მონაცემების შეკრება შევძელი სამუზეუმო, საოჯახო, კონსერვატორიისა და საქართველოს ეროვნულ არქივებში, ასევე მოვიძიე მასალა რუსული ოფიციალური ინტერნეტგვერდებიდან, სადაც ძუნწად იყო მითითებული პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა ვინაობა და ჯილდოები. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული არქივიდან სამხედრო პირების პირადი საქმეები, როგორც საიდუმლო მასალა, გატანილია რუსეთის ფედერაციაში. ამიტომ ზ. კობიაშვილის ბიოგრაფიული მონაცემების სრულყოფილად შევსება კვლევის ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

ზურაბ სიმონის ძე კობიაშვილი დაიბადა 1864 წლის 2 აპრილს დუშეთის რაიონის სოფელ ახატანში, სიმონ კობიაშვილისა და ეკატერინე ტუსიშვილის ოჯახში. სოფელი ახატანი თავად ტუსიშვილების ადგილ-მამული იყო. ზურაბის ბებუას, დედის მხრიდან, ჰყავდა ოთხი ქალიშვილი, რომელთაგან ერთი – ეკატერინე, ცოლად გაჰყვა სიმონ კობიაშვილს. კობიაშვილების ეს შტო წარმოშობით დუშეთის რაიონის სოფელ კობიაანთ კარიდან იყო. მათ შეეძინათ ოთხი შვილი, სამი ვაჟი – ალექსანდრე (საშა), ზურაბი, ვლადიმერი (ლადო) და ქალიშვილი ანა. ვლადიმერი, ოჯახის ნაბოლარა შვილი იყო, მის მშობიარობას გადაჰყვა ეკატერინე, რომელიც დაასაფლავეს სოფელ ახატანის სასაფლაოზე, ეკლესიასთან ახლოს. სიმონი დასაფლავებულია მის გვერდით.

ზურაბ კობიაშვილის ნაბოლარა ძმას, ვლადიმერს, ჰყავდა მეუღლე პელაგია ზანდუკელი, რომელიც გამორჩეულად უყვარდა ზურაბ კობიაშვილს. საოჯახო არქივში დაცულია ფოტო, რომელსაც კობიაშვილისეული მინაწერი აქვს: „Дорогой Пелю 1917 г.“ (სურ. 1). ვლადიმერსა და პელაგიას ჰყავდათ ორი ვაჟი: ირაკლი და სიკო (სიმონი). სიკო იყო ქართული ლეგიონის უკანასკნელი მეთაური, რომელიც იბრძოდა გერმანელების მხარეს. იგი დასაფლავებულია საფრანგეთში, ლევილში. იქვე განისვენებს მისი ძმა ირაკლი. საოჯახო არქივში შემონახულია ზურაბ კობიაშვილის ფოტო, რომელიც გადაღებულია დიმიტრი ერმაკოვის ფოტოატელიეში და ეძღვნება ძმისშვილ ირაკლის, რასაც ადასტურებს რუსული მინაწერი: „Дорогому Ираклию от Зураба 97 г.“ (სურ. 2). აღნიშნული მინაწერის საშუალებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივში განხორციელდა პიროვნების ზუსტი იდენტიფიკაცია და შედეგად მივაკვლიეთ ზურაბ კობიაშვილის კიდევ რამდენიმე ფოტოს. ირაკლის შვილიშვილია დავით ბუაძე, ვის ოჯახშიცაა დაცული ზურაბ კობიაშვილის ფოტოარქივი და კოლექციონერის რამდენიმე საბრძოლო იარაღი. მას ეკუთვნის ასევე სოფელ ახატანში ზურაბ კობიაშვილისეული სახლიც.

ზურაბ კობიაშვილმა დაწყებითი განათლება სოფელ ახატანში მიიღო. შემდგომ მან სწავლა განაგრძო თბილისის რეალურ სასწავლებელში. მისი სამხედრო საქმიანობა 1884 წლიდან დაიწყო, როდესაც დაამთავრა ელისავეტგრადის კავალერიის იუნკერთა სასწავლებელი. შემდეგ გააგზავნეს ტვერის დრაგუნთა 43-ე პოლკში. 1891 წელს კორნეტის წოდება მიიღო; 1895 წლიდან პორუჩიკია; 1898 წლიდან – შტაბს-როტმისტრი; 1902 წლიდან როტმისტრია უფროსი ობერ-ოფიცრის ჩინით. მონაწილეობდა 1904-05 წლების რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც დაიჭრა. პოდპოლკოვნიკის წოდება მიიღო 1906 წელს. 1909 წლიდან დრაგუნთა ნიჟეგოროდის მე-17 პოლკშია. ვოლონის ულანის პოლკში სამსახურისთვის 1914 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება და გადავიდა სმოლენსკის ულანის მესამე პოლკში. მონაწილეობდა აღმოსავლეთ პრუსიის ლაშქრობაში. 1914 წლიდან გენერალ-მაიორია. 1914-15 წლებში მეთაურობდა პერესლავის პოლკს. 1916-17 წლებში კი ვოლონის ულანის მეექვსე პოლკს. დაჯილდოებულია: 1904


ბუდა ამიტაბჰა, ტიბეტი. XVIII-XIX სს

წელს – წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით (ხმლითა და ბაფთით); 1905 წელს – წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით (ხმლით); 1905 წელს – წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენით (მამაცობისათვის); 1905 წელს - წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით (ხმლით); 1905 წელს – წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით (ხმლითა და ბაფთით); 1906 წელს – წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით; 1914 წელს – გიორგიევსკის იარაღით (ოქროს ხმალი მამაცობისათვის).

ზურაბ კობიაშვილი 1919 წლის 20 ნოემბერს პიატიგორსკში დაქორწინდა თამარ ნიკოლოზის ასულ თუმანიშვილზე, რაც დასტურდება მუზეუმის საარქივო ცნობითაც. აქ დაცულია დოკუმენტი პიატიგორსკის სობოროში ჯვრისწერის შესახებ. ეს დოკუმენტი თამარ კობიაშვილმა წარადგინა მეუღლის გარდაცვალების შემდგომ, რათა მიეღო მეუღლის კუთვნილი თანხა მუზეუმიდან.

ზურაბ კობიაშვილის მეუღლე თამარ თუმანიშვილი დაიბადა 1885 წელს ქ. ყარსში სამხედრო ინჟინრის ოჯახში. საშუალო განათლება ვარშავაში მიიღო. 1908 წელს ექსტერნად ჩააბარა გამოცდები ვარშავის კონსერვატორიაში და მოიპოვა ფორტეპიანოს გაკვეთილების ჩატარების უფლება. 1917 წელს, დედის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, საცხოვრებლად გადადის ქ. პიატიგორსკში, სადაც აგრძელებს ფორტეპიანოს გაკვეთილების ჩატარებას. 1919 წელს საცხოვრებლად გადმოვიდნენ თბილისში. 1921 წელს კი მუშაობა დაიწყო თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა კონსერვატორიად, სადაც 1966 წლამდე ფორტეპიანოს კათედრის გამგედ მუშაობდა. იგი 1967 წლის 28 სექტემბერს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზურაბ და თამარ კობიაშვილებს მემკვიდრე არ ჰყავდათ. ამიტომ თბილისში დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტეს, რომ საკუთარი კოლექცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის მიეყიდათ (ინფორმაცია მოგვაწოდა დავით ბუაძემ). აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მუზეუმის არქივში მოძიებული მასალაც, კერძოდ, 1924 წლის 27 ოქტომბრის მუზეუმის შემფასებელი კომისიის ოქმში წერია: „ხელშეკრულების დადება კოლექციის შეძენაზე სასურველია სწრაფად განხორციელდეს, ვინაიდან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან არის შესყიდვის შემოთავაზებები.“ მიუხედავად ამისა, ზურაბ და თამარ კობიაშვილები თითქმის ორი წელი არ ასხვისებენ კოლექციას და თხოვენ მუზეუმს თანხების მოძიებას. 1925 წლით დათარიღებული წერილიდან გიორგი ჩიტაიასადმი, ირკვევა, რომ კობიაშვილი მიხაილოვის საავადმყოფოში წევს, მაგრამ ითხოვს მოლაპარაკებების განახლებას მუზეუმთან: „ბატონო ჩემო! თუ დირექტორს ჭკვაში დაუჯდა, ვთხოვთ, რომ თქვენ ჩემთან მობრძანდეთ მოსალაპარაკათ, დიდათ მადლობელი დავრჩები“, შემდგომი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რაც დასტურდება მუზეუმის მიერ კოლექციის შეძენით.

საარქივო მასალიდან ასევე ირკვევა, რომ კოლექციის შესწავლის, შეფასებისა და შესყიდვის შემდეგ ზურაბ კობიაშვილი მუზეუმის თანამშრომელი გახდა. სამუზეუმო-საარქივო ერთი დოკუმენტის მიხედვით, ზ. კობიაშვილს შეუსწავლია და დაუდგენია თავისი და მეჯიდ ილ სალტანეს კოლექციების დამბაჩები, თოფები და ხმლები, შეუდგენია ალბომი ჩანახატებითა და სათანადო ტექსტებით (სულ 100 ფურცელი). სამწუხაროდ, მუზეუმის არქივში აღნიშნული ალბომი ვერ მოიძებნა. ამიტომ ძებნა განვაგრძე ეთნოგრაფიული კოლექციების დამხმარე ფონდში. ალბომი არც იქ აღმოჩნდა. თუმცა, მუშაობის პროცესში მივაკვლიე ზ. კობიაშვილისეულ ფერწერის კოლექციას, რომელიც 1910 წელს კოლექციონერს გადაუცია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის. შემდგომ ეს კოლექცია გადაეცა „მეტეხის“ მუზეუმს, იქიდან – ხელოვნების მუზეუმს, ხოლო ამ უკანასკნელიდან შემოვიდა სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. ფერწერის აღნიშნული კოლექცია მოიცავს 28 ტილოს. ეს ნამუშევრები განეკუთვნება ახალი ქართული მხატვრობის პირველ ეტაპს XIX საუკუნის დასაწყისიდან 70-იან წლებამდე. უცნობ ავტორთა ფერწერული ნამუშევრები შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. ყოველ სურათზე ძირითადად გამოსახულია ერთი ტიპის მამაკაცი ან ქალი ეროვნულ სამოსში. სურათებზე მთავარი ყურადღება ჩაცმულობასა და აქსესუარებს ექცევა, მათ შორის, საბრძოლო იარაღს, სამკაულებსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს. სურათების ზომები დაახლოებით ერთნაირია. ფერწერა შესრულებული უნდა იყოს თბილისის ერთ-ერთ სამხატვრო სახელოსნოში.


ხეშა. ტიბეტი. XVIII-XIX სს

ზურაბ კობიაშვილსა და მუზეუმს შორის 1927 წელს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ვადა 1930 წელს დასრულებულა და განუზრახავთ შემდგომი ურთიერთობის განახლება. კობიაშვილი ვალდებულებას იღებდა, შეესწავლა მთელი კოლექცია და ეხელმძღვანელა მათი რესტავრაციისთვის, რაც უნდა შეესრულებინა 17 თვის განმავლობაში – 1930 წლის მაისიდან 1931 წლის ნოემბრის ჩათვლით (ზაფხულის ორი თვე არ ითვლებოდა). სამწუხაროდ, ზურაბ კობიაშვილმა აღნიშნული ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულება ვერ მოასწრო, ვინაიდან 1931 წლის 21 თებერვალს 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზურაბ კობიაშვილი დაუსაფლავებიათ ვერის სასაფლაოზე, სადაც ამჟამად ჭადრაკის სასახლე და სკვერია, შესაბამისად, მისი საფლავი დაკარგულა.

ამჟამად ზურაბ კობიაშვილის უცნობი კოლექცია ექსპონირებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საგამოფენო სივრცეში.

მამუკა ქაფიანიძე,
*საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი, ისტორიის დოქტორი*

# შალვა კელოშვილი - 75



**75 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ პოეტს, მესხეთის დიდ კოლორიტს შალვა კელოშვილს. იგი დაიბადა და გაიზარდა ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური და გორის პედაგოგიური ინსტიტუტი.**

**წლების განმავლობაში მუშაობდა გორისა და ახალციხის სახელმწიფო თეატრებში მსახიობად, გაზეთ „ასპინძაში“ – ლიტმუშაკად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ლექტორად, ადიგენის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. გამოცემული ჰქონდა რამდენიმე პოეტური კრებული. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.**

**შალვა კელოშვილის პოეზია ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ორიგინალობით და ადვილად პოულობდა გზას ფართო მკითხველთან. ამიტომაც შეიყვარა მისი ლექსები პოეზიის თაყვანისმცემლებმა და ბევრი მისი ლექსი ზეპირადაც იციან. მისი წიგნები კი, გამოსვლისთანავე, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცეოდნენ.**

**ამასთან, იშვიათი ნიჭის პოეტი შესანიშნავი დეკლამატორი და მესხეთში აღიარებული თამადაც გახლდათ. რეგიონში არ ჩატარდებოდა არცერთი სახალხო დღესასწაული, მას აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღო.**

## შალვა კელოშვილის ლირიკა

იშვიათია შემოქმედი, რომელიც შ. კელოძვილივით ყოველთვის პოეტურ განწყობილებაზე იქნება. მის გონებაში გამუდმებულად ლექსები ტრიალებდნენ. მხიარული იყო თუ დარდიანი, მუდამ სალექსო ფორმებსა და პოეტურ სახეებზე ფიქრობდა.

ყოველ პოეტს თავისი პრეტენზია აქვს პოეზიაში და თავის ადგილის დამკვიდრებაზე ფიქრობს ლიტერატურის ისტორიაში. შალვასაც თავის სურვილები და შეხედულებები ჰქონდა ამ საკითხზე. „მე პოეტი ვარ“ – აცხადებდა იგი ერთ-ერთ ლექსში და, ამით, გარკვეულწილად, მიგვანიშნებდა თავის აზრს საკუთარ შემოქმედებაზე. მისთვის დუმილი ლექსის თხზვის პროცესი არ იყო. დადუმება სიმართლის თქმაზე უარს გულისხმობს. მისთვის „ყველა სიცოცხლეს აღემატება ჭეშმარიტება“.

ამ პრინციპით იგი ეხმაურებოდა აკაკი წერეთელსა და დავით გურამიშვილს. მეტი პრეტენზიაა გადმოცემული ლექსში „ჩემი ლექსი“. პოეტის აზრით მისი ლექსი „ჩუქურთმა, გალობა, ღვინო, დუდუკის კვნესა, სიყვარულის წამალია და, ბოლოს „ვეფხისტყაოსანივით“ მზითევში გასატანებელი წიგნია. „შალვას ლექსი თუ არა გაქვს, მზითვიც არაგქონია“.

შ. კელოშვილი ლექსში „მე ვარ პოეტი,“ ტრადიციულ, ილიასეულ აზრს უბრუნდება პოეტის დანიშნულების შესახებ. „მე უფლის ნებით ვარ მოვლენილი“. მან ერთგვარად გააცოცხლა ანტიკური პერიოდიდან მომდინარე შემოქმედის უფლისმიერი საწყისის საკითხი და, ამავე დროს, ილიას „პოეტის“ მსგავსად ლექსს მამულისადმი სამსახური დააკისრა.

*„მე ისიც ვიცი, რომ გავჩნდი ქვეყნად,*
*უნდა ვიხადო მამულის ვალი“.*

შ. კელოშვილის შეხედულება საკუთარ შემოქმედებასა და თავის ადგილზე ქართულ პოეზიაში ძირითადად მაინც თავმდაბლურია:

*„მე ვარ პოეტი, პოეტი გესმით?!*
*პოეტთა შორის ციცქნა პოეტი.“*

შალვა კელოშვილი მესხი იყო, ის იმ გვარის შთამომავალი, რომელმაც გაუძლო ოსმალთა ბატონობას. რწმენაც შეინარჩუნა, ენაც და ეროვნულობაც, ასე მოვიდა იგი ჩვენ საუკუნემდე. ამიტომაც იგი ყოველთვის მესხეთის გადასახედიდან უყურებდა საქართველოს. როგორც მესხისთვის, ისე კაცისთვის, ისე როგორც შემოქმედისთვის, საქართველო ერთ მთლიან ქვეყნად ჰქონდა წარმოჩენილი. აქ იგულისხმება არა მარტო დღეს საქართველოს შემადგენლობაში მყოფი მხარეები, ან მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიები, არამედ მთლიანი ისტორიული საქართველო. ქართლ-კახეთთან, გურია-სამეგრელოსა და ფშავ-ხევსურეთთან ერთად ახსენებდა ტაოს, კლარჯეთსა და იქით მხარეს დარჩენილ წმინდა სალოცავებსა და ციხე-ქალაქებს.

*„ერთი ქართლი და კახეთი,*
*ფშავ-ხევსურეთი,*
*გურია და სამეგრელო,*
*რაჭა, აფხაზეთი,*
*სვანეთი და იმერეთი,*
*აჭარა და მესხეთ-ჯავახეთი,*
*ერთი ოშკი, ზარზმა,*
*ხახული და ბანა,*
*იყალთო და გრემი.*
*ვარძია და თმოგვი.*
*ერთი საქართველო*
*მკვდრეთით წამომდგარი.“*

ამ სტრიქონით იგი დუტუ მეგრელის პოეზიას ეხმიანება.

შალვა კელოშვილის შემოქმედებაში ძირითადი თემაა ქალი, ღვინო და საქართველო. ეს სამი ფენომენი მის ლექსებში ერთმანეთს ავსებს.

ისინი ხშირ შემთხვევაში ერთად აისახება. ქალის მშვენიერება, ღვინის მადლი და საქართველოს სიყვარული ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ქალი მშვენიერების საწყისია, ღვინო ტრადიციული ქართული სუფრისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის, მოლხენისა, აღმაფრენისა და პოეტური განწყობის სიმბოლო და საქართველო, სამშობლო, რომლის სიყვარული აერთიანებს ღვინოს, ქალსა და მასთან დაკავშირებულ ყველა ფენომენს, ზნეობას, გულისხმიერებას, ეროვნულ სულს, კულტურულ ტრადიციებს და სხვა.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ ის ლოთი არ არის, თრობა მისთვის სასურველი არ არის, მაგრამ ღვინის ტრადიციას უარს ვერ ეუბნება. ეს ნათლად ჩანს ლექსში „და ხვალიდან წვეთსაც აღარ დავლევ“, რომელიც უძღვნა ბ-ნ მერაბ ბერიძეს.

*„თუ რაბათთან ავერიდე მერაბ!*
*ახალციხის ციხისძირის დუქანს.*
*ლოთი არ ვარ, შენ ხომ ჩემი გჯერა.*
*ღვინო მითრევს და მაფიცებს უფალს.“*

შ. კელოშვილის პოეზიაში წარსული სიდიადე ქალის მშვენიერებასთან ერთად გაიაზრება. თმოგვი, ხერთვისი, ვარძია, წუნდა და სხვა უძველესი ციხე-ქალაქები, მუზეუმებსა და ტურისტულ სანახაობას კი არ განასახიერებს, არამედ სიცოცხლით აღსავსე თანამედროვე, დიდებული ისტორიის მქონე სოფლებსა და დაბებს თავისი ხალისიანი, შრომით დაუღალავი მოსახლეობით, ლამაზი ქალებითა და გოგონებით, რომელთა წარმოსახვა ლექსში ავტორის სტიქიაა, მისი პოეტური გატაცებაა, მისთვის ძვირფასია მესხი ქალის ერთი გაღიმება, ერთი შემოხედვა და მის გვერდით „პტენელი გოგოს ჩაცქრიალება“

მესხეთს ახლოს უნდა იცნობდე შ. კელოშვილის პოეზია კარგად რომ აღიქვა და გაიაზრო. ვარძიას დიდი ადგილი უკავია მის პოეზიაში. ეს კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. ახლა ორასამდე სენაკია შემორჩენილი. ახლად გამოკვეთილ ვარძიაში 1200 სენაკამდე უნდა ყოფილიყო და უშუალოდ მტკვრის ნაპირიდან უნდა ყოფილიყო ალმართული ციცაბო კლდე. ეს კი ისტორიულადაც საინტერესოა და პოეტურადაც. ამიტომ ეკამათება იგი ჩვენი ქვეყნის ოპონენტებს:

*„მაშ, ვარძია არაფერი,*
*უფლისციხე არას მთქმელი“?..*

ეს ციტირება მოყავს პროფესორ მერაბ ბერიძეს შ. კელოშვილის რჩეულის შესავალში, სადაც საფუძვლიანად და დიდი გულისხმიერებით გააანალიზა პოეტის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები და აღნიშნა შ. კელოშვილის მხატვრულ სახეთა სიახლეები, ფერთა სიმბოლიკა, ფრაზეოლოგიზმი და სალექსო ფორმების ორიგინალობა.

ვარძიის პეიზაჟი, ჩვენი ღრმა რწმენით, ასახულია „ვეფხისტყაოსანში“. ქვაბულები, რომელშიც ტარიელი და ასმათი ბინადრობდნენ, ძალიან ჰგავს ვარძიას. პოემაში არ არის აღწერილი სენაკების რაოდენობა და განლაგება, მაგრამ გარკვეულია იმ ქვაბულთა რაოდენობა, სადაც დევებს განძი ჰქონდათ შენახული. ეს იყო ორმოცი განძსაცავი ოთახი. შესაბამისად, ოცჯერ და ოცდაათჯერ მეტი საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო, რადგან იქ საკმაოდ ბევრი დევი ცხოვრობდა.

გარდა ამისა შოთა რუსთაველი ტარიელის „ქვაბში“ მისვლისას აღწერს იმ გეოგრაფიულ გარემოს, სადაც გმირის სადგომი მდებარეობდა.

*„დღისით ვლეს და საღამო ჟამს*
*გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,*
*კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს,*
*ძირსა წყალი ჩანადენი,*
*წყლისა პირსა, არ ითქმოდა,*
*შამბი იყო თუ რასდენი,*
*ხე დედრონი, თვალ-უწვდომი*
*მაღლა კლდემდის ან აყრდენი“.*

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ეს ვარძიაა, კლდის ძირში მტკვარი ჩაედინება, წყლის ნაპირებზე ახლაც ვერ იტყვი შამბნარია, თუ ნაზარდი ბუჩქნარი. „ხე დედრონი“, რომლის კლდის სიმაღლეზე იყო აწეული და მიყრდნობილი, მე მახსოვს, სამხრეთის მხარეს იდგა ვერხვი, თუ არ ვცდები, მაღალი იყო, მაგრამ უკვე ხმებოდა, კენწერო და ტოტები მომსხვრეული ჰქონდა. ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ტარიელის სადგომი ვარძიის პროტო პეიზაჟია, რა თქმა უნდა პოეტი თავის მშობლიურ გარემოს აღწერს და სხვაგან არ დაიწყებს ასახვის ობიექტის ძებნას. ამდენად შ. კელოშვილი ვარძიის განდიდებით რუსთაველის ტრადიციებსაც ეხმაურება.

ასევე დიდი სიყვარულითა და პოეტური შთაგონებით წერდა შ. კელოშვილი თმოგვის ციხე-ქალაქზე. მისი ისტორიული სიდიადე, ხუროთა სამშენებლო ოსტატობა, მისი გრანდიოზული კედლები და ქონქურები, კლდეში გამოკვეთილი, მტკვარში ჩასასვლელი გვირაბი კიბეებით, პოეტს სიამაყით ავსებს და პოეტური შთაგონებით აღაფრთოვანებს.

თმოგვის ტოპონიმიკა და ხედიც პოეზიაა. ადვილი წარმოსადგენია პოეტი როგორი ამაღლებული გრძნობით შეხედავდა თმოგვს. აქ ვარძიაში, ხერთვისსა და თმოგვში საქართველოს დიდი წარსულია შემონახული. შ. კელოშვილისთვის ეს წარსული თანამედროვეობის მშვენება იყო, იგი ცოცხალია ლექსში „თმოგვის წყაროსთან“.

ისტორიული სიდიადე და დღევანდელი მესხი ქალის სილამაზე ერთ მთლიან ჰარმონიას ქმნის.

*„თმოგვის წყაროსთან ვიდექი,*
*გოგომ რომ ჩამიცქრიალა,*
*წუნდის თვალები მესროლა*
*ღელის ბუჩქები შრიალა.“*

თმოგვის ათასწლიანი წყარო და წყაროსთან გოგო ტრადიციული სურათია. წყაროზე ხვდებოდნენ ერთმანეთს გოგო-ბიჭები, სხვაგან ამისი საშუალება არ ჰქონდათ. წყაროზე კი, როგორც წესი, ახალგაზრდა უნდა წასულიყო და იქ მათი შეხვედრა შეიძლებოდა. „ჩამიცქრიალა“ – ლამაზად წარმოთქმული სიტყვაა, თავის დროსა და თავის ადგილას პოეტურად ნათქვამი. „წუნდის თვალები და წუნდის ფერი“ ბ-ნ მერაბ ბერიძის აზრით, სიახლეა. დღემდე არავის მოსვლია აზრად თბილისის თვალები ან ქუთაისის, თუნდაც ახალციხის თვალები ეთქვა, „წუნდის თვალები“ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს შ. კელოშვილის ლექსებში. შეიძლება იგი მრავალმხრივ გავიაზროთ, პირველ რიგში, იგი შეიძლება დაწუნებას შეესატყვისებოდეს, მეორე და მთავარი, წუნდა ჯავახეთის უძველესი დედაქალაქი იყო და გვარამ მამფალის რეზიდენციად ითვლებოდა, საიდანაც იგი მართავდა ჯავახეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიას. მკვლევართა აზრით იგი ვარძიამდე იყო გაშენებული. თუ უნდა გამართულიყო გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ასახული საეკლესიო კრება, მაღალი რანგის საეკლესიო პირებს – ეპისკოპოსებსა და მიტროპოლიტებს ხელმწიფის – გვარამ მამფალის მონაწილეობით უნდა გადაეწყვიტათ ქართლის კათალიკოსის აღსაყდრების საკითხი. ეს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია, სადაც ვლინდება ქართველ სასულიერო და საერო ხელისუფალთა ერთიანობა, ობიექტურობა და ქვეყნისათვის ერთგული სამსახური. კრების მერე გვარამ მამფალის მასპინძლობით გაშლილ სუფრას, ცხადია, წუნდელი წუნდისთვალება ქალები ემსახურებოდნენ, რომლებიც შ. კელოშვილის პოეტურ წარმოსახვაში ცოცხლდებიან. „წუნდის თვალები მესროლა“ – მეტაფორული აზრია, რომელშიც მოიაზრება წუნდელისათვის დამახასიათებელი გამოხედვა, წარსულის აწმყოში გადმოტანა, რაც იმას გულისხმობს, რომ ძველი წუნდელი ქალის ისტორიულ-ეროვნული სახე ახლაც ცოცხალია. „ღელის ბუჩქებში“ ხშირი თმა მოიაზრება, „წუნდის თვალები“ და „ღელის ბუჩქები“ ხიბლავდა პოეტს:

*„გადიქროლა და გაფრინდა,*
*წაიღო გული ფრიალა,“*

მას უფრო გაეხარდებოდა „წუნდისფერთვალება“ გოგო თმოგველი რომ ყოფილიყო, რადგან თმოგვის ისტორიულ სიდიადეს თანამედროვეობაში დიადი სილამაზის ქალი შეეფერება. ავტორი ამ გოგონას სახეში აგრძელებს წუნდისა და თმოგვის ღირსეულ წარსულს და ცდილობს დაგვანახოს, რომ აწმყოშიც თმოგველი თუ პტენელი გოგონას სახე ქვეყნის ლამაზი ისტორიის ლამაზი გაგრძელებაა.

შ. კელოშვილის პოეზიაში ქალის ტანი, მკერდი და თვალებია ხოტბაშესხმული. მესხ ქალს ტანი ბუნებრივად მოხდენილი აქვს. სახე როგორიც არ უნდა ჰქონდეს, მაინც ლამაზი აღნაგობა აქვს. ამიტომაც ადარებს პოეტი მას ხან ლერწმის ტოტს, ხან სოსნის რტოს. მაღალი მკერდის ხიბლი ერწყმის ცქრიალა ტანს და მომღიმარე სახეს:

*„ტუჩზე შვინდი გახლეჩოდა,*
*ნარიყალა ედგა მკერდზე...“*

თვალებს განსაკუთრებული ხიბლი აქვს შ. კელოშვილის პოეზიაში. თვალების ასახვისას მრავალ ორიგინალურ მეტაფორას იყენებდა: „წუნდის თვალები“ „წუნდის ფერი თვალები“, „სოსნისთვალა„და სხვა.

სოსანს გარკვეული ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსანში“, იგი ტანის სინატიფესა და მოხდენილობის აღსანიშნავად გამოიყენება. ავთანდილის შესახებ შოთა რუსთაველი წერს: „დილასა ადრე მოვიდა იგი, ნაზარდი სოსანი, ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი“.

სოსანი, მოცისფრო-იასამნისფერი ყვავილია, მინდორში ყვავის დაახლოებით ყაყაჩოს ყვავილობის დროს. იგი უფრო ხშირია მესხეთსა და ქართლში. ტანაყრილი და ლამაზი ყვავილია, მისი ყვავილობისას რომანტიკული და პოეტური განწყობილება ამაღლებულია.

შ. კელოშვილის შემოქმედებას, მის პიროვნულ ღირსებებს, მესხური კოლორიტი და ხასიათები ასაზრდოებს. მესხეთი მისი პარნასი, შემოქმედებითი ცეცხლი იყო:

*„ზეკარს ირემი დაჰკივის*
*თორში მაჭარი დაღვინდა,*
*ტაბაწყურს მწვადი ავაგე,*
*ნეკერჩხლის ცრემლებს მაყრიდა.“*

მას ყოველთვის ეამაყებოდა, უხაროდა, რომ მესხი იყო. ამიტომ არ ზოგავდა მხატვრულ ფერებს მესხური სოფლების ხვავის, ბარაქის, ნაყოფიერებისა თუ მესხური ბუნების ასახვისას:

*„მესხი ვარ, მესხის გული მაქვს,*
*ძარღვებს სისხლი ჩქეფს მესხების,*
*მშობელი მიწის ხნული ვარ!*
*ტოტი ვარ მუხის ფესვების.*
*რა არ მაქვს, შეხე, რა არ მაქვს.*
*ცა, მიწა, ზღვა და მდინარე,*
*მე ჩანჩქერი ვარ ღვართ-ქაფი*
*ჭულეში ჩამომდინარე.“*

ჟამთა სვლას შ. კელოშვილი ისე მწვავედ არ განიცდის, როგორც ალ. ჭავჭავაძის „გოგჩაშია“ ასახული, მაგრამ მსუბუქი სევდა მაინც აწუხებს. ეს ადამიანური განცდაა, რომელიც არავისთვის უცხო არ არის. შალვა თითქოს აცილებს მიმავალ წლებს და მასთან ერთად „გაფრენილ“ სიყვარულს:

*„ნეტავ მგლის მუხლი შემაბა*
*ქორის თვალები მომცა!*
*სოფლის ორღობის ბოლოზე*
*შემომეყრები როცა,*
*ათითასი ღიმილი,*
*ათიათასი კოცნა,*
*სიჭაბუკეში გაივლის*
*გაფრინდება და მორჩა.“*

ბავშვობის წლების გახსენება ყოველ ადამიანში აღძრავს სინანულის და მონატრების განცდას. ეს ასახულია გალაკტიონის პოეზიაშიც – „მოგენატრება ბავშვური ცრემლი, ეცდები, მაგრამ ვერ ატირებდი“, ლადო ასათიანის ლექსში – „ბარდნალა“: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი“. შ. კელოშვილსაც აწუხებს „ბავშვობის წლები“:

*„თვალს და ხელს შუა გაფრინდა*
*ჩვენი ბავშვობის წლები.*
*– ქარი ყვავილებს გვაყრიდა*
*ავსილი იყო გზები.*
*ღიმილის წვიმა გვაწვიმდა*
*და გადიოდა წლები.*
*როგორ მიყვარდი, გიყვარდი,*
*ცას ვეხლებოდით გზნებით*
*ზღვა სიყვარულის ღელავდა*
*და გადიოდა წლები.“*

შალვა კელოშვილმა თავისი სიტყვა თქვა ქართულ პოეზიაში. მან გაამდიდრა მესხეთის თემა, რომელიც მეოცე საუკუნის უდიდესმა პოეტებმა გალაკტიონ ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ დაიწყეს და საუკეთესო ლექსები უძღვნეს მესხეთს. მათი ტრადიციების ერთგვარი გაგრძელებაა შ. კელოშვილის პოეზია.

მისი ლექსები გათვლილია მხატვრულ კითხვასა და პოეტურ დეკლამაციაზე. თავის მრავალფეროვანი სალექსო ფორმებით, ორიგინალური მხატვრული სახეებითა და პოეტური ნააზრევით შალვა კელოშვილის სახელი თავის ადგილს დაიკავებს ქართული მკითხველის ცნობიერებაში.

ვახტანგ ინაური,
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

# არაჩვეულებრივი კაცის არაჩვეულებრივი ავტობიოგრაფიული რომანი

გენიალური ნათქვამია: „ხე მიწის ზემოდან კი არ იზომება, არამედ — ფესვებიდან“ — იმ ფესვებიდან, „ვისი გორისანებიც“ ვართ. ცხოვრება ომია სიკეთესა და ბოროტებას შორის, სადაც დამარცხებაც და გამარჯვებაც, სიხარულიც და მწუხარებაც, ადამიანთა ხვედრია. ადამიანის სულს რომ ჩაწვდე, თავად უნდა იყო სულიერად ჯანსაღი, რომ შეიცნო მისი შინაგანი სამყარო. ამ უსიერ დედამიწაზე ხომ ერთნაირი არაფერია, თუმცა გენი მაინც თავისას აკეთებს, — „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ და გამონაკლისის გარდა, იგი თაობიდან თაობას გადაეცემა.

როგორც ანტუან სენტ ეგზიუპერი ბრძანებს, — „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“, იმ ბავშვობიდან, რომელიც თითოეულ ჩვენგანს განგებამ მოგვანიჭა. ზოგი გალაღებულ-გაცისკროვნებული ცხოვრების ბავშვობიდან მოდის, ზოგი — ჭაპნის წყვეტით და, აქაც, იშვიათად, მაგრამ მაინც, ზღაპრის გმირივით, გამარჯვებული გამოდის.

სწორედ ასეთ ზღაპრულ სამყაროში აღმოვჩნდი, როდესაც ჩემი უფროსი მეგობრის ნიკოლოზ კურტანიძის ავტობიოგრაფიული რომანის „გზა ცხოვრებისა ღვთისგან კურთხეული“ ოთხტომეულს გავეცანი. აქამდეც ღრმად ვიყავი ჩახედული მის შემოქმედებაში, მისი განვლილი მძიმე, გაუსაძლისი ცხოვრების შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, ისიც, რომ მისი თითოეული ლექსი გულიდანაა ამოხეთქილი, ყველაფერი ცხოვრებისგან ნაკარნახევი და ვერცერთ მაამებლურ სტრიქონს ვერ აღმოაჩენ მასში. უპირველესად, თითოეული მისი ლექსი თუ ნააზრევი, ოჯახური სითბოდან, შვილთა და შვილიშვილთა უდიდესი სიყვარულიდან გამომდინარეობს და ავტორის პოეტურ სამყაროში გადავყავართ, უფრო ახლოს გვაცნობს მის შინაგან ბუნებას, რომელსაც მანანები ციდან არ უკრეფია და ყველაფერი — სახელიც და ავტორიტეტიც, ალალი შრომით მოუპოვებია.

საქართველო არაერთხელ მდგარა დიდი განსაცდელისა და გაჭირვების წინაშე, რომელსაც, უპირველესად, მოსახლეობის დაბალი ფენების კისერზე გადაუვლია და ხვალინდელი დღის, უკეთესი მერმისის იმედით და ხსნა კუჭის პრობლემის მოგვარებასთან ერთად ცოდნისა და სწავლის ძიებაში უძებნია.

ჩვენი სასიქადულო პოეტი იოსებ გრიშაშვილი ერთ-ერთ თავის ცნობილ ლექსში ბრძანებს:

“... მიყვარდა წიგნი,
წიგნს ვსახავდი მე თვალისჩინად,
მიყვარდა კითხვა
და ამ კითხვამ გადამარჩინა“

ეს სტრიქონი, ჩემი აზრით, ერთიერთში ჯდება ნიკოლოზ კურტანიძის ბიოგრაფიის იმ ნაწილში, როდესაც ცოდნაზე თანგადამკვდარი პოეტი, გაჭირვების მიუხედავად, როგორი ინტერესით ეუფლება სწავლას, ჯერ სკოლაში, მერე ტექნიკუმში, ინსტიტუტში და, შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, თუ როგორ აქცევს მიზანსწრაფული შემართება ყველაზე საქმისმცოდნე, ეფექტიან მენეჯერად მას.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ჯერ კიდევ ყმაწვილი ნიკოლოზ კურტანიძის პრინციპული გადაწყვეტილება — მიეტოვებინა მშობლიური სკოლა და სწავლა ქუთაისის სამთო-ტექნიკუმში გაეგრძელებინა, როგორც თავად წერს, — იმ იმედით, რომ ტექნიკუმში სწავლის პერიოდში სტიპენდიის მომჭირნეობით ხარჯვისა და ეკონომიის ხარჯზე შეძლებდა ერთი ტომარა ფქვილის ოჯახში მიტანას. ოჯახში მის ამ გადაწყვეტილებას ყველა ემოციურად შეხვდა, ისიც კი უხუმრიათ: „ასეთ პატარას ვინმე ფეხს დაგადგამს და გაგსრესსო“, მამას თან დაუმატებია: ამ დახეულ შარვალ-ხალათით ფიქრობ წასვლას? ან გზის ფული არ გინდა, ან რა უნდა ჭამო? ჩვენ ერთი კაპიკიც არ მოგვეპოვება სახლშიო. ბოლოს ნასესხები ფულით გზა დაულოცეს ყმაწვილს. ძმის ნაქონი ძველი გამოკემსილი შარვალი გადაუკეთეს და ისე გაუშვეს. იგი, როგორც ტექნიკუმში, ასევე ინსტიტუტში სწავლისას, ყველაზე გამორჩეული და წარმატებული სტუდენტი გახდა. პარალელურად მუშაობა დაიწყო ავტოქარხნის სარემონტო-მექანიკურ საამქროში ელ-ტექნიკოსად. აქაც კარგად ჩანს მისი მიზანსწრაფვა, რომ ყველა წინააღმდეგობა შეუპოვრად დაძლიოს და ლელო ბოლომდე გაიტანოს.

როგორც ავტობიოგრაფიული რომანიდან ჩანს, მწერლის ცხოვრების დიდი ნაწილი შემდგომ ქუთაისთან გადაიჯაჭვება და აქედან იწყება მისი ცხოვრების ალმასვლაც. ქუთაისი მისი პოეზიის წყაროდაც იქცა და დამოუკიდებელი ცხოვრების გზასავალიც:

„შენს ქუჩებში ბიჭმა ოდეს
წამოვკრიფე მზის სხივი,
იმის შემდეგ არასოდეს
გავთოშილვარ სიცივით.
გამაკვირვე, გამაკიდე
ოცნების მტრედს ვარდებით,
ვარდის ცეცხლი წამიკიდე
რაღას დავიკარგები.
შენი ხილვით გამაოცე
დიდ ტაძართან ასული,
ჩუქურთმიან ქვას ვაკოცე,
შემიყვარდა წარსული.
რადგან ერთხელ განვიცადე
შენი დილა ცინცხალი,
სხვაგან ვეღარ გავიხარე
ჩემ სამშობლოდ გიცანი.
მე შენს სახელს ვენაცვალე
და შენს წმინდა ალაგებს,
იმედად მაქვს შენი ხვალე
ვარსკვლავად რომ ანათებს.“

პირველი სამსახურეობრივი ნათლობაც მის საყვარელ ქუთაისში შედგა.

როგორც ცნობილია, იმხანად მუშაობის დასაწყებად, სავალდებულო იყო ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა. კოლიას (როგორც მას ბავშვურ ასაკში ერქვა) ცნობა არ მისცეს, ცუდი ჯანმრთელობის გამო. ვინ არ ჩარია ამ საქმეში, მაგრამ საამქროს ექიმი მაინც წინააღმდეგი იყო, — პასუხს მომთხოვენ, შარის თავი არ მაქვს, დიდი, დიდი კოლიამ ერთი წელი იცოცხლოსო. პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა მაინც გარისკა და კოლიას თხოვნა დაუკმაყოფილა. სამი თვის შემდეგ, თურმე, ის ექიმი, ვინც ცნობა არ გასცა, თავად გარდაიცვალა.



პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი ნიკოლოზ კურტანიძის აღმასვლა და სამსახურეობრივი კარიერა დაიწყო. მის გარეშე ქარხანაში წარმოუდგენელი იყო სიახლეების დანერგვა, როგორც იტყვიან, ნოვატორული წინადადების შემუშავებაში ეხმარებოდა კავშირის მასშტაბით ავტოქარხნებში კვალიფიკაციის კურსებზე სისტემატურად მიღებული ცოდნა.

ნიკოლოზ კურტანიძის ავტობიოგრაფიულ რომანში მთავარი ადგილი მის დიდ ოჯახს უკავია, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს როგორც მამისეული ოჯახური გარემო, ასევე ქალბატონ ნუნუ ქავთარაძესთან შექმნილი ოჯახი. ამიტომაცაა, რომ მისი შემოქმედების ძირითადი ნაწილი მათ ეძღვნება, რაც პოეტის დიდბუნოვნებაზე მეტყველებს და გვეუბნება, ოჯახის გარეშე ცხოვრება არაფერია, ცხოვრების აზრი ოჯახის შექმნაშია, ჯანსაღი ოჯახები კი ქვეყნის სიძლიერის განმსაზღვრელია. მის მიერ შექმნილი დიდი ბიზნესიც მეუღლის, შვილების — პაატას, მალხაზის, მაიას დამსახურებაა.

ავტობიოგრაფიულ რომანში ნიკოლოზ კურტანიძე საინტერესოდ მოგვითხრობს ველოსიპედის ბიზნესში გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე. მაშინ, როდესაც საბჭოთა სისტემა ინგრეოდა, გაწყვეტილი იყო მწარმოებელ ქარხნებთან ყოველგვარი კავშირები, სწორი ალღოთი და ბიზნესგათვლებით, შეძლო ძველი სამეგობროს მეშვეობით დაუგავპილსის ველოსიპედების მწარმოებელ ქარხანასთან კავშირების აღდგენა. იმ განუკითხაობის ჟამს კი, როცა ქურდ-ყაჩაღთა მხრიდან ახლადფეხადგმულ ბიზნესმენთა დარეკეტებას საზღვარი არ ჰქონდა, მან საკუთარი გათვლებით არა თუ მზა პროდუქციის შემოტანა-რეალიზაცია დაიწყო, არამედ — ველოსიპედების დეტალებით, რომელიც დაყაჩაღებისაგან მინიმუმამდე იყო დაცული. შემდეგ ნელ-ნელა ააწყო მზა პროდუქციის როგორც ადგილზე, ასევე თურქეთში გატანა და რეალიზაცია. ალლო აუღო რა ბიზნესს, თურქ პარტნიორთა რჩევით, მედიკამენტების ბიზნესს მიჰყო ხელი. ამ სფეროში კი განსაკუთრებით გამოვლინდა მისი ნიჭი და შესაძლებლობა. სწორედ მაშინ კიდევ უფრო აქტიურად გამოიყენა თავისი სანაცნობო წრე და კავშირები რუსეთის ფარმაკოლოგიურ ცენტრებთან, რომლებთანაც მოპოვებული ჰქონდა უდიდესი ნდობა. ასე დაიწყო ფართო მოხმარების მედიკამენტებით მოსკოვის, ლენინგრადისა თუ სხვა დიდი ქალაქების სააფთიაქო ქსელის მომარაგება, ადგილზე ქმნიდა შპს საზოგადოებებს და ბაზრის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა. როგორც იტყვიან, ქართული ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს, „შროშის გზად“ გაიხადა რუსეთის, თურქეთის, პოსტსაბჭოთა სივრცის არაერთი ქალაქი და, ბოლოს, 1995 წლის 31 აგვისტოს შექმნა შპს „ავერსი“, რომელიც, ფაქტიურად, მთელ საქართველოს სააფთიაქო ბაზარს მოიცავს.

ნიკოლოზ კურტანიძის ავტობიოგრაფიული რომანის წაკითხვით რწმუნდები, მართლა რა ძალა, ენერგია ჰქონდა მას და მის დიდ ოჯახს, რომ სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა.

გასული საუკუნის, განსაკუთრებით პირველი ნახევრის, თითქმის ყველა პერიოდი, ჯოჯოხეთურად გაუსაძლისი აღმოჩნდა მთელი კავშირის მოსახლეობისთვის, რამაც უდიდესი მსხვერპლი მოუტანა ქვეყანას, თუმცა ბევრიც ფოლადივით გამოაწრთო. იმ თაობის ახალგაზრდებისთვის არც ფეხშიშველა, დაკერებულ-გამოკემსილი შარვლით სიარული ყოფილა სათაკილო და არც ლუკმა-პურისთვის სიზიფეს შრომა.

ვისაც გაჭირვება არ უნახავს, ვერც სხვის გაჭირვებას გაითავისებს და ყველაფერს სიუჟეტის გამძაფრებისთვის მოგონილ ამბად მიიჩნევს.

ავტობიოგრაფიული რომანის კითხვისას გამახსენდა გასული საუკუნის 20-იან წლებში მესხეთში მომხდარი ერთი ფაქტი, როდესაც ნოე ჟორდანიას სახელზე, მთავრობაში, ერთ-ერთი სოფლიდან მოსახლეობის კოლექტიური განცხადება გაიგზავნა, სადაც სიკვდილის პირზე მისული, გაძვალტყავებული მოსახლეობა, ეროვნულ მთავრობას თავიანთი გაუსაძლისი გაჭირვების თაობაზე ატყობინებდა — „ახლა ზაფხულია, მინდორში ბალახს ვძოვთ, რომ დაზამთრდება, მერე რა გვეშველებაო?“

თითქმის ანალოგიურ სიუჟეტებს ვხვდებით ამ რომანშიც, როცა მთელი ოჯახის დღიურ სარჩოს მინდვრის ფხალი და ერთი ბეწო ჭადი წარმოადგენდა, ხშირად ისიც რომ არ ჰქონიათ. არაადამიანური, თავდაუზოგავი შრომა გადარჩენისთვის კი, ჩალის ფასი ღირდა. რომ იტყვიან, მშობლები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ წვრიშვილი გამოეკვებათ.

ნიკოლოზ კურტანიძე განსაკუთრებით დამაჯერებლად და საინტერესოდ მოგვითხრობს თავისი ბავშვობის წლებსა თუ მრავალშვილიანი ოჯახის უსახსრობისა და მომქანცველი შრომის თაობაზე, რომელსაც, ნაბიჯ-ნაბიჯ, იმედიანი დღეებიც მოჰქონდა, თანაც ბავშვობის ასაკშივე ზრდიდა მათ მისწრაფებას — საზოგადოებაში საკუთარი ადგილი თავად ეპოვათ, პატიოსანი შრომით გაეკაფათ ცხოვრების შარაგზა და პირველ




რიგში ოჯახის გადარჩენისთვის ეზრუნათ. მცირედიდაც დიდ კმაყოფილებას გრძნობდნენ, სხვისი ხელის შემყურენი კი არასოდეს ყოფილან. ალალი შრომით მოპოვებული „პური ჩვენი არსობისა“ — ეს იყო მათი უპრეტენზიო, მიზანსწრაფული ცხოვრების კრედო, იმედი იმისა, რომ მხოლოდ პატიოსან შრომას ძალუძს ადამიანთა დაუმადლებელი ცხოვრების მოწყობა.

ნიკოლოზ კურტანიძე თავის ავტობიოგრაფიულ რომანში ამოსავალს მაინც ბავშვობის წლებში ეძებს, რომლის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ გაჭირვება არ მოჰკლებია, თუმცა ბავშვობის წლები, როგორი გაუსაძლისი არ უნდა ყოფილიყო, მაინც ტკბილ მოგონებად რჩება. „ცვრიანი ბალახით“ შეიგრძნობს იგი თავისი მამულის სიყვარულს, რომელიც მასში მეტ პატრიოტულ გრძნობებს აღვივებს:

„ის გაზაფხული სხვა იყო,
ის ცრემლი ვაზის ღეროდან,
ჩემი სიცოცხლე დაიწყო
ბავშვობის საქართველოდან,
ის მზის ამოსვლა სხვა იყო —
ოქროსფერვარაყიანი,
ბალახზე მთვარის ცრემლები,
შარაგზა ტალახიანი.
ღობეზე თეთრი ტყემლები —
პატარძლის სამოსიანი,
შრიალი ატმის ყვავილის —
ვარდისფერბადახშიანის,
დილის სიმღერა ნიავის,
ტყის პირზე მწვანე მდელოდან,
ჩემი სიმღერა დაიწყო
ბავშვობის საქართველოდან.
ის აღმაფრენა სხვა იყო,
სიცოცხლის აყვავილება,
გულის პირველი ფრთხიალი,
პირველი გახალისება.
ნაკადულების ლიკლიკი,
ღელეში ნაზი დინება,
ენძელას გაცისკროვნება,
სხივის ამბორს რომ მინებდა.
ის გაზაფხული სხვა იყო,
ის ცრემლი ვაზის ღეროდან,
სიყვარულიც იქ დაიწყო —
ბავშვობის საქართველოდან.“

და მართლაც, რაა ცხოვრება უსიყვარულოდ. თუმცა მარტო სარჩოს მოპოვება რა ბედენაა, თუ ამ სწრაფვაში ცხოვრების მთავარი არსი — სიყვარული არ აგამაღლებს, არ განგაწყობს გამორჩეულ ადამიანად რომ გაქციოს, ცხოვრების აზრს სტიმული რომ მისცეს. მაინც სულ სხვაა პირველი, თანაც ბავშვური, სიყვარულის გრძნობა, რომელიც აგამაღლებს, ცხრა მთას გადაგატარებს. და, აგერ, 75 წელს გადაცილებული პოეტისა და მწერლის, ბიზნესმენის ნიკოლოზ კურტანიძის სულში ისევ ნაკვერცხალივით ღვივის ის დაუვიწყარი, ნათელი გრძნობა პირველი სიყვარულისა, რომელიც აფხაზმა მომხიბლავმა ფერიამ განაცდევინა:

„მე მახსოვს ჩემი პირველი გრძნობა,
ვარდ-ყვავილებით მორთული ველი,
მიტოვებული უცბად ბავშვობა,
ათრთოლებული კოცნა პირველი,
მაშინ ხარობდა კორდზე ყაყაჩო,
ტოტზე გალობდა ჩიტი ნიბლია,
პირველი გრძნობა ახლაც დამათრობს,
კოცნა სიცოცხლის ახლაც ხიბლია...“

დღევანდელი გადასახედიდან როდესაც ვზომავთ ჩვენ წარსულს თავისი ავ-კარგით, მართლაც რაოდენ დიდი სხვაობაა იმ თაობასა და ამ თაობას შორის. 13-14 წლის ყმაწვილები უფრო დამოუკიდებლად იკვლევდნენ ცხოვრების გზას ლაბირინთებში, ვიდრე დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობა. მათთვის შრომა, რაოდენ მძიმეც არ უნდა ყოფილიყო, მომავლის იმედით იყო განმსჭვალული და ხშირად არც დედიკოს იმედად რჩებოდნენ და არც მამიკოსი, მეგობრობაც მეტი იცოდნენ და ერთმანეთის გატანაც.

ნიკოლოზ კურტანიძის ავტობიოგრაფიული რომანი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ მრავლადაა წარმოდგენილი კურიოზული, იუმორით გაჟღენთილი შემთხვევები და საინტერესო ფაქტები, რაც წიგნს უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის.

როგორც ითქვა, ავტორის მთელი ოჯახი, დიდიან-პატარიანად, დღიური ულუფის საფასურად გაუსაძლის შრომას ეწეოდნენ და დაუმადლებელი ლუკმა-პურის საფასურს გამოიმუშავებდნენ. ერთ გაზაფხულზე, თურმე, მეზობელ ოლღა გელბახიანს მისი მამისთვის — ივლიანესთვის უთხოვია, თავისი მცირეწლოვანი შვილებით დახმარებოდა ნაკვეთის დამუშავებაში. მუშაობის პროცესში გამოუვლია რაიონიდან მოვლინებულ ექიმ შალვა გელბახიანს და მისალმებია ბარვაში გართულ ივლიანეს, თანაც უკითხავს:

„ — ივლიანე, ეს ბიჭები ყველა შენია?

— ჩემია, ბატონო შალვა, ჩემია. მეხუთე პატარაა, სახლში დავტოვე!

— სკოლაში დადიან? — ისევ უკითხავს გელბახიანს.

— დადიან, დადიან. ესენი ხუთოსნები არიან. მიუთითა კოლიაზე და ჯუმბერზე. ჟულია რვა კლასს ამთავრებს, ოთარი მეშვიდეშია, ამათაც კარგი ნიშნები აქვთ.

— შე კაი კაცო, ასე კარგად თუ სწავლობენ, ოლღას ბოსტანში აცდენ?

— რა ვქნა, ჩემო შალვა, მიჭირს ძალიან და იმიტომ ვამუშავებ.

შალვა ჩაფიქრდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ივლიანეს მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა: „ნუ გეშინია, ივლიანე. გაივლის ათიოდე წელი და შენზე მდიდარი ამ სოფელში არავინ იქნება. შენი ხუთი ვაჟი ისწავლის, ხუთ სახლს ააშენებს, ცალ-ცალკე ხუთ მანქანას იყიდიან და მდიდარი იქნები. მე ეს ერთი ვაჟი მყავს, ჩემი შვილი ახალ სახლს ხომ არ ააშენებს და თუ იმასაც არ დაანგრევს, იმაზეც მადლობელი ვიქნები“. მართლაც, ნიკოლოზ კურტანიძის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი შვილებია, რომელთა შესახებ თხრობას ამ რომანში ყველაზე მთავარი ადგილი უკავია.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს თავისი გვარის წარმომავლობის შესახებაც. დიდი აკაკის ნააკვნარზე გაზრდილი პოეტის სურვილია, როგორც თავისი თავი გააცნოს მკითხველს, ასევე ისიც, თუ ვისი გორისაა, ვინ იყვნენ მისი წინაპრები, ის წინაპრები,

➔

რომელთა ძვლებით გაპოხიერებული მიწიდან ნასაზრდოები კურტანიძეთა შთამომავალობა ფესვმაგარ ყლორტზე მშობლიური საქართველოს სამსახურში არიან და მის საკეთილდღეოდ იღწვიან.

ცნობილ მეცნიერ-მკვლევართა მიერ დასტურდება, რომ კურტანიძეთა წინაპრები იმერეთში გადმოსულები არიან ჯავახეთიდან (იხ. „საგვარეულო წიგნი საირხელ კურტანიძეთა“). მათი პირველი მიგრაცია გამოწვეული ყოფილა შემდეგი ფაქტორით: როგორც ცნობილია, მე-16 საუკუნის შუა წლებში ქარალაქის (1543) ბრძოლაში იმერეთის მეფის ბაგრატ მესამის გამარჯვების შემდეგ, ოსმალთა სულთანმა, სულეიმან პირველმა, გადაწყვიტა რევანშის აღება. მოსალოდნელი ომის გამო ბაგრატ მესამემ დახმარება სთხოვა ქართლის მეფე ლუარსაბ პირველს და გურია-ოდიშის მთავრებს, თუმცა ოდიშელებმა დახმარების გაწევაზე უარი უთხრეს, ხოლო, იმის გამო, რომ, როგორც წესად იყო, მეწინავე ლაშქრის მოვალეობა მესხებს უნდა ეთავათ, მოულოდნელად ეს მისია ქართლის ჯარს დაეკისრა, რითაც განაწყენებულმა მესხებმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვეს და ლაშქარი უკან დასძრეს, მიატოვეს ბრძოლის ველი და ამგვარმა ქმედებამ სოხოისტას ველზე გადაწყვიტა ომის ბედი თურქთა სასარგებლოდ. ამას შედეგად ის მოყვა, რომ ჯავახთა დიდმა ნაწილმა მიატოვა მშობლიური კუთხე და თან გაჰყვნენ დამარცხებულ მეფე ბაგრატს. ასე აღმოჩნდნენ კურტანიძეთა წინაპრებიც ბაგრატის ქვეშევრდომობით იმერეთში.

საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ დიდ-პატარამ იცის ბიზნესი ვინ როგორ და რა გზით შექმნა. ტვინის ჭყლეტა არავის ჭირდება, ჩვენი საინფორმაციო მედია საშუალებები ისე ჩაჰკირკიტებენ თითოეულ მათგანს, რომ ხელისგულზე სარკესავით ჩანს მათ მიერ წარმოებული ბიზნესი, რომელთა პატიოსან და გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, ეკონომიკის, კულტურის, თავდაცვის და ა.შ. განვითარება. თუმცა აქაც არიან ისეთები, რომელთა ბიზნესი არა ქვეყნის, არამედ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზეა გათვლილი. ალბათ, ყველამ იცის როკფელერის სახელი. ერთხელ, როდესაც მას შეეკითხნენ, თუ როგორ დააგროვა მილიონები, როგორ შექმნა ბიზნეს-იმპერია, გვახსოვს, რა ხატოვანი პასუხი გასცა: პირველი მილიონის მოგებაზე ნურაფერს მეტყვით, დანარჩენზე ყველაფერს მოგახსენებთო. ქართველი პოეტისა და ბიზნესმენის ნიკოლოზ კურტანიძის ავტობიოგრაფიულ რომანში კი სარკესავით ჩანს, როგორ წვალებით და არაადამიანური შრომის ფასად შექმნა თავისი ბიზნესი, ამაში ეჭვის ნატამალსაც კი ვერ შეიტანს მკითხველი.

ნიკოლოზ კურტანიძის ავტობიოგრაფიული რომანი ესაა ერთი არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრების დეკლარაცია, რომელსაც ყველა ხედავს, გარშემომყოფელებმა იციან მის მიერ შვილებთან, მეუღლესთან ერთად ბეწვის ხიდზე მრავალგზით გავლილი კაცის არაადამიანური შრომით მოპოვებული წარმატებების თობაზე. რომ ამ მონათხრობში ვერავითარ სიყალბეს ვერ ჩაიდენ, რადგან იმ ფანტასტიკურად დიდ სანაცნობო წრეში, ერთს მაინც გაუჩნდება აზრი, ეჭვი შეიტანოს მის გულწრფელობაში, ხინჯი არ მოუძებნოს და ღია ჭრილობა არ მიაყენოს. არადა, ნიკოლოზ კურტანიძის თითოეული ფრაზა ასჯერ მაინცაა მოზომილი და ძნელია არ ენდო მას.

თუმცა გაკვირვებას ის იწვევს, ყოფილი საბჭოთა კავშირის უკიდეგანო სივრცეში უსახსრო კაცმა როგორ შეძლო ყველა ქალაქში – ეს იქნებოდა მოსკოვი, ლენინგრადი, ნიჟნი-ნოვგოროდი, დაუგავპილსი, პემზა, კრასნოიარსკი, ლვოვი, ტოლიატი, კიევი, ბაქო, ერევანი და მრავალი სხვ. ჰყოლოდა დიდი სამეგობრო, ახლო ურთიერთობაში ყოფილიყო დიდი სამრეწველო თუ ფარმაკოლოგიური ქარხნების მწარმოებლებთან და ასე იოლად გაერთმია თავი ყველა იმ პრობლემისა თუ წინააღმდეგობებისათვის, რომლის წარმოდგენაც კი, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, შეუძლებელია, ეს იმის მტკიცებულებაა, თუ როგორ ენდობოდნენ, სწამდათ მისი და ისიც ყველაფერს აკეთებდა ამ ნდობის შესანარჩუნებლად. ეს ხომ იმის შედეგია, რომ პარტნიორთა შორის მოპოვებული ჰქონდა უდიდესი ნდობა და თავადაც ულალატო ადამიანი იყო.

რომანში თვალშისაცემია ერთი საინტერესო ფაქტიც, რომელიც მას შემთხვევია მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტის დროს:

„ბინდდებოდა. თანდათან სარეკლამო აბრები ინთებოდა. ერთ-ერთი შენობის თავზე აბრა აციმციმდა „როსტომ ბანკი“.... გაიფიქრა, შევალ, გავარკვევ, იქნებ ქართველია, თან დროც ჰქონდა.

შენობაში შესულმა მმართველის მისაღები იკითხა. სამუშაო საათები თითქმის დასრულებული იყო, უნდა გამობრუნებულიყო, რომ მმართველის კაბინეტიდან ქართულ ენაზე კამათის ხმა შემოესმა... უცებ კარი გაიღო და მოსაუბრეები გამოვიდნენ. ერთ-ერთმა მაშინვე დატოვა მისაღები. მაღალი, სიმპატიური კაცი დარჩა. შეხედა უცხო სტუმარს, რუსულად მიესალმა და კაბინეტში შეიპატიჟა. ნიკოლოზი ქართულად მიესალმა:

– კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. მე ქართველი ვარ, ნიკოლოზ კურტანიძე.

– მეც ქართველი ვარ, – სახე გაუნათდა მასპინძელს, – როსტომ კურტანიძე.

ეს მართლაც წარმოუდგენელი სიხარული იყო ორივესთვის. უცხო ქალაქში, ერთმანეთისთვის უცხო მოგვარეებმა ძველი მეგობრებივით გადაკოცნეს ერთმანეთი.

– რა გაგჭირვებია, ძმაო, რით დაგეხმარო? და სავარძელს მიუჯდა როსტომი, სტუმარსაც შესთავაზა დაჯდომა.

– არაფერი მიჭირს, ბანკის სახელმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ვიფიქრე, იქნებ ქართველია ამ უცხო ქალაქში დამკვიდრებული, შევალ, გავეცნობი-მეთქი – უპასუხა ღიმილით ნიკოლოზმა.

როსტომი გადმოჯდა ნიკოლოზთან და ახლობელივით დაუწყო ლაპარაკი: – ჩემთან ვინც მოდის, ყველა რაღაცას მთხოვს. კაცს ერთხელ სიხარულითაც დაეხმარები, მაგრამ, ხომ ხედავ, შენს დახმარებას ბოროტად იყენებენ. მერე გული მოგდის. ჩემს გარშემო ხალხს ჰგონია, რომ ფული ციდან მეყრება. აი ეხლაც, კაცი რომ გავიდა ჩემგან გულმოსული, უკვე მერამდენედ მთხოვა ფული და აღარ მივეცი. რამდენჯერაც დავეხმარე, იმდენჯერ უყაირათოდ დახარჯა. მე მთელი ცხოვრება ვშრომობ....

– მე პერევიდან ვარ, ჭიათურის რაიონიდან. შენ სადაური კურტანიძე ხარ?

– მე საირხიდან...

– ძმები ვყოფილვართ, – თქვა როსტომმა. ხო მართლა, იმას გეუბნებოდი, 17 წლის წამოვედი სახლიდან... მოსკოვში ჩამოვედი, აქედან ვლადივასტოკში გამგზავრება გადავწყვიტე. ოქროს საბადოზე მინდოდა მუშაობა“...

როგორც გაირკვა, როსტომი შემდგომ წლებში, 25 წლის ასაკში, შორეულ აღმოსავლეთში, ერთ-ერთი უმსხვილესი ტრესტის ყველაზე ახალგაზრდა მმართველი გამხდარა და, ბოლოს, მოსკოვში რომ გადმოსულა საცხოვრებლად, – აღნიშნული ბანკის ხელმძღვანელი. საუბარი ოჯახურ ვახშამზე გაგრძელებულა.

დამშვიდობებისას როსტომმა ნიკოლოზის თვალწინ მოზრდილი ზარდახშა გახსნა და სამკაულებიდან ორი ბეჭედი ამოარჩია. ერთი ნიკოლოზს გაუკეთა ხელზე, მეორე ბეჭედი, საყურეებთან ერთად, ცოლთან გამოატანა. ბოლოს ეს ბედნიერი შეხვედრა საწინდარი გახდა მათი განუყრელი მეგობრობისა. ეს შეხვედრა შემდეგ ნიკოლოზის ლექსებშიც არაერთხელ აისახება.

ნიკოლოზ კურტანიძის ავტობიოგრაფიულ რომანში ვრცლადაა წარმოდგენილი მისი პოეტური ნიმუშები და იმითაცაა საყურადღებო, რომ პოეტი (ახლა უკვე მწერალი) ფართო განმარტებას იძლევა თითოეული ლექსის შექმნის წინაპირობაზე, თუ რა იყო მიზეზი მათი დაბადებისა, – ეს იქნებოდა თვითმფრინავით, მატარებლით, ავტობუსით მგზავრობის დროს თუ სხვა მოსახერხებელ გარემოებაში. საინტერესოა, რომ ბიზნესს შეჭიდებული, ათას ჭირვარამ გამოვლილ ადამიანს კიდევ შესწევდა ძალა პოეზიაზე ეფიქრა მაშინაც კი, როცა თითოეული წამი გადაუდებელი საქმისთვის ჰქონდა გამოყოფილი. სამშობლოდან მოცილებულ პოეტს მუდამ სტანჯავდა ნოსტალგია ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების, იმ სოფლის მიმართ, სადაც მთელი სიყრმის წლები, სიღარიბესა და გაჭირვებაში გაატარა, მაგრამ მის სულიერ სამყაროს ამდიდრებდა და მისდამი ლტოლვას უმძაფრებდა.

უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ეხსომებათ 1991 წლის 29 აპრილი, როდესაც საქართველოში, ეპიცენტრით საჩხერეში, დიდი მიწისძვრა მოხდა. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის ეს დიდი გამოცდა იყო, რამეთუ, ისედაც ეკონომიურად გაძვალტყავებული საქართველოსთვის ამხელა ზარალის სალიკვიდაციოდ უდიდესი ძალისხმევა იყო საჭირო. გუშინდელი დღესავით მახსოვს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორი ერთსულოვნება იგრძნობოდა გაჭირვებაში მყოფ თანამოძმეთა მიმართ. მათ დასახმარებლად საიდან არ მიდიოდნენ. მაშინ საქართველოში ახლად იდგამდა ფეხს ბიზნესი და წარმოუდგენელი იყო მათი მხრიდან სოლიდური დახმარების გაწევა, თუმცა ნიკოლოზ კურტანიძემ მაინც შეძლო თავისი უანგარო წვლილი შეეტანა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში. სოფელ საირხის მოსახლეობის მობილიზებითა და მისი უშუალო ჩართულობით შეძლო მშობლიური სოფლის სკოლის აღდგენა და ჩვეულ რიტმში სწავლის გაგრძელება. ეს პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მის ქველმოქმედებაში.

პოეტ-ბიზნესმენის ნიკოლოზ კურტანიძისადმი სიყვარულს აქტიურად რომ გამოხატავენ თავისი ბიზნესპარტნიორები თუ გარშემომყოფელნი, თანამშრომლები თუ ახლობლები, ეს შეულამაზებლად ჩანს ამ მეტად საინტერესო წიგნში. რედაქტორის (რეზო მიშველაძე) კომენტარი რომ მოვიშველიოთ, „ეს მხატვრული ნაწარმოები სახელმძღვანელოდ გამოადგება ყველას, ვისაც ცხოვრების პრინციპად ნიადაგ ბრძოლა და წუთისოფელში მართლად სვლა, კაცური კაცის სახელის დამკვიდრება აურჩევია.

თქვენ გაგაოცებთ ავტორის არამარტო შესაშური მეხსიერება, არამედ ხატოვანი ენა და პასაჟების ფერწერად გადმოცემის ჭეშმარიტად მწერლური უნარი.

პირველი სტრიქონიდანვე ინტერესით მიყვებით რომანში განვითარებულ მოვლენათა დინამიკას, გარძნობთ, რაოდენ გულწრფელია ავტორი, რა გადამდებია მისი ნება, მკითხველი თავისი ცხოვრების თანამოალმედ, თანამოაზრედ აქციოს“.

ავთანდილ ბერიძე

## შუშანა ფუტკარაძე 80 წლისაა!

# გილოცავთ, ქალბატონო შუშანა!



ქართული ლიტერატულ-სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს ემერიტუს-პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს, რომლის კვლევის ობიექტს ძირითადად წარმოადგენს აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია და მეტყველების კვლევა. ხანგრძლივი და დაუღალავი მეცნიერული კვლევების შედეგად მან მოიძია მრავალი დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა, გამოსცა საინტერესო მონოგრაფია „ჩენებურების ქართულის“ ორტომეული, როინ მალაყმაძესთან, ელზა, შორენა ფუტკარაძეებთან ერთად – სოლიდური წიგნი „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ I-II ტომი, მომზადების პროცესშია წიგნის მესამე ტომიც, რომელიც დიდი შენაძენია ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად ქალბატონმა შუშანამ რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო სტამბოლის ქართულ სავანეში და მნიშვნელოვანი ნაშრომებიც მიუძღვნეს მას.

ქალბატონი შუშანა ფუტკარაძის დამსახურება განუსაზღვრელად დიდია ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში, რაზეც ასევე მის მიერ გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო შრომა და კვლევაც მეტყველებს. მისი ღვაწლი კი იმით დაფასდა, რომ იგი ხულოს, შუახევისა და ბათუმის საპატიო მოქალაქე, ტბელ აბუსერიძის პრემიის ლაურეატია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ხალხთა შორის მეგობრობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის – გევონდ ალიშაანის საპატიო მედლით.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს საიუბილეო თარიღს – 80 წლის ღირსეულ იუბილეს და უსურვებს, უპირველესად, ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

იუბილე

# გვეამაყებით, ჩვენო ერთგულო თანამოკალმეებო!




მესხეთში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი გეტყვით, რომ ყველაზე დიდი მოვლენა გასული საუკუნის 90-იან წლებში თსუ-ის ახალციხის ფილიალის გახსნა იყო. მაშინ ბევრი, ალბათ, სკეპტიკურად უყურებდა ამ ფაქტს, რადგან ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ უნდა ეფუნქციონერა ისეთ რთულ რეგიონში უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას, რომელსაც საიმისოდ არც სათანადო მატერიალურ-ტენიკური ბაზა ჰქონდა და, რაც მთავარია, არც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყავდა.

მაგრამ ამ საქმის ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა, ახალგაზრდა მეცნიერმა მერაბ ბერიძემ შეუძლებელი შეძლო და გარშემო შემოიკრიბა ასევე ახალგაზრდა ენთუზიასტ-მეცნიერთა მობილური ჯგუფი და, როგორც იტყვიან, თანდითანობით, უსახსრობისა და მრავალი გაჭირვების მიუხედავად, შეეჭიდა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს და დღეს, მრავალ ბრძოლაგამოვლილი უნივერსიტეტი, ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული უნივერსიტეტია საქართველოში და სწორედ მის კურსდამთავრებულებს აბარიათ ყველა საკვანძო თანამდებობა მესხეთში (და არა მარტო აქ).

30 წელი მთელი ეპოქაა, რომელიც მათ შექმნეს. ასევე 30-წლოვან ისტორიას ითვლის უნივერსიტეტში გამომავალი მაღალი აკადემიური დონით გამორჩეული გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“, რომელსაც ბრწყინვალედ რედაქტორობს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დიდებული ქალბატონი, მარინა ზედელაშვილი. მან მესხეთის დედაუნივერსიტეტთან ერთად დიდი შემოქმედებითი გზა გაიარა და არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა გზა ქართულ ჟურნალისტიკაში.

დღეს საქართველოში თუ რომელიმე საუნივერსიტეტო გაზეთის მუშაობაზე უნდა ითქვას კეთილი და დაუმადლებელი სიტყვა, ეს, უპირველესად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთზე ითქმის, რომელიც სისხლხორცეულადაა ჩართული უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავდაუზოგავად ქმნის მესხეთის უნივერსიტეტის მატიანეს.

გაივლის მრავალი ათეული წელი და ეს გაზეთი, სხვებთან ერთად, ჩვენს მომავალ სტუდენტ ახალგაზრდობაში გააცოცხლებს XX საუკუნის მიწურულისა და XXI საუკუნის ბოლო ათწლეულების, დღევანდელობის, სისხლსავსე ცხოვრებას, იმ პროფესორ-მასწავლებელთა თუ სტუდენტთა საქმიანობას, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული გაზეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ შემოქმედებით კოლექტივს წრფელი გულით ვულოცავთ 30-წლიან საიუბილეო თარიღს და გვჯერა, კიდევ ბევრ სასახელო ფურცელს ჩაწერს იგი უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გლოცავთ, გვეიმედებით და გვეამაყებით ჩვენო ერთგულო, საიმედო და კეთილო თანამოკალმეებო..

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია*

# გიგა მაისურაძე

(გაგრძელება. დასაწყ, იხ. N13, 2021. N1,2 2022)

## ამბავი მუსხის ახალ ცხოვრებაზე

ძველი მუსხის დასახლების შემდეგ გავიდა კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი, მუსხელებმა ძლივს ამოისუნთქეს რუსების შემოსვლის შემდეგ და გაბედულათ გადაიწერეს პირჯვარი აღმოსავლეთისკენ. უკვე ოცდახუთ კომლზე მეტი იყვნენ, ამოირჩიეს ერთი შესანიშნავი ადგილი, გოგომალულა, სერის გვერდზე. მოელაპარაკნენ ახალციხეში მღვდელ გამრეკელოვს და წმინდა გიორგის სახელზე ააშენეს ეკლესია, რომელიც დღემდე დაცულია და ის ტანჯული ხალხის შვილები დღესაც ლოცულობენ და სანთლებს ანთობენ. იქვე, ეკლესიის გვერდით, არის დიდი პტყელი ლოდი მაგიდასავით, რომელზედაც დღესაც ჰკლავენ და სწირავენ სამხვთო-ზვარაკებს და იმ ლოდზე ატყავებენ. სჭრიან, ნაჭერ-ნაჭრათ და ურიგებენ მეზობლებს წმინდა გიორგის სახელზე. სოფელ მუსხმა იმის შემდეგ კიდევ ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა ნიკოლოზ მეფის ჩამოგდების შემდეგ, ხან კერენსკი, ინგლისელები, ოსმალეთი, ადგილობრივი თათრები, მენშევიკები, ფაშისტები, მეორე მსოფლიო ომი, გაქცევები, სოფლის დაწვა, მაგრამ დღეს, 1973 წლისათვის, მაინც 200 კომლზე მეტნი ვართ, ჩაუთვლელათ, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში და სხვაგან იმყოფებიან. ასეთია დღევანდელი სახე.

## გიორგი როსტომის ძე მაისურაძე

მუსხში მესამე კომლი აადინა გიორგი როსტომის ძე მაისურაძემ. მან სოფელ თოკიდან ჩამოიყვანა მხოლოთ ორი ვაჟიშვილი თომა და სიმონი, მერე შიეძინათ ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, იმას დაარქვეს გიორგი, ელისაბედის თხოვნით, რადგან მამამისსაც გიორგი ერქვა, ე.ი. პაპის სახელი დაარქვეს, მაგრამ გადმოცემით, ეს გიორგი ის გმირი იყო, რომელიც თეიმურაზთან, ჯონდოსთან, თორნიკესთან და გაბროსთან ერთად იბრძოდა. ზოგიერთმა ასე გადმომცა, თეიმურაზი იმერეთში დანიშნულა და იქვე დარჩენილაო. ზოგნი ამირბეგის მოსაკლავათ გადმოსულან იმერეთიდან და ხუთივე თათრებს და ლეკებს დაუხოციათ, იმათი ნაშიერი არა სჩანს არსად, უგზო უკვლოთ დაკარგულან. ზოგი ვითომ რუსების ჯარში გარეულა ახალციხის აღების დროს. მოკლეთ, ამ ხუთი გმირის ამბავი და ხსენება ველარსად გავიგე. გიორგი როსტომის ძე მაისურაძე ყოფილი აბაშიძე მუსხში მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში რომ გადმოვიდა, უკვე დამშვიდდა მესხეთი. გიორგიმ დანიშნა შვილი თომა სოფელ ვალეში, კოპაძიებთან, მოიყვანა პატარძალი, მშვენიერი, კოპწია, მაგრამ თავდაბალი, სტუმართმოყვარე, ხალხის პატივცემელი, პატიოსანი, სხვათაშორის თან ექიმბაში, წამლებისა და მალამოების გამკეთებელი, ბევრი სენისა და ავადმყოფობის მკურნალი. მასაც დედამთილის სახელი ელისაბედი ერქვა. თომასა და ელისაბედს გაუჩნდათ ცხრა ვაჟი და ხუთი ქალიშვილი. ვაჟების სახელი იყო: გიორგი, ექვთიმე, ივანე, ბასილი, მოსე, დემეტრე, ისაკი, სიმონი და პავლეი. ქალიშვილების სახელები იყო: სალომე – გათხოვილია ღრელში, ნებაძიებთან; სოფო – დადეშში გაუთხოვებიათ, ივანიძე ლაზარეს დედა; გაუთხოვებიათ სოფელ ზველში კორონო, პავლეს დედა და შიოსი; ანდრიაწმინდაში გაუთხოვებიათ პატრა ნიკოს დედა, კოზაპაპას დედა.

გიორგი თომას ძე უფროსი ვაჟი ხელმძღვანელობდა ოჯახს, ქალაქის საქმე, ყიდვა და გაყიდვა, სურსათის მომარაგება, ყველაფერი იმას ეკითხებოდა; ექვთიმეს ებარა საქონელი – სხვილფეხა, მისი ძვიება, დახბოიანება და მათი მარაგი იმას უნდა სცოდნიყო რამდენი სარჩო ეყოფოდა; ძმას ივანეს, ე.ი. ნონეს, უნდა მოემზადებინა ყველანაირი ინვენტარი – ფოცხი, ფიწალი, ორთითი, ნიჩაბი, არნადი, უღელი, ჯილღა, კავი, მარხილი, ურემი, ტაბიკები, კევრი და ერთი სიტყვით, სუყველაფერს თვითონ ამზადებდა თავისი საკუთარი ხელით; ძმა ვასილი იყო მებაღე. მან ისწავლა მებაღეობა. ბატონთან შვიდი წელიწადი ემსახურა და ბლომათაც მოიტანა ფული და ოქროები, რომელსაც ყარიბი დაარქვეს, ვითომ და როგორც ყარიბმა საყვარლის, სანამის გამოსასყიდლათ ფული მოიგო უცხოეთში. მოსეს დაავალეს სტრაჟნიკობა, რომელიც კარგ ფულსაც იღებდა ბლომათ და იარაღით და ცხენებით სახელოვნათ დადიოდა; ძმა დემეტრე – ანუ დემეს, ებარა თავიანთი საკუთარი ასორმოცი სული ცხვარი, დადოლიანება, ძვიება და მისი ყურიგდება, – კალოზე დროზე უნდა მოერეკნა; ძმა სვიმონი დანიშნული მოუკვდათ. დანიშნული ზველიდან ვერ მოუყვანიათ და ისევ ძმიებს თავითი ნებით გაუთხოვებიათ; ძმა პავლე 18 წლის ასაკში ხორვიელათი მოჰკვდომიათ; ერთ ძმას, გიორგი თომას ძეს ერკოტელი ქალი ჰყავდა ზანდარიენთი – ბერიძე, მისგან მას გასჩენია ოთხი ვაჟი და 2 ქალიშვილი. ზაქარ, ერმილე, გიორგი და გრიგოლი, მზექალა და სალომე. მესამე ძმას ნონეს ქუნცელი ქალი ჰყავდა, ივანიძეებიდან, მეორე ქალი დადეშიდან ითხოვა, მისი სიკვდილის შემდეგ. პირველი ქალიდან ნინო, მელო და ლაზარე გაუჩნდა, მეორესაგან კი გივი და ოლიკა (ნონე-ივანე მესამე ძმა იყო ამათი); ექვთიმე დაინიშნა სოფ. გოგაშენში, გაუჩნდა სანდრე, ირინე, დესპინე. ერთი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. მეოთხე ძმამ ვასილმა პირველი ქალი შეირთო ანდ-

# მესხთა ცხოვრება



რიაწმინდიდან. მისგან გაუჩნდა ტროფინე, ილიკო და ოლღა. მეორე ცოლიდან აგარელი ქალიდან – ზაზაძისაგან გაუჩნდა ტასო, გიგა, სერგო, – ორივე ცოლიდან 4 ვაჟი და 2 ქალიშვილი. მეხუთე ძმამ – მოსემ ერკოტელი ტივაძიების ქალი თხოვა, მაგრამ ვაჟიშვილი არ ჰყავდა. გაუჩნდა ანო და ტასო. მეექვსე ძმას დემეტრეს სარველი ქალი ჰყავდა მარინე – არსენას მამიდა. გაუჩნდა ალექსი, ათანე, ტოფო, სიმონი, ელენე. მეშვიდე ძმას – ისაკის ჭობარელი ჯვარიძე გიოს და ჰყავდა. გაუჩნდათ ნიკოლოზი, იაკობი, რომანოზი, ნესტორი, სოფო, ქეთო, ნინა, კეკელა და დარიკო. ასე გამრავლდა თომა გიორგის ძის ოჯახი. ზევით ავღნიშნე, რომ თომას შვილებს, ვისაც რა ევალებოდა, სიზონის დროს, მაგალითად, გინდა მოხვნაზე, მოთიბაზე, კალოზე და, საერთოდ, უნდა მიშველებოდნენ კოლექტიურათ, ერთიანი ძალით უნდა შიესრულებინათ ყოველივე სეზონური საქმე. მხოლოდ, სუბუქი საქმის დროს, ყველას ევალებოდა თავიანთი საქმე შიესრულებინათ.

მუსხში თომა მაისურაძის ოჯახი სანამ გაიყრებოდა, ერთად შეადგენდა ორმოცდათხუთმეტ სულს. შვიდი რძალი შვილებისა და ორი რძალიც შვილის შვილებისა თავს ევლებოდნენ დედამთილს და მამამთილს. თომა პაპა თვითონ მშრომელი და კარგი კალატოზი ყოფილა, აუშენებია შვილებითვინ იმდენი ქოხები, ე.ი. ძველი ოდა-ბოსელი, უფიქრია, რომ გაიყარნეთ შვილო, ყველას თითო ოდა და ბოსელი მაინც უნდა ჰქონდესო. ასეც შეუსრულებია. ყველა ძმას თავისი საცხოვრებელი ოდა, ბოსელი და საციო დარბაზი აუშენა და უთხრა შვილებს თომა პაპამ: შვილებო, სანამდის მე და ჩემი ელისაბედი ცოცხლები ვართ, ერთად იყავით, აქ უნდა გიყუროთ და თქვენი ფუფუნებით გავძღე, ჩვენ რომ მიწას მიგვაბრით, მერე ღმერთი შეგეწიოთ და ისე გაიყარენით, რომ არავინ არ გააცინოთ, მერე ცოლს უთხრა: ქალო, ჯერ მე მოვკვდე, რომ შენ დამიტიროვო, თორემ მე ვერ ვიტირებ ისე, რომ გული ვიჯერო. ცოლმა უთხრა: არა, კაცოჯან, ჯერ მე მოვკვდე, რომ შენი ხელით მიწა მეღირსოს და შენც მალე წამომყვეო. მართლაც ისე უყვარდათ ერთიმეორე, რომ თავიანთი ნატვრა ასრულებიათ, ჯერ თომა პაპა მიიცვალა. შვილებმა, შვილიშვილებმა, დიდის ამბით და პატივისცემით გაასვენეს. მეშვიდე დღეს ბებე ელისაბედი გაუსვენბებიათ დიდი ამბით, თან მწუხარებით და თან სიხარულით, ოთხმოცდათხუთმეტი წლის თომა პაპა და ოთხმოცდათორმეტი წლის ელისაბედი. ორმოცდა თხუთმეტ შვილს, რძლებსა და შვილიშვილებს უზეიმიათ მათი გასვენების ჯამი, ასეთი გასვენება ეღირსოს ყველას, პაპა და ბებია, მაშ ნათელი ხსოვნა იყოს იმათი, მოგონება და არ დავიწყება მათი.

გავიდა რამდენიმე წელი და გაცალკევდნენ ძმები. ყველამ თავისთვის დაიწყეს ცხოვრება. აი დღეს, 1973 წლისათვის, თომა პაპას ნაშიერი 185 სულია.

## აქ თომას შვილების თავგადასავალი

გიორგი თომას ძე მაისურაძე იყო ყოჩაღი მუშა, დაუღალავი ადამიანი. ძმებთან ერთად ყოფნის დროს ხელმძღვანელობდა შვიდივე ძმის ნაშიერს, ამარაგებდა სულყველაფრით – სარჩო, სანოვაგე, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ასაღები და მისაცემი ყველაფერი მას ეკითხებოდა. იყო ჭკვიანი სოფლის თავკაცი და სახელოვანი. ჰყავდა ოთხი ვაჟი შვილი, რომლებსაც მან უყიდა მიწა ბატონისაგან. საკუთრებათ დაუტოვა შვილებს ხუთი ჰექტარი სარწყავი მიწა და ათ ჰექტრამდე ურწავი მიწები და ჰქონდათ მის შვილებს კოლექტივის დაარსებამდე, სჭამდნენ და ცხოვრობდნენ კეთილათ, ემლო, ზაქარია, გრიგოლ. დღეს მათი ჩამომავალი შეადგენს თვრამეტ ოჯახს. გიორგის შვილები და შვილის-შვილები არიან გორშიც, მოსკოვშიც, ახალციხეშიც და სოფ. მუსხშიც. 1973 წლის ჩათვლით შეადგენდა ორმოც სულამდე. გიორგის შვილის-შვილებიდან არის პოლკოვნიკიც, კაპიტანიც, ინჟინერიც, ბუღალტერიც და კოლწევრიც. შრომობენ კეთილ სინდისიერათ და ცხოვრობენ ბედნიერათ. ექვთიმე თომას ძე მაისურაძე იყო მძლავრი ადამიანი. იგი თითქმის თავის სიცოცხლეში მწყემსობას ეწეოდა. პირველათვე შვიდივე ძმის ერთათობის საქონელს მწყემსავდა. ერთობის დროს ოთხმოცამდე ძროხა და მოზარდი ჰყავდათ. ძვიების დროს ბევრჯერ ძმისშვილები ეხმარებოდნენ ხოლმე საქონლის ძვიებაში. ერთხელ, როცა საქონელს აძოვებდა, წვიმიანი და ნისლიანი დღე იყო. ძმისშვილიც ახლდა გვერდით. ფიჭვის ქვეშ შეფარებულნი იყვნენ და საქონელს ათვალიერებდნენ. ექვთიმე ხედავს, რომ საქონელთან შემოსულა ერთი კარგი მოზრდილი უშობელას ოდენა დათვი და ძროხასთან ერთად სძოვს. ჯერ მოზვერი ეგონა, მერე დააცქერდა, ხედავს დათვია, ხელში ახალპირული ცული ეჭირა. გაექანა ექვთიმე და შესძახა: აქ რა გინდა, შე ტიალო. ის იყო დათვიც ფეხზე ადგა. ექვთიმემ ცული მოასწყო და შიგ შუბლში დაუშვა. დათვმა დაიღრიალა და გადაკოტრიალდა. ისე მაგრა დაამსო ცული, რომ ველარც ამოძრობა მოახერხა, დათვი ცულით ერთად გაიქცა ტყეში. ძმებმა მეორე დღეს იპოვეს დათვი. ექვთიმეს შვილისშვილები დღეს 15 სული არიან მუსხში და ახალციხეში.

ნონე (ივანე) თომას ძე მაისურაძე იყო ფაქიზი, ჭკვიანი და ამასთან, ხელოსანი, ხეტყის ოსტატი. ნონეს ეკისრებოდა შვიდივე ძმის სამეურნეო ინვენტარის, მაგალითად ურმების გაკეთება, მარხილები, უღლები, ტაბიკები, ფოცხი, ორთითი, ფიწალი, არნადი, კევრი, გოგორა, ე.ი. ურმის თვლები, კავი. ერთი სიტყვით, რაც გლეხს მეურნეობაში ესაჭიროებოდა იმას უნდა გაეკეთებინა. ნონე ისეთი ფაქიზი და კოპწია კაცი იყო, რომ იმის ფეხზე ტალახს და დასვრილ წინდებს ვერავინ დაინახავდა. ამიტომ იყო, რომ იარიმ აღას ეძახოდნენ. იარიმ აღა ნიშნავს ნახევარ ბატონს. იმდროსვე სულ ჩუსტებით და მოქნილი მეშის რბილი ქალამნები ეცვა. ნონე სუფთა ტანსაცმლისთვის და ფულისთვის თათრებმა მოკლეს ზანზობის ქვევით 1919 წელში. რომელიც მოვიტანეთ და მარხია მუსხში. გიორგის ძმაც თათრებმა მოკლეს იმავე წელს. ნონეს შვილები ააზრესი და გივის შვილები არიან, ზოგი მასწავლებელი, ინჟინერი, ზოგი კოლწევრია. ცხოვრობენ ბედნიერათ და უშიშრათ. ყველა იმ ქოხიდან და ოდა ბოსლებიდან გამოსულან, აუშენებიათ ორ სართულიანი ბინები, შეუძენია რადიო, პრიომნიკი და ტელევიზია. დღეს ნონეს შვილისშვილები ითვლებიან 30 სული.

ვასილ თომას ძე მაისურაძე იყო ბავშვობიდანვე მხნე, ლამაზი, წითელი ვაშლისავით ღვიოდა. ამიტომ იყო, რომ მის შვილსაც, ტროფინეს, თომა პაპა ეძახდა – ჩემი წითელი ბასილაი არისო. აიყვანდა ხელში, ათამაშებდა და ჰკოცნიდა. ვასილი 15 წლისა იყო, რომ კისათიბის ბატონმა წაიყვანა მოსამსახურეთ. ბატონს კისათიბში დიდი ბაღი ჰქონდა. იმ ბაღში სხვა ყმები და მოჯამაგირეები, ე.ი. იგი ფულით დაქირავებული მუშებიც ჰყავდა და ვასილიც იმათთან ერთად მუშაობდა, ხიებს ამყნობდა, თოფი ჰქონდა და ბაღსაც აყარაულებდა. ბატონმა ისე მიიჩნია და შეიყვარა ვასილი, რომ შვიდი წელიწადი იქ იყო და კეთილ სვინდისიერათ ასრულებდა ყველა ბატონის დავალებას. ვასილმა შვიდი წელიწადი იმსახურა ბატონთან, ამიტომ, საბოლოვო ანგარიშით, სახლში წამოიღო ასი ოქრო და ორასი ძირი ნამყენი სხვადასხვა ძველი ჯიშებისა – ფაშალმა (აბელაური), სობა, ყარაფილა, სვიდალმა, მახარა და სხვადასხვა მსხლები – ყაბაღარმუდი, ინჯირა, სესელა და სხვა. ვასილი რადგანაც შვიდი წელი იქ იყო და ასი ოქროც მოიტანა და ანდრიაწმინდას დანიშნეს, დაარქვეს ყარიბი. ერთი სიტყვით, ყველა ყარიბს ეძახდა და ეხლაც მის შვილებს და შვილთა-შვილებს ყარიბის ნაშიერს ეძახიან. ვასილმა ორასი ძირი ნამყენი რომ მოიტანა, ბატონისაგან ასი ძირი თვითონ დარგო და გაახარა მდებარე ფუღაში. ასი ძირი კი თავის ბიძაშვილს და თან ნათლიას მისცა ნიკო სიმოსნის ძე მაისურაძეს, რომელმაც ფუღაში რუს პირზე დარგო და გაახარეს დაახლოებით 1880 წელს, რომელიც ზოგი ფაშალმა დღესაც ისევ ცოცხალია, ისევ ხარობს და ისხამს 1973 წელში. ორივე ბიძაშვილმა ძმებით ერთად შემოღობეს ქვის კედლით. ვასილი მამამისმა და ძმებმა დანიშნეს სოფ, ანდრიაწმინდას ინასარიძე ნიკოს დაზე სალომეზე, რომლისგანაც გაუჩნდათ ორი ვაჟი და ერთი ქალი – ტროფინე, ილიკო და ოლღა, მაგრამ ათი-თორმეტი წლის შემდეგ ვასილი დაქვრივდა და ისევ ცოლის ძმიებმა თავიანთი დეიდის შვილი აგარიდან თამარა ზაზაძე ალექსის ასული გაურიგეს, ე.ი. მოუყვანა ვასილს თამარისაგანაც ერთი ქალიშვილი ტასო, ორიც ვაჟი – გიგა და სერგო შიეძინათ და დღეს იმათი შვილები და შვილთა შვილები არიან თბილისში, ლიტვაში და კრასნოდარში და მუსხში, სულ ითვლებიან ორმოცდახუთი სული.

## აქ ვასილის, ე.ი. ყარიბის თავგადასავალი

ვასილს ჯერ ისევ პირველი ცოლიც არ ჰყავდა მოყვანილი, დიდ-მარხვა იყო. მუსხის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვა იყო და აღდგომისთვის მოსამზადებლათ ხალხს აზიარებდა. ზიარების დროს ყარიბი შიეცადა და ყველაზე წინ ეზიარა. მიიღო ზიარება თუ არა, მაშინვე გაეშურა თავისი და ბიძაშვილის ახალი ბაღის სანახავთ, რადგანაც ასეც ავალებდა რელიგია, რომ ახალ ნაზიარებელი პირი მდინარეში უნდა გამოერეცხათ, რომ ძირს არ დაეფურთხათ ნაზიარებელი პირი, ამიტომაც გადაწყვიტა, თან ბაღს ვნახავ და თან მდინარე ჩახრუხზე გამოვირეცხ პირსაო, ყარიბს მარტო სიარული ძალიან უყვარდა და მიუვალ ტყე-ღრეში ყოფნაც. ამიტომაც არავინ არც დაუძახა და არც არავის მოუცადა. გადავიდა ნიკო მაისურაძის ახალ ბაღთან, ზევითვე, რუსპირზე, თავწვრილთან, ხედავს ერთი ვეება ქურთი კირკით კედელს ამგვრევს და სალებავს ენდროს ჰკრეფს. შიებრალა კედელი და შესძახა თათრულათ, – რასა სჩადიხარ, რომ მაგ კედელს ამგვრევ, მაგისათვის უწვალია მაგის პატრონს, რომ შენ კირკით არღვევო? ქურთმა შემოხედა, არაფრათ ჩათვალა ყარიბი და შემოაგინა ახალი დანიშნული ცოლი, რო-

მელიც ჯერ არც ენახა. ყარიბს გული მოუვიდა, ეცა ქურთს, მაგრამ ქურთი ძალიანი აღმოჩნდა და მარხვით დასუსტებული ვასილი მაშინვე ჩაჩეხა, დააწვა ზევიდან და ახჩობს. ყარიბს შიეშინდა, ამან უსათუოთ უნდა მამკლასო, თვითონ არც დანა ჰქონდა, არც ჯოხი, რადგან ეკლესიაში არ შეიძლებოდა იარაღით ან მახვილით შესვლა, ყარიბი კი ეკლესიიდან პირდაპირ ფუღის ბაღებში წამოვიდა სულ ცარიელი. ვასილი ხედავს, რომ ქურთს წელზე ხანჯალი არტყია. ვასილმა იხელთა, ამოაძრო ქურთის ხანჯალი, გაუყარა ქურთს მუცელში. ქურთმა დაიღრიალა და ამოტრიალდა. ვასილი განთავისუფლდა, წამოხტა ფეხზე, ერთი გადახედა ღრიალა ქურთს და უკან სოფლისკენ მოკლე გზით, ყანებზე და უგზო-უკვლოთ გადმოირბინა. აღარც პირის გამოვლება და აღარც ბაღები მოჰგონებია, ისე სირბილით გადმოვიდა სოფელში. სოფლის თავიდან დაინახა, რომ ეკლესიის კარზე ისე ბლომათ იდგა ხალხი, იჭკუა, ჩუმათ მივიდა ამ ხალხში, ვითომც არაფერი გადახდენია და ჩუმათ გაჩერდა. მღვდელი ხალხს რაღაცას უხსნიდა.

საწყალ ქურთს თავისიზე ხანჯალი მუცელში გარჭობილი ჰქონდა. სიმწრით ხანჯალს ხელს ვეღარ ჰყოფდა, მხოლოდ ორივე ხელით მუცელი მოებღუჭა და ყვირილით ზევით ახალსოფლისკენ მიეშურებოდა. ამ კივილზე სოფლიდან ჩამოეშველნენ ძმები და მეზობელი თათრები. ქურთმა მოასწრო აუწერა, რომ ასეთმა ვაჟკაცმა მკრა ჩემივე ხანჯალიო და სოფელ მუსხისკენ უჩვენა ძმებს, გაიქცაო. ძმებმა დაჭრილი მეზობელ თათრებს დაუგდეს და თვითონ, სამივე ძმები, ვასილისაკენ გაჰქროლდნენ. სწრაფად გადირბინეს საჯვარე, ჩაგძლები, ქვიშრობაი და გადვიდნენ მუსხში, ეკლესიის კარებზე დაინახეს ბლომათ მდგომი ხალხი და იქით მიაშურეს, იქ ეგულებოდათ ამ უბედურებს. მივიდნენ, მაგრამ ვასილმა ეჭვიც არ მიიკარა, ვითომც იქ არავინ მისულიყო, მაგრამ ქურთებმა ძმის ნაამბობით ვასილზე ზედ მიიწიეს და შეჰყვირეს: შენ მოჰკალი ჩვენი ძმა. ვასილმა უცნაურათ გაიცინა და უთხრა: რას ამბობთ, რის ძმა, სიზმარში ხომ არა ხართ, თქვენაო. ხალხი გაოცდა, ხმა არავის გაუღია და ქურთებს და ვასილს მისჩერებოდნენ. მაშინ მღვდელი ალექსანდრე ზედგინიძე წარსდგა წინ და უთხრა ქურთებს: თქვენ რას ამბობთ, სულ ნახევარი საათი ძლივს იქნება, რაც მე ეს კაცი ვაზიარე და აგერ ეს კაცი ისევ ჩვენთანა სდგას, რას ერჩით ამ კაცსაო. ქურთებმა იფიქრეს, იქნებ სხვა იყო, მართლაო და დაანებეს თავი ჩვენს ყარიბს. ასე გადარჩა ჯერ-ჯერობით ჩვენი ვასილი. ქურთები ავიდნენ ახალ სოფელში, მაგრამ დაჭრილს უკვე თქვენი ჭირი წაეღო. ქურთის ძმებმა ბევრი ეძებეს მკვლელი, მაგრამ ვერავის მიაკვლიეს და ისევ ვასილზე გადიტანეს სასამართლოში საქმე. ვასილმა და ვასილის ძმიებმაც მოწმეთ მღვდელი ალექსანდრე დაიყენეს. იმ დროს მღვდელს დიდი უფლება და გავლენა ჰქონდა. გასჭრა მღვდლის ჩვენებამ და განთავისუფლდა ვასილ თომას ძე. მხოლოთ სამი მანეთი გადაიხადა ორისთვის ამოსვლის ფეხის ქირა და ამით მორჩა. ქურთებს ძმის ნალაპარაკებიდან ისევ ეჭვი ჰქონდათ ყარიბზე და ემტერებოდნენ კიდევაც. ჩვენი ყარიბიც გაფრთხილდა და უთოფოთ აღარსად მიდიოდა შორს.

ერთ საღამოს ვასილმა აიღო თავისი პაპისეული თოფი ყაფაღლი და წავიდა ფუღას ბაღების დასათვალიერებლად, ნამყნები არავინ მიმტროს და არ დამიგლიჯონო, თანაც შიშობდა, ქურთი მტრები არსად შემეეჩვივნენო. გავიდა მუსხიდან, ვახშმობის მერე მიუახლოვდა საჯვარის აღმართს და უცებ ხედავს წინიდან რაღაცა ლანდი აემართა. ვასილმა თოფი გადმოიღო და შესძახა ჩუმი ხმით: „ოლან ტურა“, ე.ი გაჩერდიო. ლანდი რომ მოიწევდა, ვასილს ეგონა ქურთები მეპარებიან დასაჭერათაო, მიზანში ამოიღო და თოფმაც დაიქუხა კიდეც. სხვერპლმა დაიღრიალა და დაიჩეხა კიდეც, მაგრამ ვასილი დაფიქრდა, რომ ის ღრიალი საქონლის ღრიალი იყო. მივიდა, ნახა, რომ ძროხა კვდება. ამოიძრო ხანჯალი და ყელი გამოსჭრ. დაბრუნდა უკან, ძმებს უთხრა, ასე შემემთხვაო. ძმებმაც შეაბეს მარხილი, ავიდნენ, დაუდეს ძროხა, ჩამოიტანეს. ძროხა მეზობლისა გამოდგა. თურმე მთიდან გამოქცეულიყო. ვასილის ძმების ოჯახი მრავალ სულიანი ოჯახი იყო, ცხრა ძმანი, დები და ძმისწულები, ორმოცდახუთ სულს ითვლიდნენ. ამათ ის ძროხა შეჭამეს, მეზობელს გამოურჩიეს საუკეთესო ძროხა მისცეს და ამ საქმემაც ასე ჩაიარა.

ძმებმა ვასილს ურჩიეს, რომ ტობაში თავი მოეფარებინა რამდენიმე ხნით მამიდასთან, რადგან ქურთები ეჭვობდნენ და ემტერებოდნენ, რადგანაც ახალი კვდარი ძმა ჰყავდათ და გამწარებულებმა არსად მოგკლანო. გაიგონე, ბიჭო, ნუ ხარ ურჩიო. – გაუჯავრდნენ უფროსი ძმები გიორგი, ექვთიმე, მონე და მშობლები. ისიც იძულებული გახდა წასულიყო. ერთ ბნელ ღამეს აიღო თავისი პაპისეული თოფი ყაფაღლი და გაუდგა მტკვის ნაპირისკენ ღორ-მელასაკენ, სადაც ფონი იყო ადვილი გასავლელი, რადგანაც ხიდები თითქმის არც კი იყო იმ დროს მტკვარზე. ასე გაჭირვებით მიდი-მოდიოდნენ სოფლის ნათესავები ერთი-მეორესთან, ლხინშიც და გაჭირვებაშიც. ჩვენი ყარიბიც ავიდა, ღორ-მელას ფონთან, გაიხადა ქალამწინდა, აიკეცა ტანი-თოფიც ხელში და შეტოპა მტკვარში. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და უცებ რაღაცა რბილზე ფეხი დაადგა და უცებ შეკრთა. ისევ უკან დაიწია. დაფიქრდა, ისევ თოფში ვაზნა ჩადო და ისევ იქითკენ გაიმძღვარა თოფი, სადაც ფეხი რბილზე დაადგა, თოფის ლულა იქ მიადო და ისევ ამოსწია, მაგრამ მძიმე იყო, შიერიდა, თოფი არ მოვღონოვო. ჩაყო ხელი, ამოსწია, ბნელში მოსინჯა, ხედავს ხურჯინი-წყლით და ტვირთით სავსეა, მაგრამ რა არის შიგ, ის არის საინტერესო. გამოიტანა ხურჯინი უკან, მოსინჯა ერთ თვალში სულ ფართალია, მეორეში კი საეჭვო. იქვე პანტის ტოტზე ჩამოჰკიდა, წყალი დაიწუროსო, ცოტა მოუცადა. მეორეთ მოსინჯა, რაღაცა გროშები მოხვდა ხელში. იფიქრა, სხვა სოფელში როგორ უნდა წავიღოო და ჩაიცვა, ფეხებზე მოიკოჭა წინდა, ქალამანი და აიკიდა თავისი ნაშოვნი ხურჯინი, დაბრუნდა უკან, იფიქრა, იქნების არაფრათა ღირს ჩემი ნაშოვნი ხაბაკიო, იქვე ახლოს ჭალა ჰქონდათ, რომელსაც პანტიჭალას ეძახდნენ. ამ ჭალაში ქოხი ჰქონდათ, ჩავიდა იმ ქოხში, პიჩკა გაჰკრა, მოსინჯა, გული იჯერა, აიკიდა ხურჯინი მხარზე, თოფი ხელში მოიმარჯვა. კარგა ხანი გავიდა, სამი-ოთხი კილომეტრი გზა იყო სოფლამდე. მოვიდა ყარიბი სახლში, დანიშნულ ძმებს კარი მიუკაკუნა, ძმებს სხვა ეგონათ. ვინ ხარო? დაუძახეს შიგნიდან ძმებმა. მე ვარ, ვასილიო! კარი გაუღეს, ჭრაქი მიაშუქეს და ხედავენ ყარიბს თოფი ხელში, ხალიჩის ხურჯინი მხარზე ჰკიდია. მოგვიტანა კიდევ ერთი შარი ყარიბმაო, – შესძახეს ძმებმა. ვინ მოჰკალ კიდევ შე თარსოო? უთხრა უფროს ძმამ ქოსამ. არვინ მომიკლავს, რა იყო, რას ფეთიანდებით, თქვენ? ვიშოვნე, წყალში ვიშოვნე, ეუბნება ყარიბი. რძლები ადგნენ, ქუნცულამ ცეცხლი აანთო, ნონეს ცოლმა, მამოაქალმა გოგაშნულად ფარდაკი გაშალა ძირს. ექვთიმეს ცოლმა, ზანდარამ, ერკოტელმა ხურჯინს პირი მოხსნა და ორივე თვალი ფარდაგზე გამოცალა. ეს იყო უფროსი რძალი, დიდ ბიძას ცოლი. გიორგი ბიძას სამივე ძმები წამოდგნენ დასათვალიერებლათ, ვნახოთ, რა მოიტანა ყარიბამაო. იქ ამოჩნდა შემდეგი ნივთი და ფული ქაღალდის 600 მანეთი. სულ სველი იყო. გააბეს ნართი, გაფინეს ქაღალდის ფული, ამოჩნდა ერთი სპილენძის სინი, რომელზედაც დაყარეს ოქროსი და ვერცხლის ფული და თავი მოუდგა. ტყუილს ვერ ვიტყვი, რამდენი იყო, ის კი ვიცი, ის სინი მინახავს, ორ ციდაზე მეტი იყო და არა ნაკლები, რომელსაც უკნიდან ყუაზე ეწერა ქართულათ ასე: ქართველი ავთანდილ მუსხელიშვილისა. შემდეგი ხუცური რითმებით ნათარგმნი. 1825 წელი. იმ სინზე ჩემი აზრით უნდა დატეულიყო 4-5-თი კილოგრამზე მეტი და არანაკლები, მაგრამ არ ვიცი, ოქრო მეტი იყო თუ ვერცხლი. დანარჩენი ყოფილა სულ ხასი ძველებური ქამხა და ატლასი, რომელიც ვასილის უმფროსმა ძმიებმა ასე მოიხმარეს: ექვსასი მანეთი ქაღალდის ფულით მთელი ოჯახის დიდი და პატარა შემოსეს. ქალებიც, ვაჟებიც. ის ხასი ფართალი კი, ვასილი რომ დანიშნეს ანდრიაწმინდას ინასარიძე ნიკოს დაზე, სულ რძლისთვის წაუღიათ. ვასილმა რომ ასი ოქრო მოიტანა, იმ ოქროს ფულით წისქვილი უყიდიათ. წყალში ნაშოვნი ოქრო და ვერცხლი კი ვასილის სამ ძმას ჩაუმალიათ, გიორგს, ექვთიმეს და ნონეს. ბოლოს ფუღის მიწა რომ გაყიდულა, ბატონებისაგან დიდ ბიძას გიორგს ფუღის 1/7 ნაწილი უყიდია. ნონესთვის თავისი კერძი წისქვილის ხვედრი მიუცია, რომ არ გაეთქვა დამალული ოქროს ამბავი. ექვთიმემ ვალეს მოყვრებს ასესხა გიორგაძე ვასილს, რომელმაც მიწა იყიდა. ამბობს ყარიბი, ახლა კი გავიგე, რომ ყარიბის წყალში ნაშოვნი ოქროები წყალს წაუღიაო. მე არ დავმალე. ძმებს მიუტანე, რომ ძმები გამეხარებინა, იმათ კი ასე გამიკეთესო, მაგრამ, იცოდეთ, ძმის მოღალატეს არასდროს არ შერჩება. გიორგი თომას ძე თათრებმა მოკლეს 1918 წელს. მინდორში ფუღის მიწის ყიდვას მეზობელი ეცილებოდა... აღარ მინდა ამაზე რამე დავწერო, რომელიც ნიშნი მოგებას ჰგავს. ამას კი დავწერ, ძმის მოღალატეს იცოდეთ, ვერვის გაუხარია. ვასილი თომას ძე არ იყო ძალიან დიდი ტანის კაცი, მაგრამ იყო წყნარი, კეთილი, ერთგული, ამავე დროს უშიშარი, გულადი, კარგი მსროლელი და გამბედავიც. დაუზარელი მუშა კაცი იყო, წისქვილი, რომელიც იყიდეს ფუღას, მაისურაძეებმა და ოქრომელიძეებმა, ას-ასი ოქრო მისცეს. იმ წისქვილს ერთი ჰექტარი მიწაც ჰქონდა, რომელიც ყარიბის ხელმძღვანელობით გადაბარეს და ბაღი გააშენეს. გასაბჭოებამდე წისკვილი და ბაღიც ჩვენ ორივე გვარეულებს გვქონდა ფილიპე მახარაძის დროს. 1927 წელს ჩამოგვართვა კანონის მიხედვით და გადაეცა კოლმეურნეობას, ბაღი კი, როგორც ოჯახები, დაგვიტოვეს და დავინაწილეთ, რომელიც დღესაც ჩვენს შვილებს უჭირავთ. ვასილ თომას ძეს ბევრი რამ კარგი გაუკეთებია. თავის სასარგებლოთ და ხალხის საკეთილდღეოთაც. ათასცხრაას წლიებში ისე გათამამდნენ ქურდები, რომ მინდვრიდანაც, კარებიდანაც და სახლებიდანაც გაჰყავდათ კარგი ცხენები, ხარები და ძროხებიც და ავეჯიც. ქურდების მეთაურები იყვნენ ყველა სოფლებში. მაგალითად, ურაველში იყო ყარიბალა, რომელიც თან ტყის მცველი იყო და იარაღის ტარების ნებაც ჰქონდა. წესს ენგიქვეველები (ახალსოფელი) გოძო ასკარაი ასრულებდა. იმათ მუსხში ინა. პეტ. ივანიძე ტოფოი და სხვებიც ჰყავდა დამხმარეთ. რუსთავში – ძაღლ ალბაი, ოთარი – ოშორას, გოკიოს და ასე ჰქონდათ დაქსელილი. სოფლიდან სოფელში აძლევდნენ საქონელს ხელიდან-ხელში და ასე ასაღებდნენ და ჰყიდნენ და საბოლოოდ ძმურათ ინაწილებდნენ ნადავლს. ერთხელ ვასილი და სხვა მეზობლები თივასა სთიბდნენ ყაიმაღლში (ნაღებაში), ავაზანაში. ვასილს, რაჟდენ ინასარიძეს, ნონეს ცხენებიც ჰყავდათ, სათიბი რადგანაც შორს იყო, იქვე რჩებოდნენ. ცხენები კი იმათ გასათხოვარ გოგონებს, ესე იგი, ქალიშვილებს მოჰყავდათ ზანზობის მთაში. ძროხის დაწველის შემდეგ გოგოები შესხდებოდნენ ცხენებზე და თან პურსა და წყალს უზიდავდნენ ხოლმე. ასე მიდი-მოდიოდნენ ეს ქალიშვილები. ოლღა ვასილის ასული, ტასო რაჟდენის ასული, მელო ნონესი და სხვებიც კიდევ. თურმე შენიშნეს ქურდებმა, რომ მამები სათიბში რჩებიან და გოგოები მთაში მარტო არიან და ცხენები კი სახლშივე, ბოსლებში უბიათ. ქურდებმაც უთვალთვალეს, ღამით როცა გოგოებს დაეძინათ, ჩუმათ ბანიდან კეტი ჩააყუდეს, ფრთხილათ ცხენი ყარიბასი გამოიყვანეს. ამ დროს ფაჩი-ფუჩზე გოგოს გაეღვიძა, ოლღას, შიეშინდა და გული წასვლოდა. ერთი ცხენიც რაჟდენასი გაეყვანათ, მაგრამ ის ცხენი ცალკე სახლში ყოფილიყო და ტასოს ვერც გაეგო. დილით ოლღასთან ბიძას ცოლი შესულა და ხედავს – გოგო ძლივს სუნთქავს. რა დაგემართა, გოგო-შვილო? ეტყვის რაც მოხდა, – ცხენი წაუყვანიათ ქურდებსო? მაშინ გავა სარა ბიცოლაი, გოგოებს ეტყვის, ვასილ ძიას შეატყობინეო, რომ ქურდებს ბოსლიდან ცხენი მოუპარიათ. მაშინ ნახა ტასომ, რომ იმათი ცხენიც აღარ იყო. გოგოები საჩქაროთ წავიდნენ ავაზანათ სათიბში და უამბეს ცხენების მოპარვის შესახებ და ოლღასი ავად ყოფნაც. ყარიბს თავისი ყაფაღლი თოფი იქვე ჰქონდა, ისიც კარგად იცოდა, რომ საით წაიყვანდნენ ცხენებს. ვასილმა და რაჟდენამ დატოვეს სათიბი, ცელები და ფოცხ-ორთითი შეინახეს და წამოვიდნენ. ბევრი სიარულის შემდეგ უთხრა რაჟდენს: შენ ერთი ახალკაცას ფაგები კარგა დაათვალიერე, მე კი ინსანეიჯი მაღაროებში უნდა ჩავიდეო და თუ თოფი გავარდა, იცოდე, ან ცხენებს ვიპოვი, ან ვისმეს შევხვდებიო, ყურადღება მომაქციეო. გამოუყვა ჩორჩოს კლდის ძირებს – გადმოიარა თვირქმანდარა. მოსდევს ფთხილათ ინსანეიჯი ფაგების ზევით მაღაროებთან. უცებ ხედავს, ორი ცხენი ერთ ხეზე აბია, მაგრამ იქვე ახლოს უცნობი ვიღაც კაცი ზის, ფიქრობს ვასილი, ვესროლო? ვაითუ ამხანაგები ჰყავდეს და მეც გამაფუჭონო. მოდი ასე ვიზამ. იქვე ჩაიმალა, თოფი მოიმარჯვა და დაუძახა: ბიჭებო, ჩემსკენ წამოდით, ცხენები აქ არიან და ერთი ვაზნა ჰაერში გაისროლა. ტყემ დაიქუხა, ხევ-ღელემ ბანი მისცა. ვასილმა თვალი შეასწრო, ორი კაცი ცხენების იქით ფერდზე ჩაცურდნენ. ერთი კიდევ დაუძახა: ბიჭებო, ჩვენსკენ წამოდით, ცხენები აქ არიან და ერთი ვაზნა კიდევ დააქუხა. ცოტა ხან მერე ზევიდან რაჟდენმა დაუძახა: მოველი, მოველიო. ვასილი მივიდა ცხენებთან. თავისმა ნიკორა ცხენმა შესჭიხვინა პატრონის ხმაზე, ხელი გადაუსვა, წამოახტა ტიტველა ცხენს, მეორეც ხელით დაიჭირა და საიდანაც რაჟდენმა ხმა გასცა, ცხენებით იქითკენ გაქუსლა. წინ რაჟდენი შემოხვდა, თავისი ცხენი გაუბოძა და უთხრ: ერთი მთაში უნდა ავიდეთ, ვნახოთ, გოგო როგორ არისო. ყარიბჯან, როგორ მალე იპოვნე, სად იყვნენ? ხომ არვინ შეგხვდა, თოფები ვის ესროლეო? უთხრა ყარიბმა, ორი უცნობი კაცი დავინახე, ჩავსაფრდი, ვეღარ ვესროლევი, ვაითუ ბევრნი იყვნენ-მეთქი და ასეთი ხერხი ვიხმარე, ისინი დავაფრთხე, შენ დაგიძახე, ვითომ ბევრნი ხართ, ისინი გაიპარნენ და ასე უზარალოთ მოვრჩი. ეგაც ვაჟკაცობაა ჩემო ყარიბ, რომ მტერი შეაშინო და გააპარო. შესხდნენ ორივენი, აიარეს საგულისაკენ, ავიდნენ თაზე, ნახეს ოლღაი, ძალიან გაჭირვებაში იყო. სიცხით იწოდა და შიშით მუწუკი დაეყრია. გოგომ ტირილი დაიწყო, მუსხში წამიყვანე, მამიკო, გიკვდებიო. საწყალი შესვეს ცხენზე და წამოიყვანეს. იმ დროს არც ექიმი იყო, ვერც ვერა უშველეს, ერთ კვირაში დაიღუპა მშვენიერი, ქერა, თეთრ-წითელი ოცი წლის ქალიშვილი, წყვილი ნაწნავი კოჭამდე სცემდა. ეს იყო დისწული სალომესი, ყარიბის პირველი ცოლის. არ შეგაჭმევ მტარვალო, ყარიბმა გულში მუშტი ჩაიკრა და თქვა. ალბათ, გავიგებ, ვინ ჩავიდა ჩემ ბოსელში ცხენის მოსაპარად, ცხენი კი არა, მომტაცეს ნორჩი ვარდივით შვილიო. ვასილმა ბევრი აქეთ-იქით კითხვის შემდეგ კარგად გაიგო ვინ იყო იმისი ცხენის წამყვანი ბოსლიდან და გოგოს შემშინებელი. ვასილი უკვე გაცალკევებული იყო ძმიებისაგან, მეორე ცოლიც ჰყავდა ნიალის აგარიდან, თამარ ზაზაძე ალექსის ასული. გაყრის შემდეგ მდებარე ფუღაში, რუს ზევით, ნასოფლარში, იყო საბატონო ადგილი, საფლავებთან ახლოს. იფიქრა, მოდი ამ მიწას გადავყრი, დავადაბლამ, რუდან წყალს გადმოუშვამ და რუს ზევიდან პატარა ბაღს გავაშენებო. ასეც მოიქცა, ახსენა ღმერთი, დათხარა ქვა, ცალკე გაზიდა, მიწა წყალს მისცა და ასე წვალებით სამას მეტრამდე ფართობი გაასწორა, გარშემო თორმეტი ნამყენი დარგო და გაახარა კიდეც, მაგრამ შურიან მეზობლებმა დააბეზღეს ქალბატონთან და ქალბატონის დავალებით, ძმებმა დაუგლიჯეს ჩუმათ და გადაყარეს. გავიდა ფუღას ყარიბი, ხედავს ნამყენები ვიღაცას დაუგლეჯია და იქვე შორი ახლოს გადაუყრიათ. გაბრაზდა ყარიბი, უნდა გაიგოს და ჯავრი ამოიყაროს, მაგრამ ვინ გაბედავს და ვინ ეტყვის, ჩვენ ვქენითო. მუსხში ცხოვრობდა გიო ქურდაძე, რომელიც სოფლის მამასახლისი იყო. წინა დღით ახალციხეში ყოფილიყო, ქალბატონი ენახა და დაუბრია, უთხარი, ვიღაც ყარიბია თუ ვასილი, რომ იმ ჩემს ადგილს ჩამოეშვესო. საწყალი გიო ქურდაძე ურაველ მიდიოდა, დაინახა ყარიბი იმ ალაგას მუშაობდა, მივიდა და უთხრა: ქალბატონმა დამაბარა იმ ალაგს მოშორდესო. ვასილს ეჭვი იმაზე ჰქონდა, ეს დამაბეზღენდა ქალბატონთანო, მოჰკიდა ხელი, წამოაქცია ჩვენი მამასახლისი, იმდენი ცემა, რომ სიკვდილი კარზე მიიყვანა. ალბათ, ეს ნამყენებიც შენ დამიგლიჯეო. გიო ეფიცებოდა, არ ვიცი, ყარიბჯან, გამიშვიო. ყარიბმა ისევ დარგო ნამყენები, კარგათ მოუარა და ისევ გაახარა. ერთ დღეს ქალბატონი ეტლით მობრძანდებოდა, სწორედ იმ ადგილთან ახლოს გააჩერეს და შეისვენეს. ყარიბიც იქ მუშაობდა, ქალბატონს უთხრეს, ის კაცი აგერ იქ მუშაობს ისევაო. დაუძახეთ აქ, ბძანა ქალბატონმა. დაუძახეს ყარიბი და არ მივიდა, ისევ იქა სთხრიდა და მუშაობდა. ქალბატონი თვითონ მივიდა, ნახა, რომ სულ უბრალო, გამოუსადეგარ ალაგზე წვალობს გლეხი. მაინც შეუყვირა და უთხრა, რომ შემოგითვალე, რატომ აკეთებო? ვასილმა უთხრა, ქალბატონო, ვაკეთებ, ხომ არ ვაფუჭებო, ადგილი ჩემია და არ შემეძლოს რომ გავაკეთო? ქალბატონო, მე გავაკეთებ და კიდევ შენი იყოსო. ეს ვინ ყოფილა, მამცილდი აქედანო, უთხრა ქალბატონმა. მოგცილდები ქალბატონო, მეც ხომ არ წამოგყვებიო. უთხრა ვასილმა და ისევ მუშაობა დაიწყო. ქალბატონს შიებრალა ვასილი და უთხრა ხალხს, დაანებეთ თავი, ცოდვაა, ბევრი უწვალია. ვასილმა იმის შემდეგ დაზარდა ათი ფაშალმა (აბელაური), რომ თითოდან თითო ტონა თითქმის ჩამოდიოდა, ოღონდ კი ხალხი თავის მოსავალ ნაყოფს თვითონ ვერ ჰყიდდა ვერც ბაზარზე და ვერც სადმე მიჰქონდა. აძლევდნენ ბაღის პირს, ვაჭრებს, გადამყიდველებს. იმათ მიჰქონდათ რუსეთში. ყარიბმა ერთი კარგი საქმე გაუკეთა ხალხსაც და ყველას. წინ ავნიშნე, რომ ქურდობა ძალიან გახშირდა მეთქი. და აი ამ საქმის მეთაური ჩვენ მხარეში ურაველელი ყარიბალა. აღა თათრულათ ბატონს ნიშნავს. ტყის მცველიც იყო და ხალხს ისე უწყალოდ აწვალებდა და აწამებდა. სწერდა ყალბ აქტებს, ვითომ გლეხებს უნებართოდ მოუტანიათ შეშა, შეაწერა ზოგს სამი მანეთი, ზოგს ხუთი. მოვიდა სოფელში, დააძახებინა პიროვნებებს და ძალით ჰკრეფდა ფულს, ვინც არ მისცემდა, დაემუქრებოდა – ალბათ, შემხვდებიო და ასე ართმევდა ფულს, თანაც კარგათ ასმევდნენ. ერთხელ მოსულიყო მუსხში ყარიბალა და ჰკრეფდა ყალბი აქტის ფულებს.

გაგრძელება იქნება

(სტილი დაცულია)

# ვაჟა ნიკოლაშვილი



მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მსახიობი, სახელმწიფო თეატრის აღდგენისა და განახლების ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალაქ ახალციხის კოლორიტი ბ-ნი ვაჟა ნიკოლაშვილი მრავალი წლის განმავლობაში მან თავისი შემოქმედებითი საქმიანობით უდიდესი წვლილი შეიტანა მესხეთის თეატრის განვითარების საქმეში, რის გამოც სამცხე-ჯავახეთის მაყურებლის დიდი სიყვარული და აღიარება დაიმსახურა. მას შექმნილი აქვს მრავალი საინტერესო, ერთმანეთისაგან განსხვავებული სხვადასხვა ჟანრის როლები. იგი იყო ახალგაზრდებისათვის მაგალითის მიმცემი, საქმისადმი ერთგული და თავდადებული, კოლეგების მიმართ კი მეგობრული. მესხეთის თეატრისათვის დიდი დანაკლისია მისი მოულოდნელი გარდაცვალება. ქალაქს კი დააკლდა კიდევ ერთი უნიჭიერესი და სამცხე-ჯავახეთზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება.

*მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი*

# ნარცის კარაპეტიანი



გარდაიცვალა განათლების დამსახურებული მუშაკი და დიდი კოლორიტი, ღირსეული ოჯახის ღირსეული შვილი, ნარცის კარაპეტიანი.

ნარცის კარაპეტიანი დაიბადა 1949 წელს. დაამთავრა ახალქალაქის რუსული საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა პეტროზავოდსკის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1973 წლიდან მუშაობდა განათლების განყოფილების ინსპექტორად, შემდეგ რესურსცენტრის ხელმძღვანელად.

ნარცის კარაპეტიანმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მომავალი თაობების აღზრდას შეალია და ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ინტელექტით, ერთგულებით, ადამიანებთან ურთიერთ დამოკიდებულებით.

მთელი მისი ოჯახი და საახლობლო ყოველთვის ილწვოდა ქართულ-სომხური ურთიერთობების გაუმჯობესებისა და ამ ორი ერის კიდევ უფრო დაახლოებისა და კეთილდამოკიდებულებისათვის.

როგორც ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, განათლების სისტემის თანამშრომლებისთვის, ასევე გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციისთვის, ბატონი ნარცის კარაპეტიანის გარდაცვალება დიდი დანაკლისია.

იგი თითქმის ოცი წელი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთის რედაქციასთან და მისი უშუალო დახმარებით შესაძლებელი გახდა მოგვეძია მამამისის, ცნობილი სომეხი პოეტის, მთარგმნელისა და პუბლიცისტის არსენ კარაპატიანის მიერ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში შეგროვებული ქართულ-სომხური აშუღური პოეზიის უნიკალური ნიმუშები. მისი დახმარებით საზოგადოება გაეცნო შივლას, ფეიდაის, ჰექტაის, იარალს, მათინს, იოჰანჯანს და სხვა ცნობილ აშუღებს. გარდა ამისა, მან ჯავახეთში მოღვაწე არაერთი საინტერესო ადამიანის ჩანაწერები, პუბლიკაციები, თარგმანები, ლექსები, თურქულენოვანი ჯავახური გამონათქვამები შემოგვინახა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქართულ-სომხური ურთიერთობების განმტკიცების საქმეში თავდაუზოგავი მოღვაწის ნარცის კარაპეტიანის ნათელი სული.

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია*

# მატიანე



ხარის ჭედვა სოფელ ვალეში. გასული საუკუნის 20-იანი წლები

***

გელაშვილები ნადაბურიდან (იმერეთი) მოვსულვართ. შვიდი ძმა ყოფილიყვნენ. ყველანი გამოქცეულან. ოთხი ძმა ყვიბისს დარჩენილა, ერთი თელუანს მისულა, ერთი (პაპა ჩემი) აქ დვირს მოსულა, მეშვიდე კახეთს წასულა. როცა პაპაჩემი აქ მოსულა, დვირი ცარიელი ყოფილა.

ჩვენი ბატონი (დვირის მემამულე) ნეფისოვი იყო. ათზე ერთს ვიხდიდით. სუბაში მოდიოდა. მას მიჰქონდა ბატონისთვის ღალა. ზოგჯერ ნარდათ გვეტყოდა, რას მომცემთ ამ ყანაზეო, ხუთმეტზე ერთი ძლივს მოუდიოდა.

ზორეთში შვიდი ბატონი იყო, გვარით არ მახსოვს, იქ ეცოდინებათ. ჩვენი მოსავალი ხილია, წელს სულ ერთთავად მოგვიცდა“.

მთქმელი მიხა გელაშვილი, 70 წლის, სოფ. დვირი, ბორჯომის რაიონი,
ნ.ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, 1964 წ. გვ.252.

## 1914 წელსა

1914 წელსა დაგვიბნელდა მზეო,
არნახული ომი ატყდა ამ ქვეყანაზეო.
ომში ბევრი წაიყვანეს დედისერთა ძეო,
მათი ჩოხა-ახალუხი ოხრავს იმათზეო.
აღარ გვინდა ნიკოლოზი, აღარც მისი ძმაო,
ძველი დრო და ნიკოლოზი მიწამ გამოხრაო,
სამუდამოდ გაიმარჯვა მუშათა კლასმაო.

***

ნუ გგონია დიდებაო პორტფელისთვის მიგნებაო,
იგი მუდამ სხვისი იყო, ისევ სხვისი იქნებაო.

მთქმელი მარიამ ჟუჟუნაძე, 89 წლის,
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი
მუსხი. ჩაიწერა გიორგი ჟუჟუნაძემ
2021 წელს

***

ნუგეშა მქვია სახელად,
ჯანელიძე ვარ გვარადა,
სუყველას ჩემი ყველი სურს
ვინც კი აზროვნებს საღადა.

მომინახულეთ მოხუცი,
ყველი იგემეთ თავადა,
მიტარბში თუ მომაკითხავთ,
არ დაგიხვდებით მწყრალადა.

***

დღე და ღამ ფეხზე ვტრიალებ,
არ მეკარება ძილია,
ქმარი სულ მებუზღუნება –
ენა არა მაქვს ტკბილია,
სიბერის წლებმა მოუსწრო,
მგონი, სულ გადაირია.

საინტერესო ხალხი ვართ,
უსაყვარლესი წყვილია.
მთელი დღე რომ ვიკამათოთ
არ დაგვეღლება პირია.

თავს არვის დავაჩაგვრინებ,
არა ვარ ჩიტი ნიბლია,
ჩემისთანებზე წიგნს წერდა
დიდი სულმნათი ილია.

მთქმელი ნუგეშა ჯანელიძე,
73 წლის, ბორჯომის რაიონი. პატარა მიტარბი.
გაზეთი „ბორჯომი“, 27 იანვარი, 2022 წ.

## შეცდომის გასწორება

მიმდინარე წლის თებერვლის ნომრის მეხუთე გვერდის პირველი სვეტის პირველ აბზაცში გაიპარა უნებლიე შეცდომა, ნაცვლად გელა სუდაძისა უნდა იკითხებოდეს გელა სულაძე, რის გამოც რედაქცია ბოდიშს უხდის სტატიის ავტორს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com